# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.





დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 15 მაისი, 2008 წელი.

№ 89 (5947)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## 21 მაისის არჩევნები — საქართველოს რუბიკონი?!



ეს არჩევნები უკანასკნელი შანსი მგონია ჩემი ქვეყნისთვის. უკანასკნელი და საბედისწერო. ჩვენვე უნდა ვშვათ, ჩვენი მყოფადი და, აქედან გამომდინარე, მომავალი

3-4

## სოსო ცისკარიშვილი: ვიტოვებ იმედს, რომ ხელისუფლება უსამართლობის გრძნობას კვლავაც არ გააღვივებს



3

## წინა არჩევნებზე ხმების პარალელური დათვლის შედეგითაც კანდიდატ სააკაშვილს ბარიერი გადალახული ჰქონია

2

## რა დავარქვათ ამ გაუთავებელ მარაზმს, ნაციონალებო?!

5

## ინგილოები არჩევნების ბოიკოტით იმუქრებიან!



5



## სააკაშვილმა რუსული გაიხსენა

10 საქართველო საფრთხეშია 11

## აფხაზეთი მზადაა, რუსეთთან ხელი მოაწეროს სამხედრო ხელშეკრულებას





## მაგდა ანიკაშვილი: წარმატების იმედი გვაქვს და არცთუ უსაფუძვლოდ

2

## ცუდი პოლიტიკით გამოწვეული ენერგეტიკული კრიზისი

6-7



მედიაცენტრი

# წინა არჩევნებზე ხმების პარალელური დათვლის შედეგითაც კანდიდატ საააკაშვილს ბარიერი გადალახული ჰქონია



## რამდენად სანდოა PVT-ის ალტერნატიული ვარიანტი?

**არჩევნების მეორე დღესვე, 13 საათისათვის, კენჭისყრის შედეგები უკვე ცნობილი გახდება საზოგადოებისათვის. მართალია, ეს არ იქნება ოფიციალური მონაცემი, მას არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნები“ ხმების პარალელური დათვლის შედეგად გაახმიანებს, თუმცა, როგორც ამ ორგანიზაციაში ირწმუნებიან, ინფორმაცია საკმაოდ სანდო იქნება.**

**არასამთავრობო ორგანიზაციებმა: „სამართლიანმა არჩევნებმა“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ და „ახალი თაობა – ახალი ინიციატივამ“ მედიაცენტრი შექმნეს. ისინი ამ ცენტრის მეშვეობით არჩევნების მონიტორინგის შესახებ დროულ და სანდო ინფორმაციას გაავრცელებენ. მედიაცენტრის ფინანსურ მხარდაჭერას „ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო“ ახორციელებს.**

**ვესაუბრეთ „სამართლიანი არჩევნების“ აღმასრულებელ დირექტორს ეკა სირაძე-დელონეს.**

**– რატომ გადაწყვიტეთ მედიაცენტრში გაერთიანება?**

– არჩევნებზე დაკვირვების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობა. მედიაცენტრი რამდენიმე წელია ფუნქციონირებს. პირველი გამოცდილება 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებზე მივიღეთ, ხოლო ამის შემდეგ წარმატებულად ვიმუშავეთ 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებზე.

**– თქვენი შედეგები ოფიციალური მონაცემებისაგან ძალიან განსხვავდებოდა თუ პირიქით, იდენტური იყო?**

– წინა არჩევნებზე ხმების პარალელური დათვლის შედეგად კანდიდატ სააკაშვილის სასარგებლოდ 50,8 პროცენტი მივიღეთ, ცდომილება 2 პროცენტი იყო. თითქმის არ განსხვავდებოდა ოფიციალური 53 პროცენტისგან. ფაქტია, რომ მას ბარიერი ყველა შემთხვევაში გადალახული ჰქონდა.

**– რას ითვალისწინებს ხმების პარალელური დათვლა, პრაქტიკულად როგორ ახორციელებთ?**

– ხმების პარალელური დათვლა, ანუ PVT არის ალტერნატიული შედეგი. ეს არ არის კვლევა ან ეგზიტპოლი. ის ეფუძნება საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა მიერ შევსებული ნამდვილი ბიულეტენების მონაცემებს არჩევნების პროპორციულ სისტემაზე.

**– მაჟორიტარული წესით მიღებულ ხმებს არ დაითვლით?**

– არა, ასეთი წესით რთულია ხმების დათვლა, ამის ცოტა გამოცდილება გვაქვს.

ხმების პარალელური დათვლა აპრობირებული მეთოდია, რომლის დროსაც დამოუკიდებელი სუბიექტი – ამ შემთხვევაში, ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენელი ხმებს უფრო სწრაფ რეჟიმში დაითვლის და მომდევნო დღეს უკვე ინფორმაციას მივაწვდით საზოგადოებას.

**– მონიტორინგი ყველა უბანზე განხორციელდება?**

– უბნები წინასწარ შეირჩევა, ეს არის რეპრეზენტატული უბნები, ანუ აქ მიღებული მონაცემების მიხედვით შეიძლება საქართველოს მასშტაბით მიღებული შედეგი განისაზღვროს.

**– თუ საიდუმლო არ არის, რომელია ასეთი უბანი?**

– წინასწარ გამხელა არ შეიძლება, თუმცა უბნები უკვე შერჩეულია და მეტიც, რაოდენობაც კი გასაიდუმლოებულია.

ჩვენ წარმომადგენელს მივავლენთ ამ უბნებზე. ის მთელი დღე დააკვირდება ხმის მიცემის პროცესს, ხოლო როცა უბანი დაიკეტება და ხმების დათვლა დაიწყება, პარალელურად დაითვლის ხმებს და სწრაფად მოგვაწვდის შედეგს ტელეფონის საშუალებით.

**– ამ მეთოდმა გაამართლა?**

– ჩვენი გამოცდილებიდან გამომდინარე ერთი შემიძლია გითხრათ, ცდომილება ოფიციალურ მონაცემებთან შედარებით უმნიშვნელოა და ხშირად თანხვედრია.

21 მაისს დილის 8 საათიდან დავიწყებთ მუშაობას მედიაცენტრში და დღის განმავლობაში ჩვენი წევრებიდან მიღებულ ინფორმაციას დრო და დრო მივაწვდით საზოგადოებას. გავახმაურებთ ინფორმაციას დარღვევებზე, ანუ ჩვენ ვიმუშავებთ არა მხოლოდ რაოდენობრივ დათვლაზე, არამედ დავაკვირდებით, არჩევნები რამდენად ხარისხიანად ჩატარდება.

**– თქვენ დააკვირდებით არა მხოლოდ არჩევნების დღეს, არამედ მთელ წინასაარჩევნო პერიოდს. უკვე ხომ არა გაქვთ ანგარიში დარღვევების შესახებ?**

– სამი ანგარიში გამოვაქვეყნეთ. განსაკუთრებით პრობლემური იყო პირველი საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომები. მაგალითად, სენაკში ოქმის გადაკეთების ფაქტი აღვნუსხეთ, რასაც ადეკვატური პასუხი მოჰყვა და კომისიის თავმჯდომარე გაანთავისუფლეს.

აღმოვაჩინეთ ზემოქმედების ფაქტები. საგულისხმოა, რომ წინა ეტაპზე ასეთი ფაქტები ნაკლებად იყო, თუმცა ამ ბოლო დროს, სამწუხაროდ, მომრავლდა. ზემოქმედება ხდება საჯარო მოხელეებზე, მასწავლებლებზე. ანგარიში ხელთ არ მაქვს, ამიტომ ვერ დაგიკონკრეტებთ.

**– ასეთ დროს მხოლოდ ფაქტების გამომზიურებით კმაყოფილდებით თუ სარჩელის შეტანის უფლებაც გაქვთ?**

– როცა ვიცით, რომ ინფორმაცია სანდოა, ვაქვეყნებთ, მაგრამ რაც შეეხება იურიდიულ მხარეს, ფაქტების დამტკიცება რთულია, რადგან მოწმეები პროცესზე გასვლაზე არ დაგვთანხმდებიან.

**– სიებზე რას იტყვით?**

– სიები, მართლაც რომ, „აქილევსის ქუსლია“... ამ ეტაპზე ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში იმ ამომრჩევლის მონაცემთა გათვალისწინება და გადასწორება ხდება, რომელმაც ინფორმაციის შეცვლა მოითხოვა. სიების ფორმირების პროცესი 24 საათი მიმდინარეობს, ამიტომ დაკვირვება რთულია, მაგრამ ცესკო 2-3 დღით ადრე მოგვაწვდის სიების საბოლოო ვარიანტს.

გადავამოწმებთ და ვნახავთ, რამდენად შეესაბამება ერთმანეთს ჩასასწორებელი და საბოლოო მონაცემები.

**– თუმცა, უკვე რამეს შეცვლა არ შეიძლება, არა?**

– დიახ, შეცვლა არ შეიძლება, მაგრამ ინფორმაცია გვექნება, რასაც საბოლოოდ შედეგების დროს გამოვიყენებთ.

აქამდე სიაში 1002 არასრულწლოვანი აღმოვაჩინეთ...

**– სიაში მიცვალებულებიც ბევრიაო. თუმცა ცესკოში ამბობენ, რომ მათ არა აქვთ იმის იურიდიული უფლება, რომ გარდაცვალების მოწმობის გარეშე სიიდან ამოიღონ.**

– დიახ, იყო ასეთი კანონი, მაგრამ ამ არჩევნებზე მიდგომა შეიცვალა. მიცვალებულთა სიაში ყოფნის პრობლემა სოფლებში იდგა, ამიტომ ახლა სოფლის რწმუნებულები ამოწმებენ ასეთ ფაქტებს, ავსებენ სპეციალურ ფორმებს, შემდეგ უკვე, წესით, ყველა ეს სახელი და გვარი სიიდან უნდა ამოიღონ.

არჩევნებამდე რამდენიმე დღე დარჩა, თუმცა ამ მცირე მონაკვეთში რამდენიმე ბრიფინგი გვაქვს დაგეგმილი და ინფორმაციებს კონკრეტულ ფაქტებზე, დარღვევებზე და ა.შ. თანდათან მოგაწვდით.

ესაუბრა
**თეა მოსია**

კანდიდატი



# მაგდა ანიკაშვილი: წარმატების იმედი გვაქვს და არცთუ უსაფუძვლოდ

***წინასაარჩევნოდ არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურმა სუბიექტებმა საკმაოდ მრავალფეროვანი საარჩევნო პროგრამა წარმოადგინეს, რაც ამომრჩეველში ერთგვარ დაბნეულობას იწვევს. თითოეული პოლიტიკური პარტია ცდილობს საკუთარი ინდივიდუალურობისა და ორიგინალურობის დემონსტრირება მოახდინოს და ამომრჩეველს ქვეყნის განვითარების სხვადასხვა გზა შესთავაზოს. ასეთი გზა „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობისთვის“ რელიგიურ საკითხზე აქცენტირებაა. მოძრაობა საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრის შემთხვევაში ამომრჩეველს მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას ჰპირდება. ამ საკითხზე „ჯი-ეიჩ-ენი“ მაგდა ანიკაშვილს ესაუბრა.***

**– როგორ აფასებთ თქვენს შანსებს? როგორ ფიქრობთ, მიაღწევთ თუ არა წარმატებას არჩევნებში?**

– წარმატების იმედი გვაქვს და არცთუ უსაფუძვლოდ. ბევრი მხარდამჭერი გვყავს და ვფიქრობ, საკანონმდებლო ორგანოში საკმაოდ სერიოზული წარმომადგენლობით შევალთ.

**– ოპოზიციური სპექტრი საკმაოდ მრავალფეროვანია. როგორ ფიქრობთ, გაუწევენ თუ არა ისინი სერიოზულ წინააღმდეგობას მმართველ პარტიას? თქვენი აზრით, რა პროგნოზების გაკეთება შეიძლება, რა კვოტით მოხვდებიან პოლიტიკური პარტიები საკანონმდებლო ორგანოში?**

– წინასწარ ამაზე ძნელია საუბარი, თუმცა არა მგონია, იმდენად დიდი მხარდაჭერა ჰქონდეს მმართველ პარტიას, რომ უპრობლემოდ შეძლოს უმრავლესობის მოპოვება. ვფიქრობ, ოპოზიცია დღეს უპირატეს მდგომარეობაშია, იმიტომ, რომ ამომრჩეველთა დიდი ნაწილი უკმაყოფილოა მმართველი პარტიის პოლიტიკით. ის, რომ ჩვენ არჩევნებში ცალ-ცალკე ვმონაწილეობთ, პრობლემას არ შექმნის, იმიტომ, რომ საკანონმდებლო ორგანოში საერთო შეხედულებების მქონე პარტიებს შორის თანამშრომლობა თავისუფლად შეიძლება. ალბათ, საუკეთესო ვარიანტი ის იქნება, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა არ ჰქონდეს არც ერთ პარტიას და შემდეგ იქ შეიქმნას ძალა, რომელიც უკანონობას დაუპირისპირდება და ხალხისთვის სასიკეთო გადაწყვეტილებებს მიიღებს.

**– წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკურმა სუბიექტებმა საკმაოდ მრავალფეროვანი საარჩევნო პროგრამები წარმოადგინეს. თქვენი საარჩევნო პროგრამა რით იქნება განსხვავებული?**

– ჩვენი პროგრამა განსხვავებულია სოციალური სფეროს კუთხით. სხვა პარტიებსაც აქვს სოციალური და ჯანდაცვის პროგრამა, თუმცა ჩვენი პროგრამა მოიცავს ყველა საჭირბოროტო და აქტუალურ საკითხს, რომლის განხორციელებაც რეალურ საფუძველზე მოხდება. ეკონომიკური პროექტი წყლის რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით ის თემაა, რაზედაც თავის დროზე „დროება“ მუშაობდა და ამას ჩვენი ინიციატივით ვთავაზობთ ამომრჩეველს. გვაქვს საკონსტიტუციო ცვლილებების მოთხოვნა მართლმადიდებლობასთან დაკავშირებით, ვითხოვთ მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას. განსხვავებული ხედვა გვაქვს სოფლის მეურნეობის საკითხებში. იქ არის კონკრეტული პუნქტები, რაც სიახლეს წარმოადგენს ამ თვალსაზრისით. გვაქვს განსხვავებული ხედვა ახალგაზრდულ პოლიტიკასთან მიმართებაში. ჩვენი ახალგაზრდული ფრთა განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა და ამით ვამაყობთ. ახალგაზრდებს ვთავაზობთ სიახლეებს, რაც შეიძლება იყოს ნარკომანიისა და ქურდული სამყაროსაკენ მისწრაფების ალტერნატივა. პირველ ყოვლისა, გამოვიყენეთ ჩვენი ჟურნალისტური გამოცდილება, რაზედაც მუშაობდა „ტელეიმედი“ და აქცენტი სწორედ ამაზე გავაკეთეთ.

**– თქვენს მოძრაობას ხშირად ადანაშაულებენ პრორუსულ ორიენტაციაში, ასევე ხელისუფლებასთან თანამშრომლობაში. რით უპასუხებთ ასეთ ბრალდებებს?**

– არ მიმაჩნია, რომ მე ან ჩვენი გუნდის წევრებს ვინმეს წინაშე თავი გვაქვს სამართლებელი. მით უმეტეს, როდესაც ხალხის მხრიდან სხვაგვარად აღიქმება ეს ყველაფერი. ჩემს წინასაარჩევნო შეხვედრებზე მსგავს ბრალდებებს ან შენიშვნებს რიგითი ამომრჩევლის მხრიდან ნამდვილად არ ვისმენ.

**– თუნდაც ნატოსთან მიმართებაში, თქვენი პოზიცია არ იყო მკაფიოდ გამოკვეთილი საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრებასთან დაკავშირებით...**

– ცოტა უცნაურია ბრალდება იმ ადამიანების მხრიდან, რომლებიც ცოტა ხნის წინათ თავად დაადანაშაულეს პრორუსულობაში და რუსეთის აგენტობაში. მათ ძალიან კარგად იციან, რას ნიშნავს ცილისწამება. ეს ცალკე ფენომენია საქართველოში: როცა ხელისუფლების საწინააღმდეგო სიტყვას იტყვი, მაშინვე პრორუსული და კრემლის აგენტი ხდები სხვის თვალში. არათუ მხოლოდ ხელისუფლება გაძლევს ასეთ შეფასებას, ოპოზიციაც ხელისუფლების თამაშს აჰყვება ხოლმე და მაშინვე მოგაწებებენ მსგავს იარლიყებს. რაც შეეხება ნატოს, ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნდა მისი უწმინდესობის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის განცხადება, სადაც პირდაპირ წერია ფრაზა: „ნატო არ არის ჩვენი თვითმიზანი“, ანუ აქ პოზიციის დაფიქსირებაზეა საუბარი. ჩვენ მართლაც მიგვაჩნია, რომ არც ერთი სამხედრო, პოლიტიკური თუ ეკონომიკური გაერთიანება არ უნდა იყოს თვითმიზანი, ეს უნდა იყოს მხოლოდ საშუალება იმისათვის, რომ მოვაგვაროთ ჩვენი პრობლემები. თუმცა დღევანდელი რეალობების გათვალისწინებით ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრებას ალტერნატივა არ გააჩნია.

ესაუბრა
**რიტა ყაველაშვილი**

თვალსაზრისი

# სოსო ცისკარიშვილი: ვიტოვებ იმედს, რომ ხელისუფლება უსამართლობის გრძნობას კვლავაც არ გააღვივებს



*სულ უფრო ცოტა დრო რჩება 21 მაისისთვის დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებამდე, რომელშიც 12 პოლიტიკური პარტია და საარჩევნო ბლოკი იღებს მონაწილეობას.*

*ოპოზიცია ხელისუფლებას არჩევნების გაყალბებისათვის მზადებაში და განსაკუთრებით რეგიონებში ოპოზიციის მომხრეებზე სხვადასხვა სახის ზეწოლაში ადანაშაულებს. თავის მხრივ, ხელისუფლება ოპოზიციას კორექტულობისკენ მოუწოდებს. საპარლამენტო არჩევნების კამპანიის მიმდინარეობისა და წინასაარჩევნოდ ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე „ინტერპრესნიუსი" პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილს ესაუბრა.*

**— ბატონო სოსო, როგორ შეაფასებდით წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობას და ქვეყანაში შექმნილ ვითარებას?**

— არჩევნების მოახლოებასთან ერთად, თანდათან უფრო მძაფრდება პროცესი თავისი სხვადასხვა გამოვლინებით, ვგულისხმობ, უპირველეს ყოვლისა, საარჩევნო სუბიექტების აქტიურობას.

რაც შეეხება საარჩევნო კამპანიას, გარკვეული თავისებურებებიც შეიძლება აღმოვაჩინოთ. მაგალითად, ასეთი ფაქტი: ამა თუ იმ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის პოლიტიკური გემოვნება მიზეზი გახდა სხვადასხვა ტიპის რეალობის ხედვისა, რომელშიც ვიმყოფებით. ამ შემთხვევაში საარჩევნო სიებს ვგულისხმობ.

ჩემთვის ნიშანდობლივია, რომ ნაციონალური მოძრაობიდან დეპუტატობის 75 მაჟორიტარიდან არც ერთი კანდიდატი, მათი მრავალი კონკურენტისგან განსხვავებით, საარჩევნო უბნების საარჩევნო სიებში ვერანაირ დარღვევას ვერ ხედავს. მათ, როგორც ჩანს, ეგულებათ ის საცხოვრებელი კორპუსები, რომლებიც სხვა კანდიდატების მიერ არარსებულად არის აღიარებული.

როდესაც ასეთი რაოდენობის სახელისუფლებო მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს შორის არც ერთი ღიად არ საუბრობს საარჩევნო სიების ნაკლზე, ამ კანდიდატების მომავალი ეჭვის ქვეშ დგება, როგორც გულწრფელი და პოლიტიკურად არაანგაჟირებული ადამიანებისა.

**— სამართლიანობისა და დემოკრატიულობის თვალსაზრისით, 21 მაისის არჩევნები იქნება თუ არა საპრეზიდენტო არჩევნებზე უკეთესი?**

— ვერ ვიზიარებ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწის, მეთიუ ბრაიზას ოპტიმიზმს, რომ 21 მაისის არჩევნები, სამართლებრივი თვალსაზრისით განსხვავებული იქნება 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებისგან. არანაირი ფაქტი ამისა არ არსებობს და შესაბამისად, დამაჯერებელი არ არის. ამ მიმართულებით მხოლოდ ლაპარაკია და არა საქმე.

ჩვენ ვერც სიების გაუმჯობესების სურვილს ვერ ვხედავთ. ვერ ვხედავთ საარჩევნო ადმინისტრაციების უფრო პრინციპული ადამიანებით დაკომპლექტების ვერც სურვილს და ვერც შედეგს. ცხადია, ვერ ვხედავთ მცდელობას აღდგენილიყო ტელეკომპანია "იმედი", რომლის გარეშეც აშშ-ის სახელმწიფო მდივანს კონდოლიზა რაისს და თეთრი სახლის სხვა წარმომადგენლებს, საპრეზიდენტო არჩევნებიც კი არალეგიტიმურად მიაჩნდათ. თუმცა, ერთი არჩევნებიც ჩატარდა „იმედის" გარეშე და მეორე არჩევნებიც „იმედის" გარეშე ჩატარდება.

უფრო მეტიც, იმის ნაცვლად, რომ თბილისის გარეთ მცხოვრებ მოსახლეობას, რადიო „იმედის" მოსმენის საშუალება მაინც ჰქონოდა „ტელეიმედის" არხზე, მათ ესეც მოუსპეს და ახლა „იმედის" არხზე რადიოს ინფორმაციის ნაცვლად, მოსახლეობას უაზრო ტელესერიალებით აბრუებენ.

ხელისუფლებამ საარჩევნო სია ვითომ კიდეც გადაახალისა, მაგრამ შინაარსი იგივე დარჩა, რადგანაც სახელისუფლებო გუნდის მხრიდან გულწრფელობის ხარისხი კვლავ ნულს უტოლდება.

**— ოპოზიცია არჩევნების არადემოკრატიულად და უსამართლოდ ჩატარების შემთხვევაში სახალხო აჯანყებით და საპროტესტო აქციებით იმუქრება. რამდენად სავარაუდოა, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, მოვლენათა 5 იანვრის სცენარით განვითარება?**

— დიდი იმედი მაქვს, რომ ხელისუფლებას გონიერება ეყოფა საკუთარი ქმედებებით საპროტესტო ტალღა არ გამოიწვიოს. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ადამიანები ქუჩაში მხოლოდ უსამართლობის განცდის გამო გამოდიან. ვიტოვებ იმედს, რომ 21-22 მაისს ხელისუფლება უსამართლობის გრძნობას კვლავ არ გააღვივებს.

ამის იმედს იმის მიუხედავად ვიტოვებ, რომ ხელისუფლებას საარჩევნო სარბიელზე მოთამაშეები არ შეუცვლია. ვგულისხმობ, საარჩევნო ადმინისტრაციის სრულ სპექტრს. მაინც ეყოფათ იმის გამბედაობა, რომ იკმარონ ის გაყალბება, რასაც საარჩევნო უბნებზე მოახერხებენ, დათვალონ საკუთარი გაყალბებული მონაცემები და საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე დაწერონ არა ის, რასაც თავად ისურვებდნენ.

მე ვერ ვხედავ იმის რეალურ რესურსს, რომ ძლიერი საპროტესტო ტალღა იყოს. თავად ის ფაქტი, რომ პარლამენტი ერთპარტიული არ იქნება, ნიშნავს იმას, რომ არ იქნება საქართველოში პოლიტიკური ძალა, რომელსაც პარლამენტში ნებისმიერი კონფიგურაციით საკონსტიტუციო უმრავლესობა აღარ ექნება. ეს, ჩემი აზრით, წარმატების მანიშნებელი იქნება.

**კობა ბენდელიანი**

ყველას თავისი აზრი აქვს

***მაგრამ მივაღწევთ კი მშვიდობიანად ამ 21 მაისამდე და, თუ მივაღწიეთ, გადავლახავთ მას? ანუ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენს უახლეს ისტორიაში ერთხელ მაინც ჩავატარებთ მეტ-ნაკლებად სამართლიან არჩევნებს, რომლის შედეგებს აღიარებს ყველა — დამარცხებულიც და გამარჯვებულიც? უპირველესად, ჩვენ, ქართველი ამომრჩეველი?***

***ეს არის მთავარი და არა ის, თუ ე.წ.საერთაშორისო დამკვირვებლები რა დასკვნას და ვის სასარგებლოდ დაწერილს დადებენ, როგორც 5 იანვრის არჩევნების შემდეგ დადეს სააკაშვილის სასარგებლოდ. ქართველი ხალხი, ე.წ. ეგზიტპოლების, ეუთოს, აშშ-ს თუ სხვა „ავტორიტეტული" დამკვირვებლების მიერ „დადებული" წინასწარი, შუალედური თუ საბოლოო დასკვნების მიუხედავად, შეუმცდარად მიხვდა, რომ ის გააცურეს.***

## 21 მაისის არჩევნები — საქართველოს რუბიკონი?!



პირველი კონკურენტუნარიანი არჩევნები! — ასე უწოდეს არნახული მასშტაბებით გაყალბებულ არჩევნებს უცხოელმა დამკვირვებლებმა. ასეთი „მიმზიდველი" მეტაფორით სცადეს მათ სულ ცოტა ხნის წინათ 96 პროცენტით არჩეული სააკაშვილის ამჟამინდელი 53 პროცენტის გამართლება, ეს მეტაფორა ქართველი ხალხის დასამშვიდებელ-საამებლადაც შემოგვიგდეს, შეგვაქეს — პოლიტიკურად გაიზარდეთ, დავაჟკაცდით ქართველები, ბელადებს 96 პროცენტით აღარ ირჩევთ და, როგორც ცივილიზებულ, განათლებულ ერებს სჩვევიათ, თითქმის, „ფიფტი-ფიატი" აირჩიეთ ახალ პრეზიდენტად ძველი მიშაო. როგორც ზემოთ ითქვა, ქართველებმა ეს „არ ჭამეს" და პრეზიდენტის ინაუგურაციის პარალელურად 200-300 ათასი კაცი იპოდრომზე მივიდა.

ერთი „შებერვა" უნდოდა და, ეს ხელისუფლება იმავე გზით წავიდოდა პოლიტიკურ მოუსავლეთში, რა გზითაც მოვიდა და ყველა პარამეტრით უფსკრულის პირას მიიყვანა ქვეყანა, ჩვენი სამშობლო, რომელსაც ასევე პატარა „შებერვა" უნდა, რომ გადაიჩეხოს და იქნებ სამუდამოდ გაქრეს პოლიტიკური რუკიდან.

აბსოლუტურად მიუღებელია ჩემთვის ოპოზიციის „არგუმენტი" — რევოლუცია არ გვინდოდა და ამიტომ არ დავძარით ასობით ათასი ადამიანი მთავრობის სასახლისკენო. ჩემი აზრით, ოპოზიციის ლიდერებმა უბრალოდ „ჩაისვარეს". მათ შორის არ აღმოჩნდა ერთი კაციც, რომელიც გაბედავდა და, შესაბამისად, პასუხისმგებლობის განცდით გადაჭრიდა გორდიას კვანძს, როგორც ეს თავის დროზე გააკეთა მიხეილ სააკაშვილმა.

ე.წ. „ვარდების რევოლუციის" დროსაც დადგა მსგავსი კრიტიკული მომენტი, როცა ოპოზიციის მაშინდელმა ლიდერებმა ჟვანია-ბურჯანაძემ ჭოჭმანი დაიწყეს. მაშინ თქვა მიშამ „სეფე" სიტყვა — თქვენ როგორც გინდათ, მაგრამ მე, პარლამენტში შევუძღვები ხალხსო!

თქვა და აასრულა. ახლა ყველა გაიძახის ვარდების რევოლუციის საზღვარგარეთულ სცენარზე. ალბათ ასეც იყო, მაგრამ სცენარი სცენარად — მის განხორციელებას ხომ კონკრეტული ხალხი სჭირდება! შევარდნაძის სიძულვილზე თამაშით მიშამ შეძლო ხალხის დიდი მასის ქუჩაში გამოყვანა. გამოიყვანა, კრიტიკულ მომენტში გარისკა, სათავეში ჩაუდგა მასებს და ... მოხდა ის, რაც მოხდა.

ამას მე, როგორც ამ ამბების მონაწილე და შიდა სამზარეულოს ამბების მცოდნე, ვამბობ — მიშა სააკაშვილის ქმედებები იმ ნოემბრის დღეებში, როგორც იტყვიან, უმაღლესი პილოტაჟი იყო.

ამას ვერ დავუკარგავ. ვერც იმას, რომ შემდეგ, ყველაფერი ამის ფასად, დამსახურებულად „გაიკრა" პრეზიდენტობა. გვანჯ აფაქიძე ამბობს „მთვარის მოტაცებაში" — „რიცკის ხალხია ბოლშევიკები და ამიტომაც უმართლებთ". ასეა — „რიცკის" კაცია მიშა და რამდენიმე მისი ნეობოლშევიკი ნაციონალი და ამიტომაც უმართლებთ. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.

ამ წერილის დასაწყისში, რამდენიმე კითხვა დავსვი. კითხვები, რომელთა პასუხებზე ბევრს ვფიქრობ, რადგან, უარეს შემთხვევაში, ისინი შეიძლება საბედისწეროც კი აღმოჩნდეს ზოგადად ქვეყნისთვის. ქვემოთ შევეცდები, თქვენთან ერთად მივაგნო სავარაუდო პასუხებს, ჩემო მკითხველო. ახლა კი, ყველა კითხვიდან გამომდინარე, ზოგადად ერთი რამ უეჭველად მჯერა: ასეთი გაურკვეველი წინასაარჩევნო აბრაკადაბრა, მართლაც უპრეცედენტო მგონია. ერთი მხრივ, ყველა ოპოზიციური პარტია თუ პარტიათა გაერთიანება, დღესვე, აპრიორი გამარჯვებას გეგმავს, დამარცხებით კი, ასევე აპრიორი, მხოლოდ გაყალბების გამო შეიძლება დავმარცხდეთო, ამტკიცებს. ამ შემთხვევაში საერთო-სახალხო აჯანყებას გვპირდებიან, რომელიც, ზემოთ ნახსენები შანსის გაშვების გამო, უსისხლოდ არაფრით არ იქნება.

ისე, ნამდვილად ალოგიკურია ოპოზიციის ასეთი მუქარა: თუ ადრე, რევოლუცია არ გვინდაო ამბობდნენ, და იმითაც ამაყობდნენ, ამით მსოფლიოს დავანახეთ, თუ რა შესაშური პოლიტიკური კულტურის მქონენი ვართ ქართველებიო, ახლა რა შეიცვალა ისეთი? რა, სხვა პლანეტაზე გადავსახლდით?...

იხ. 4 გვ.

## ყველას თავისი აზრი აქვს

(მესამე გვერდიდან)

რას არ გაიგებ ამ ბოლო დროს — ვინ ვის შეეკრა თუ გაურიგდა და ა.შ. ქვემოთ ამ მოარული ამბების გაანალიზებას შევეცდები. მანამდე ზოგადად ერთი რამის თქმა უეჭველად შეიძლება. ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებამ ბევრი რამ ბურუსით მოიცვა, ბევრსაც კი, ყოველ შემთხვევაში ჩემთვის, ნათელი მოფინა.

ბადრიმდე, ბადრის დროს და ბადრის შემდეგ — აი, აქედან ვისაუბრებ უკვე მომხდარსა და მოსალოდნელის შესახებ. ვნახოთ, რა გამოვა. ერთს ახლავე ვიტყვი — ბადრი პატარკაციშვილი მოუკვდა საქართველოს, მთელ ქართველ ხალხს. რამდენადაც სასარგებლო იყო მისი პრინციპულობა ქართველი ხალხისთვის, იმდენად მიუღებელი იყო იგი ხელისუფლებისა და ოპოზიციის, დიახ ოპოზიციის გარკვეული ნაწილისთვის. ეს რომ ასეა, ამის დამტკიცებას შევეცდები.

### ბადრი პატარკაციშვილამდე

**იგი, თუ არ ვცდები, გასული საუკუნის 90-იანი წლების მიწურულს ჩამოვიდა საქართველოში. მისი მეგობარი და ბიზნესპარტნიორი ბორის ბერეზოვსკი, ინგლისში გაექცა ვლადიმერ პუტინის რისხვას. ბადრის სამშობლოსაკენ გაუწია გულმა და თბილისში ჩამოვიდა რუსული „მართლმსაჯულებისგან" თავდასაღწევად.**

ასე დაიწყო პატარკაციშვილის ცხოვრება ახალ, თავისუფალ საქართველოში. შეიძინა უძრავ-მოძრავი ქონება, (ალალ იყოს!, პოლიტიკურად არ აქტიურობდა, არც დიდი ბიზნესი დაუწყია. რუსეთში ნაშოვნი ფულით საქართველოში ეწეოდა ქველმოქმედება-მეცენატობას. ერთი მედიაჰოლდინგი დააარსა: „მთავარი გაზეთი" — იყო ასეთი გამოცემა, აშკარად პროსამთავრობო. იქამდეც კი, რომ ერთხელ (მაშინ „რეზონანსში" ვმუშაობდი), როდესაც „მთავარ გაზეთში" დათო ბერძენიშვილთან ინტერვიუ მივიტანე, იგი ლამის თავზე დამახიეს, რადგან მაშინ სააკაშვილი ახალი გაოპოზიციონერებული იყო და რესპუბლიკელი დათო ბერძენიშვილი — ნაცმოძრაობის წევრი — „ნაციონალების" არაფერი გვინდაო, განმიცხადეს რედაქციაში. ამასთან დაკავშირებით ქვემოთ ერთ კურიოზს გავიხსენებ.

### ბადრი პატარკაციშვილის დროს

**ბადრის პოლიტიკური გააქტიურება, როგორც აღმოჩნდა — საბედისწერო, ტელე „იმედის" შექმნით დაიწყო. ეს ტელევიზია ვარდების რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე შეიქმნა. თავიდან, ალბათ, გახსოვთ, პოლიტიკური თოქშოუებით არ დაწყებულა. ამ მხრივ ის ჯერ კიდევ პროსამთავრობო იყო. უკეთეს შემთხვევაში, ნეიტრალური, რადგან ჯერ აქ, საქართველოში ძნელად პროგნოზირებადი იყო — ვინ, ვის, იქ, რუსეთში კი ჯერ კიდევ ძალაში იყო პატარკაციშვილის ექსტრადირების მოთხოვნა. გარკვეულწილად, იგი შევარდნაძის მძევალი იყო.**

ამიტომ ბადრი აშკარად აფინანსებდა, ერთი მხრივ, შევარდნაძის „მოქკავშირს" და ფარულად — სააკაშვილის „ნაცმოძრაობას", როგორც შევარდნაძის ყველაზე სავარაუდო შემცვლელს. უხეშად რომ ვთქვათ, ბადრი „მეწველი ძროხა" იყო". ამას იმ ცხონებულის განქიქების მიზნით არ ვამბობ. სხვა რა გზა ჰქონდა? ჭკვიანი კაცი იყო ბადრი. მანამ, სანამ სასწორის პინები ქანაობდნენ, ანუ ბოლო მომენტამდე, ორივეს აფინანსებდა.

„იმედი", თუ გახსოვთ, ბოლო მომენტამდე, ამ სიტყვის ბუკვალური გაგებით, საერთოდ ხმას არ იღებდა. მაშინაც კი, როცა „რუსთავი-2" ღამის 24-საათიანი რეჟიმით მუშაობდა პირდაპირი ეთერით რუსთაველზე. „იმედის" ტელეკამერები „ვარდების რევოლუციამდე" რამდენიმე დღით ადრე გამოჩნდნენ მთავრობის სასახლესთან. ანუ, მაშინ, როცა აშკარა გახდა, რომ შევარდნაძის ხელისუფლება ბოლო საათებს ითვლიდა.

ახლა იმ კურიოზის შესახებ, ზემოთ რომ დაგპირდით. უკვალოდ გამქრალი „მთავარი გაზეთის" ბაზაზე ახალი ყოველკვირეული გაზეთი „კვირა" გაჩნდა. ახლა იქ მივიტანე რაღაც მასალა. მისმა მთავარმა რედაქტორმა გამაფრთხილა, არც ერთი ცუდი სიტყვა „ნაციონალებზე", ანუ, ამჯერად, ხელისუფლებაზეო. გამახსენდა „მთავარი გაზეთის" ამბავი და გამეცინა. იმიტომ კი არა, რომ რედაქტორის სიტყვები იყო მიუღებელი. „დრონი მეფობენ და არა მეფენი"... რა დიდებული ნათქვამია.

ეს ამბავი, მგონი, 2004 წლის ზაფხულში იყო. ანუ მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ ვიყავი განხიბლული „ვარდების რევოლუციისგან". ხელისუფლების, მით უმეტეს სააკაშვილის კრიტიკა, აზრადაც არ მქონია. მიუხედავად იმისა, რომ უკვე მაშინ რაღაც-რაღაცეები არ მომწონდა, თვალებს ვხუჭავდი. მე ხომ „რეზონანსში" მუშაობის დროს ჩემი პუბლიკაციების პათოსით იქნებ უმნიშვნელო, მაგრამ მაინც გარკვეული წილი მედო „ვარდების რევოლუციაში". იქამდეც კი, რომ ბოლოს ნაციონალ „პიარშიკი" გავხდი უნებლიედ. „საქართველო შევარდნაძის გარეშე" — გახსოვთ, ალბათ ასე ერქვა ნაციონალების სარეკლამო, წინასაარჩევნოდ მოსახლეობაში უფასოდ დარიგებულ მრავალგვერდიან გაზეთს, რომელიც სერიოზული ტირაჟით იბეჭდებოდა. მე, თქვენი მონა-მორჩილი, ვაკეთებდი ამ საქმეს. თანაც, შეიძლება ითქვას, სრულიად უანგაროდ.

ამავე მოტივებით, ანუ სიკეთის მოლოდინით, ედგა გვერდში სააკაშვილს ბადრი პატარკაციშვილიც. უკანასკნელ მომენტამდე ის ცხონებული თავისი უსაზღვრო ფინანსებით ედგა მხარში ქართულ საქმეს, ხელმძღვანელობდა ბიზნესმენთა ფედერაციას, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტს საკუთარი ჯიბიდან აფინანსებდა ზოგადად ქართულ სპორტს, ქართველ სპორტსმენებს, ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას, ბავშვთა ლეიკემიის ცენტრს... ვინ მოთვლის მის მიერ გაკეთებულ ქართულ საქმეებს!

მოკლეს ზურაბ ჟვანია. მიაყოლეს სანდრო გირგვლიანი და ამირან რობაქიძე. ალბათ ზურაბ ჟვანიას მკვლელობა იყო ის მიჯნა, საიდანაც პატარკაციშვილის ტელევიზია „იმედი" გახდა ის, რაც გახდა. მართლაც იმედის სხივი იყო „იმედი" ნაციონალების გამო ჩამოწოლილ „დიდ ღამეში".

— მე ფულის ტომარა არა ვარ!... — გაისმა ხელისუფლებისთვის პირველი საგანგებო გზავნილი. ეს ის დრო იყო, როცა ბადრის მიმართ ინკრიმინირებული სისხლის სამართლის საქმე შეწყდა რუსეთში. ოპოზიციის ფარული მხარდამჭერის როლიდან, ანუ ჩრდილიდან გამოვიდა პატარკაციშვილი და აშკარად დაუპირისპირდა სააკაშვილს.

მაშინ აუვიდა „ცუდი სუნი" ბადრის მილიონებს, როცა დე ფაქტო გახდა ნაციონალების ოპოზიცია. ასანიძეს, ზვიადაურს მაშინ არ აწუხებდათ ბადრის მაყუთის სიმყრალე, როცა 400-400 ათასი ლარი აიღეს ოლიმპიური ოქროს მედლების საფასურად. რა თქმა უნდა, ფრთიანი ანგელოზი არ ყოფილა ბატონი ბადრი. პირველი მილიონები მაშინ იშოვა რუსეთში, ელცინის რუსეთში, როცა იქ ზღვა სისხლი იღვრებოდა. იქნებ კრიმინალთანაც ჰქონდა შეხება. იქნებ კი არა, უეჭველად ექნებოდა. ფილმიც კი გადაიღეს — „ოლიგარქი", რომლის პროტოტიპებად პატარკაციშვილი და ბერეზოვსკი მოიაზრებოდნენ, სხვათა შორის, ამ ფილმის პრემიერას, რომელიც თბილისში შედგა, მთელი „ნაციონალების" ელიტა დაესწრო და ხელები დაუწითლდათ ტაშის კვრით. რა აღარ დასწამეს, რა ტალახი არ ესროლეს ამ უნამუსოებმა, მაგრამ ხალხის თვალში ოდნავადაც არ გასვრილა, პირიქით — უფრო იმატა მისდამი პატივისცემამ, რადგან მრავალ სიკეთეს აკეთებდა „ბინძური" ფულით. და როცა ის გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერად იქცა, კიდევ ბევრს დაგვპირდა. დემოგრაფიის პრობლემის დაფინანსებას აპირებდა საკუთარი ჯიბიდან. დემოგრაფიისა — საქართველოს, ქართველი ხალხის უპირველესი სატკივარისა, რაზეც თითქმის არავინ საუბრობს „სუფთა" ფულის პატრონი ხაზინის ქურდებიდან.

უკანასკნელ თეთრს დავხარჯავ ამ ფაშისტებისგან საქართველოს გასანთავისუფლებლადო! — დაიმუქრა ბოლოს მრავალათასიან მიტინგზე სპეციალურად ჩამოსულმა. „ამათ" სისხლის სამართლის საქმე აღძრეს... და საქართველოს მოუკლეს ბადრი პატარკაციშვილი.

დიახ ის მოკლეს! ვინ? ეს ცალკე თემაა, რომელიც წერილის კონტექსტში არ თავსდება. თუმცა ამაზეც მაქვს ჩემი მოსაზრება, რასაც, თუ დამცალდა, აუცილებლად გამოვიტან მკითხველის განსასჯელად ცალკე, ამ თემაზე შექმნილ წერილში. ახლა კი წერილის ფინალი:

### უპატარკაციშვილოდ

**ბადრის ამ ქვეყნიდან და, შესაბამისად, ქართული პოლიტიკიდან „დროულმა" წასვლამ მნიშვნელოვნად განაპირობა ოპოზიციის ის ახალი კონფიგურაცია, რაც წინასაარჩევნოდ გამოიკვეთა. მხედველობაში მაქვს ოპოზიციის დაშლა-არმოშლა, გაერთიანებიდან წასვლა, ახალი გაერთიანებები და ახალი „დამოუკიდებელი" სუბიექტების გაჩენა. ათასი მოარული ჭორ-მართალი, ვინ ვის გაურიგდა თუ შეეკრა და ა.შ. ამ ყველაფერს „რესპუბლიკელების" მაგალითზე გავშლი.**

რატომღაც დარწმუნებული ვარ: რომ არა ბადრის წასვლა, „რესპუბლიკელები" არ გავიდოდნენ ე.წ. ეროვნული საბჭოდან. ისინი გავიდოდნენ კი არა, სხვები ყველა დანარჩენი, შეეცდებოდნენ პატარკაციშვილის ეგიდის, ანუ მისი დაფინანსების არეალში მოხვედრას. სუფთა წყლის ბლეფია, რასაც რესპუბლიკელები აცხადებენ, საპარლამენტო არჩევნებში ცალკე ვაპირებდით გასვლასო. ამის შესახებ, სანამ ბადრი ცოცხალი იყო, არავის სმენია. იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ პატარკაციშვილის პრაქტიკულად ამოუწურავ ფინანსებს მიღმა დარჩენილ პარტიებს თუ ცალკე პირებს, საარჩევნო ბარიერის გადალახვის მიზერული შანსი თუ ჰქონდათ.

მაშ რისთვის დარბოდნენ ყველა ერთად და ცალ-ცალკე, უპირველესად რესპუბლიკელები, ლონდონში? დიდი ალბათობით სიმართლესთან თითქოს ახლოს დგას ის მოარული ხმები, რომ რესპუბლიკელებმა თავი მოაწონეს ოკეანისგაღმელ პატრონებს, იქ, ვაშინგტონში, და აქ სააკაშვილთან აქვთ ფარული ალიანსი. თუმცა რაღა ფარული? მას შემდეგ, რაც გია მაისაშვილმა განაცხადა ამას წინათ „პრაიმტაიმში", რაღაა საეჭვო? ჩემი აზრით, იქ „ურდოში" — აშშ-ში ფსონი რესპუბლიკელებზე დადეს. მომავალ პარლამენტში სწორედ მათი და „ნაციონალების" ნარჩენებით შეიქმნება ახალი, ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ შეიძლება საკონსტიტუციო უმრავლესობაც კი. ყოველ შემთხვევაში უბრალოდ უმრავლესობის იმედი რეალურად აქვთ. ისიც ცხადზე ცხადია, რომ ე.წ. ეროვნული გაერთიანება თუ შევიდა პარლამენტში, იქ დაიშლებიან მარტივ მამრავლებად.

## 21 მაისის არჩევნები — საქართველოს რუბიკონი?!



არც ის არის საფუძველს მოკლებული, რომ რესპუბლიკელები, ეროვნული გაგებით, დიდად არ განსხვავდებიან იგივე ნაციონალების „თავისუფლების ინსტიტუტის" ბირთვისგან. კი, შეიძლება, რესპუბლიკელების დროს მეტი დემოკრატია იყოს, მაგრამ ზედმეტად ლიბერალური, ანუ ისეთი ლიბერალ-კოსმოპოლიტური, როგორსაც თავგამოდებით ებრძოდნენ ილია და ვაჟა. ჩვენისთანა პატარა ერისთვის დამღუპველია იმ დოზის ლიბერალიზმი, რაც რესპუბლიკელებისგან არის მოსალოდნელი.

მე ვიცი და ალბათ მკითხველმაც, მათი დამოკიდებულება იეღოველების, სექსუალურ უმცირესობათა, ანუ ცისფერ-ვარდისფერთა მიმართ. ჩვენთვის მიუღებელია დემოკრატიის დასავლური მოდელი. ჩვენ ჩვენი, ქართული დემოკრატია გვინდა: ქართველი ერის, დომინანტად აღიარების კონსტიტუციური დაკანონება, შეიძლება აფხაზებთან ერთად. ამას რომ რესპუბლიკური იდეოლოგია არ მიიღებს, ჩემთვის უეჭველია.

**ზოგადად ჭრელი ოპოზიციიდან, სუფთა ქართული, ეროვნული მუხტის მატარებლად, ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის ნაწილი, ლეიბორისტები, ცაში მფრინავი გია მაისაშვილი მგონია. არავის ჭკუას არ ვასწავლი. მხოლოდ ჩემს აზრს გამოვთქვამ, ფიქრებს, რითაც 21-ში მივალ საარჩევნო ყუთთან. ამასვე მოვუწოდებ ქართველ ხალხს. კარგად დავფიქრდეთ და მერე გავაკეთოთ არჩევანი. ისე არ გამოგვივიდეს, როგორც არაერთხელ ამ ბოლო დროს — ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო!**

**ეს არჩევნები უკანასკნელი შანსი მგონია ჩემი ქვეყნისთვის. უკანასკნელი და საბედისწერო. ჩვენვე უნდა ვშვათ, ჩვენი მყოფადი და, აქედან გამომდინარე, მომავალი.**

დავით მხეიძე

## ინფორმაცია

### ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი კრიმინალია

**გაერთიანებული ოპოზიციის გლდანის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის კახა კუკავას განცხადებით, უკვე დადასტურებულია, რომ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი კრიმინალია და ის კრიმინალურ თავდასხმაში მონაწილეობდა.**

**ამის შესახებ კუკავამ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.**

**მისი თქმით, დაზარალებულების მიერ უკვე ამოცნობილია ნაციონალური მოძრაობის დეპუტატობის კანდიდატი, რომელიც ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობდა. მისი სახელი და გვარი გორში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე გახდება ცნობილი.**

**კახა კუკავას განცხადებით, საზოგადოებას ამ ყაჩაღობის კადრები წარედგინება.**

**ამასთან ერთად კუკავა ნაციონალურ მოძრაობას, კერძოდ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს გიორგი ასანიძის შტაბს აფრთხილებს, რომ თუ გლდანში მისი ერთი პლაკატი ან ბანერი მაინც ჩამოიხევა, მთელი პასუხისმგებლობა მათ დაეკისრებათ.**

**საქართველოში დამკვიდრებულია, რომ მოწინააღმდეგის შტაბი ყოველთვის დაკავებულია მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების ბანერებისა და პლაკატების ჩამოხევით. ვაფრთხილებ გიორგი ასანიძეს, თუ ერთი ბანერი ან პლაკატი მაინც ჩამოიხევა, მთელი პასუხისმგებლობა მას დაეკისრება და პირობას ვაძლევ, რომ გლდანში არც ერთი მისი პლაკატი და ბანერი აღარ იქნება, — აღნიშნა მან.**

ინტერპრესნიუსი

SIC!

# ინგილოები არჩევნების ბოიკოტით იმუქრებიან!



**დედოფლისწყაროში, საზღვრისპირა სოფლებში ჩასახლებული ჰერების დიდი ნაწილი საპარლამენტო არჩევნებს ბოიკოტს უცხადებს. ისინი არჩევნებს უიმედოდ ხვდებიან, შედეგების ობიექტურად დათვლაში ეჭვი ეპარებათ და 21 მაისს არჩევნებზე მისვლას არ აპირებენ. ისინი დარწმუნებილი არიან, რომ ყველაფრის მიუხედავად მათთვის მაინც არაფერი შეიცვლება.**

სოფლების სამთაწყაროს, ფიროსმანის, არხილოსკალოსა და საბათლოს მცხოვრებლები ქართული ინფორმაციის დეფიციტზე ამახვილებენ ყურადღებას და წუხან, რომ სოფლებში სრული ინფორმაციული ვაკუუმია, არ გადაიცემა ქართული ტელე და რადიო გადაცემები. როგორც გავარკვიეთ, ამ სოფლებში არც ქართული პრესა შედის...

როგორც ცნობილია, მანამდე, პეტრე ცისკარიშვილის წყალობით, აბსურდული მიზეზით ჩაკეტეს საინგილოსთან დამაკავშირებელი ერთადერთი ხიდი, საიდანაც საზღვარზე ჩასახლებული ინგილოები წინაპრების საფლავების მონახულებას და ნათესავებთან კონტაქტს ახერხებდნენ. ამ ხიდის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი, რომლის სასამართლო დავებსაც ინტენსიურად ვესწრებოდით, იქამდე გაგრძელდა, სანამ საპრეზიდენტო არჩევნები არ მოახლოვდა. ხელისუფლების ასეთი მიდგომა საზღვარზე ჩასახლებულ ინგილოებს გულს სტკენს და პროტესტის გრძნობას უღვივებს.

— ვის აღარ მივმართეთ, მაგრამ უშედეგოდ... წელიწადზე მეტი ხიდი ჩაკეტილი იყო და ფეხით გადასვლასაც ვერ ვახერხებდით. წერილებიც ბევრგან ვგზავნეთ, მაგრამ სააკაშვილმა ჩვენი ხმა მანამდე არ შეისმინა, სანამ არჩევნები არ მოვიდა და ჩვენი ხმები არ დასჭირდა. ხიდი სწორედ საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე გაგვიხსნეს. ისიც იმიტომ, რომ ჩვენი გულები მოეგო და ხმები გაენაღდებინა, თორემ ხელისუფლებას რომ არ ვადარდებთ, კარგად ვიცოდით. ამჯერად, ასეთი სატყუარებით ნამდვილად ველარ გაგვაბრიყვებენ. წლები ისე გადის, არავის ვახსენდებით, მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში გვიტალახებენ გზებს. ინგილოების მასხრად აგდებას არავის ვაპატიებთ, — წუხან ინგილოები, რომელთა აზრსაც დანარჩენი მოსახლეობის დიდი ნაწილიც იზიარებს.

ადგილობრივები მძიმე ინფორმაციულ ვაკუუმთან ერთად სოციალურ პრობლემებზეც ამახვილებენ ყურადღებას. როგორც ცნობილია, საზღვრისპირა სოფლების მოსახლეობას მეზობელი აზერბაიჯნიდან საყოფაცხოვრებო ნივთები შეღავათიან ფასად გადმოჰქონდათ.

საზღვრისპირა სოფლებში წყალი ლიტრობით ისევე იყიდება, როგორც კვების სხვა პროდუქტები. უწყლობის გამო მოსახლეობა ხშირად ჰიგიენის ელემენტარულ პირობებს ვერ იცავს. სოფლების მცხოვრებნი, ძირითადად, მწერებით გაჯერებულ წყალს სვამენ.

„ხშირად ტანდაუბანელები ვართ, სარეცხსაც იშვიათად ვრეცხავთ, იმდენი წყალიც არ გვაქვს, რომ ელემენტარული ჰიგიენა დავიცვათ...“

მუდმივი გაფრთხილებების მიუხედავად, მოსახლეობა წყალს სასმელად მაინც მოიხმარს, რადგან ალტერნატივა არ არსებობს. უფრო მეტიც, საზღვრისპირა სოფლების მოსახლეობის დიდი ნაწილი, სასმელად ძველ, ხშირ შემთხვევაში კი მწერებით დაბინძურებულ წვიმის წყალს მოიხმარს... აქ უხარისხო წყალიც ფასიანია... სოფელ სამთაწყაროში, ფიროსმანში, არხილოსკალოსა და საბათლოში წყალი ლიტრობით ისევე იყიდება, როგორც სხვა კვების პროდუქტები...

„მწყურვალი რომ იხრჩობოდე, ჭიქა წყალს მეზობელსაც ვერ სთხოვ... წყალს ისევე ვუფრთხილდებით, როგორც რაიმე ძვირფასეულობას... ესაა ცხოვრება?! გამუდმებით ცას შევყურებთ, წვიმის მოსვლა ისე გვიხარია, ყველა ჭურჭელს გავავსებთ ხოლმე და მეორედ გაწვიმებამდე თავი ასე გაგვაქვს. ხშირად ტანდაუბანელები ვართ, სარეცხსაც იშვიათად ვრეცხავთ, ამდენი წყალი არ გვაქვს... ირგვლივ ანტისანიტარიაა და იმდენი წყალიც არ გვაქვს, რომ ჰიგიენა დავიცვათ...“ — აცხადებს ჩვენთან საუბარში სოფელ სამთაწყაროს მკვიდრი ქეთევან ნანობაშვილი და იქვე გულისტკენით დასძენს, რომ სოფელს სახელწოდების მსგავსად, სამი წყარო მაინც რომ ჰქონდეს, მათ ბედს ძაღლიც არ დაჰყეფდა...

მოსახლეობა დაბინძურებული წყლის გამოყენებას უკვე შეეგუა, თუმცა ბოლო თვეების განმავლობაში, ხშირი წვიმების შედეგად, წყლის ხარისხი განსაკუთრებით გაუარესდა. დედოფლისწყაროს სანიტარიულმა ინსპექციამ აღმოაჩინა, რომ რაიონში არსებული წყაროების სათავე-ნაგებობები საგანგაშო მდგომარეობაშია და წყლის ვარგისიანობაც უკიდურესად მძიმეა. სანიტარიული ინსპექცია წყალსადენის მაგისტრალის რეაბილიტაციას მოითხოვს და აუდუღარი წყლის სასმელად გამოყენებას კრძალავს.

საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზ გონაშვილი იმთავითვე აღნიშნავდა: — „აჯობებს ხალხს საკმარი წყალი მაინც მიეწოდებოდეს და გავაფრთხილოთ, რომ დაბინძურებულია და სასმელად ნუ გამოიყენებენ“ — განაცხადა მან საკრებულოს სხდომაზე. როგორც ჩანს, ბატონ გონაშვილს ავიწყდება, რომ დაბინძურებული წყლის გამოყენებას მოსახლეობაში სხვადასხვა ეპიდემიების გავრცელება მოჰყვება.

**დაჩაგრული მოსახლეობა კი ერთმნიშვნელოვნად სვამს კითხვას: „თუკი ბიუჯეტი ბევრად გაიზარდა, სად მიდის გადაჭარბებით შესრულებული თანხები და რატომ ვერაფერი იგრძნო გლეხმა?**

**ილია მარტყოფლიშვილი.**

## გულის ბუხარი

**საოცარია, მთავრობა, რომელიც საქართველოს მართავს (სხვა საკითხია, როგორ მართავს), თვლის, რომ ქვეყანაში ბრმა-ყრუობის ხანა დაიწყო. თუ ეს ასე არ არის, იქნებ ვინმემ ამიხსნას, რა პირადობის მოწმობების ნომრების ჩაწერის ციებცხელებაა დაწყებული თითქმის ყველა სამთავრობო ორგანიზაციაში, რა დაპირებებისა და თანაგრძნობის ფეიერვერკები იფრქვევა სამხარეო თუ საქალაქო ხელმძღვანელებისგან და რას ემსახურება ეს ყოველივე?**

რუსთავში, მაგალითად, ასე გულიან-ჯიგრიანები რომ ყოფილიყვნენ მთელი ოთხი წლის მანძილზე, ქალაქი და მისი მოსახლეობა აყვავებულ-აბალნარებული ექნებოდათ და, ვინ მამაძაღლი, სამთავრობო კანდიდატებისთვის ხმა დაუყვედრებლად არ მიეცა. ახლა კი ჩუმ-ჩუმად იბარებენ ხალხს, მოძღვრავენ, რომ ნაცმოძრაობის კანდიდატები შემოხაზონ არჩევნებზე და სახურავის შეკეთებისა თუ სხვა სოციალური პრობლემების მოგვარების დაპირებებით საკუთარი კორპუსებიც კი გადმოუბირონ.

მე რომ ვთქვა, უკვე მერამდენედ გვაყრიან თვალში ნაცარს და ამისას ისევ ჩვენი კისრიდან ამოინაზღაურებენო, მავანმა შეიძლება ბოროტ, ავსიტყვა კაცად შემრაცხოს. ხალხი გალატაკებული, იმედდაკარგული და დათრგუნულია, ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი ურჩევნია, ამიტომ ბევრს მართლა სჯერა ამ პირგალეძსილ ნამოქკავშირელთა დითირამბების.

ჰკითხეთ თითოეულ რუსთაველს და გეტყვიან, როგორ დარბიან ნაცების აქტივისტები ეზო-ეზო, როგორ ეძებენ სოციალურად დაუცველ თუ დაუსაქმებელ ადამიანებს და დაპირებებით ავსებენ, ოღონდ ნაცმოძრაობას გარანტირებული ხმები მოუგროვონ. ახლა განსაჯეთ, როგორი ასატანია, მართლა გაჭირვებული მეზობელი რომ მოგადგება, გულმდუღარედ გთხოვს და დაგისაბუთებს, ასე და ისე წაადგება ჩემს საქმეს შენგან წალეკული ეს ხმაო.




აღარ იცი კაცმა, რა ცეცხლს მისცე თავი.

ადრეც გავიგე, მაგრამ არ დავიჯერე, დღეს კი ყველა იმას ამბობს რუსთავში, რომ მოსახლეობის ერთ ნაწილს ტელევიზორებიც უფეშქაშეს, აქაოდა, აი როგორ ვზრუნავთ ღარიბებზეო. თავიდან ახალი გუბერნატორი პირადად აკითხავდა თურმე ხალხს სახლში (ამ მართლაც ღირებული საჩუქრითძ. ღმერთიც შეეწევათ, თუ ახლა მაინც აეხილათ გაჭირვებული მოყვასის დასანახი თვალები, მაგრამ... როგორც სამომხმარებლო კალათა, ისე მედიკამენტები და პირველი მოხმარების საგნები დღითი დღე ძვირდება და ეს წინასაარჩევნო „სანტაკლაუსები“ დანახარჯს არჩევნების შემდეგ რომ ისევ ჩვენით ამოინაზღაურებენ, ვინმეს ეპარება ამაში ეჭვი?

ხელისუფლებამ, რომელიც ყველანაირად ცდილობს, ადამიანები წვრილმანებით დააბრმავოს და ყველაზე ძვირფასი, ყველაზე ღირებული — სამშობლო გამოაცალოს ხელიდან, ოქროს კოშკებიც რომ დაგიდგას დღეს, წინასაარჩევნოდ, უნდა ხვდებოდე, ეს რაღაც შორს გამიზნული ფარსის, მუხანათობის წინაპირობაა მხოლოდ. ყოფილი სპორტსმენი გიორგი ასანიძე, რომელიც უკვე იყო პარლამენტში და, მე მართლა მგონია, ვიღაც ღირსეულის, მართლაცდა ჭეშმარიტ პარლამენტარად დაბადებულის ადგილი მოაცდინა, დღეს ისევ მაჟორიტარობის კანდიდატია და თურმე 5-5 ლარად ყიდულობს ხმებს ამომრჩევლებისგან. კარგი რა, დალოცვილო, თუ ბიზნესის ასეთი ნიჭი გაქვს, წადი კერძო ბიზნესში, ორიოდე უმუშევარი დაასაქმე და მიხვდები, ასჯერ რომ იყიდო პარლამენტარობა, სამშობლოსთვის კერძო ბიზნესმენად უფრო გამოსადეგი იქნები. მე იმ ბიზნესმენებისაც მიკვირს, ნაცმოძრაობის სიებში რომ ჩაეწერნენ, მაგრამ დააშინესო და სხვა რა გზა აქვთ. მათაც არ ადგათ უკეთესი დღე. ქვეყანაში ლეგალურ მოროდიორად ქცეულ ხელისუფალთა ხელშია მათი საწარმოებისა თუ კერძო ფირმების მომავალი ყოფნა-არყოფნის საკითხი. ვინც თავის დროზე ლობირებით ან სახელისუფლებო რგოლებთან გარიგებებით აიწყო ბიზნესი, ახლა განსაკუთრებით უფრთხის ხელისუფლების მოსალოდნელ ცვლას და საკუთარი თანამშრომლებისგან ან კეთილი დაპირებებით ან მუქარით, ნაციონალთა არჩევას მოითხოვს.

პირადად გავიგე რუსთავის ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმოს უფასო შვებულებაში მყოფი თანამშრომლისგან, როგორ დაიბარა დირექტორმა სხვა ასობით უფასოში მყოფთან ერთად და სთხოვა ნაციონალთა მოხალისე და აქტიური მხარდამჭერი გამხდარიყო, სანაცვლოდ კი სამსახურში აღადგენდა. იმან დამარწმუნა, თუ ნაციონალები პარლამენტში ვერ გავლენ, ჩვენი საწარმო დაიხურებაო, ამტკიცებდა უფასო შვებულებაში მყოფი, აქამდეც თითქმის გაჩერებული საწარმოს ფორმალური „თანამშრომელი“, თორემ ისე, უსამსახურო, უჯამაგირო კაცი. ბევრი ასეთის დარწმუნება მოუხერხებიათ, როგორც ჩანს. ერთმა ისიც მითხრა, მირჩიეს, ხალხის დასანახად ჩვენ გვლანძღე, ვითომ ოპოზიციონერი ხარო. მეორე მოუტყუებიათ, ყველა ხმის გადამოწმება შეგვიძლია ბიულეტენების ნომრების მიხედვით და არ გაბედო, რომ სხვა შემოხაზოო.

ერთმა ახლობელმა ქალბატონმა დამირეკა და შიშნარევი, შეშფოთებული ხმით მკითხა, რას გვიპირებთ, რატომ გვაგდებთ ლომის ხახაში, მეზობელი მეზობელს უპირისპირდება, ნათესავი ნათესავს და ისევ რომ წააგოს ჩვენმა ოპოზიციამ, სად გვიტოვებთ გასაქცევს? ერთადერთი მე ვმუშაობ ჩემი ოჯახიდან. დღე ერთია და ათჯერ მიბარებს უფროსი, რომ როგორმე ოცამდე ადამიანის პირადობის მოწმობის ასლები მიმატანინოს. დავიარე მეზობლები, ავუხსენი მდგომარეობა, მაგრამ განა ყველა დამთანხმდა. არჩევნებამდე ჩემი მემართება და მაგ დღეს რომ ვერ მოვესწრო, არც ეგ იქნება გასაკვირიო.

ერთ უბინაო მანდილოსანს, რომელიც ოჯახთან ერთად რუსთავის ერთ-ერთი საერთო საცხოვრებლის პატარა ოთახშია შეყუჟული, პირადობის მოწმობების ნომრებისა და ნაციონალებისათვის გარანტირებული ხმების მიტანისთვის ბინით დასაჩუქრებას დაჰპირდნენ

იხ. 6 გვ.

გულის ბუხარი

# რა დავარქვათ ამ გაუთავებელ მარაზმს, ნაციონალებო?!



(მეხუთე გვერდიდან)

და ისიც დარბის საბრალო, აბა ამ საყოველთაო სიძვირის პირობებში ნანატრი ბინის ასე იოლად მიღებას ეხუმრებით?

ერთ მამაკაცს უფასო ბენზინს უსხამენ მანქანაში, რომ ახლობლები და ნათესავები უპრობლემოდ შემოიაროს და ნაციონალებს ხმები მოუგროვოს.

სკოლის მასწავლებლებს ხომ გამუდმებით უტარებენ ეგრეთ წოდებული პარტიული თათბირების მსგავს შეკრებებს, რომ დაარწმუნონ, ნაცმოძრაობა და მისი კანდიდატები უალტერნატივოა და არ გაბედოთ, ხმა სხვას მისცეთო. მათგან ბევრმა მოირგო მედროვის ქუდი და ვერც ამის გამო დაძრახავ. ბევრჯერ გადაიარა უმუშევრობის ტალღამ მათ თავებზეც და თუ (ღმერთმა კი დაგვიფაროს,ძ ამ არჩევნებში ისევ რაღაც მაქინაციებით ნაცებმა „იმარჯვეს“, ადვილად წარმოუდგენიათ რა დღეც მოელით მოწინააღმდეგეებს. ასეთი შიში და ტერორია ნეტავ სხვა ქალაქებშიც?

აფორიაქებული და ფერდაკარგულია მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვან თანამდებობაზე მყოფი ყველა ჩინოვნიკი და ერთადერთი, რაც ალბათ სიზმარშიც ელანდებათ, მოქალაქეთა პირადობის მოწმობებია. დადიან, სადაც მიესვლებათ, აშფოთებენ და ემლიქვნელებიან ყველას, ვისთანაც გაუვათ. ლაპარაკი აღარ მაქვს ქარხნებსა თუ ვაჭრობის ობიექტებზე, იქ თავისთავად ყველა მუშა და მოსამსახურე, ვინც ასე თუ ისე შერჩა ნანატრ-ნალოლიავებ სამუშაო ადგილს, ადვილი დასარწმუნებელი და დასამორჩილებელია. კერძო ფირმებშიც დაფათურობენ, შიგადაშიგ არც მუქარებზე იხევენ უკან (თუმცა ამ განხრით მეტ-ნაკლებად მაინც ფრთხილობენ, რადგან არ უნდათ, კვალი აშკარა და შესამჩნევი იყოს და ამით სალაპარაკო მისცენ ოპოზიციასძ. დადიან, დათარეშობენ და რას მიელტვიან, ყველასთვის ცხადია.

ამბობენ, ჩვენი სამხარეოს ახალი შეფიც კარგად ახერხებს პირადობის მოწმობების ნომრების შეგროვებასო. ახლა გაახსენდათ მეტალურგიული კომბინატის იმ პენსიონერთა დავალიანება, უკვე წლებია ამაოდ რომ დადიან უწყებიდან უწყებაში და კუთვნილის მიცემაზე აღარაა ლაპარაკი, ძაღლადაც არ აგდებენ სააკაშვილის გაზულუქებული ჩინოვნიკები. თუმცა აქ ვცდები. ერთ მშვენიერ დღეს რუსთავში ვიზიტად მყოფმა ნინო ბურჯანაძემ გულმოდგინედ მოუსმინა და დაპირდა... გუბერნატორმა კირკიტაძემ ხელის ჩამორთმევითა და ჩახუტებით მიიღო და მოუბოდიშა, არჩევნებამდე შეიძლება სრულადაც ვერა, მაგრამ ეტაპობრივად მაინც აუცილებლად დაგიბრუნებთ პენსიასო. მას შემდეგ რამდენიმე კვირა გავიდა და დადიან ასე დაიმედებული პენსიონერები. ბოლოს კირკიტაძე იმასაც დაჰპირდა, პრეზიდენტთან მაქვს შეხვედრა და აუცილებლად დავსვამ თქვენს საკითხსო, მაგრამ ეგ ადარდებთ ან მას ან მის პრეზიდენტს? რაც მთავარია, პენსიონერთა პირადობის ნომრები სახელდახელოდ ჩაიწერეს, ახლა არჩევნებს „ეჩალიჩებიან“ და ესენი კი ელოდონ, როგორც ელოდნენ ჯერ შევარდნაძის, შემდეგ ამათ ხელში, რა იკარგება ნაცმოძრაობისა?

პრეზიდენტ სააკაშვილის სატელევიზიო პიარ-კლიპებმა კი ლამის ცხარე ცრემლით მაღრიალოს. აქამდე გვარიანად გაძარცვული რუსთავის ამწეთმშენებელი ქარხანა, რომელიც, ღმერთმა უწყის, რა წარმომავლობისა და რეპუტაციის უცხოელ ინვესტორს ჩაუგდეს ხელში, პრეზიდენტის თქმით, უკვე მწყობრშია, დანადგარებიც შეძენილია და გზაშია. უახლოეს მომავალში კი იქ 1500 ადამიანი დასაქმდება. სინამდვილეში 400 თუ დასაქმდა, ისიც კარგი. ყველგან ახალი ამერიკის აღმოჩენაც ძალიან უყვარს სააკაშვილს და ალბათ, ამიტომ განაცხადა, რუსთავში ცემენტის წარმოებას ახლა ჩაეყარა საფუძველიო. ცემენტს აქ კარგა ხანია აწარმოებდნენ, თვით მის გაპრეზიდენტებამდე გაცილებით ადრე, მაგრამ დასჭირდა კაცს პიარისთვის და დაარეხვა ტყუილი. მეტალურგიული კომბინატიც ხომ დიდი ზარ-ზეიმით გაასხვისა თავის დროზე და დაგვიმტკიცა, 2008 წლის ბოლომდე აქ 8 ათასი ადამიანი იმუშავებსო. ნეტამც აგვხდენოდა ეს ყველაფერი, რაც დიდი შეღავათი იქნებოდა უმუშევრობით გატანჯული ქალაქისთვის, მაგრამ...

ახლა გაიხადეს დევიზად, საქმე ლაპარაკის ნაცვლადო. ტრაქტორის ფონზე ერთი უბრალო სოფლელი მოხუცი რომ გამოუჭერია პრეზიდენტ კაცს და ათასი იმგვარი რამე ულაპარაკებია, საქმესთან საერთოდ

გლობუსი

# ცუდი პოლიტიკით გამოწვეული

**რაც დრო გადის ენერგეტიკული პრობლემები მსოფლიო პოლიტიკოსთა და უბრალო ადამიანთა სერიოზული შეშფოთების საგანი ხდება. ნავთობზე და გაზზე ფასების მატებამ ჯაჭვური რეაქცია გამოიწვია.** ფასები გაიზარდა ყველაფერზე, მათ შორის კვების პროდუქტებზე. აშშ-ს მოწოდება „ოპეკის“ წევრი სახელმწიფოებისადმი გაზარდონ ნავთობის მოპოვება, მოწოდებად რჩება. „ოპეკის“ განცხადებით, საკმაო რაოდენობის ნავთობი მოიპოვება, ამდენად გაზრდას აზრი არა აქვს. საქმე დოლარის გაუფასურებაშია.

ტკბილ მოგონებად დარჩა თუნდაც ერთი თვის წინანდელი საგანგაშო პროგნოზი ბარელი ნავთობის ფასთან – 100 დოლართან დაკავშირებით. დღეს აღარავის უკვირს 126 დოლარი ერთ ბარელზე. უფრო მეტიც პროგნოზით 200 დოლარამდე გაზრდაც ცხრა მთას იქით არ არის. ყოველივე ამას ერთვის მსოფლიოს ეკონომიკური „ელმავალის“ ეკონომიკური შეფერხება. ქვეყანა ეკონომიკურ რეცესიას განიცდის. ზოგი ეკონომისტის აზრით, შორს არ არის ეკონომიკური კრიზისი. **ყველაფერთან ერთად მძიმე ვითარების ამსახველია თუნდაც ის, რომ ამერიკელებმა დაიწყეს ერთმანეთის ავტომანქანებიდან ბენზინის მოპარვა. ამას წინათ ტელეკომპანია სი-ენ-ენისათვის მიცემულ ინტერვიუში სატვირთო ავტომანქანის მძღოლი შეშფოთებული აცხადებდა, რომ ავზის შევსებისათვის დღეს მას 1000 დოლარის გადახდა უხდება, გუშინდელ 500 დოლართან შედარებით.**

ენერგეტიკაზე ფასების მატება ემთხვევა კვების პროდუქტებზე ფასების მატებას. სპეციალისტების აზრით, ლომის წილი მოდის ენერგეტიკაზე ფასების გაზრდიდან, სწორედ ის იწვევს კვების პროდუქტებზე ფასების მატებას. როგორც არ უნდა იყოს, ისეთ მარცვლეულზე, როგორებიცაა ბრინჯი, ხორბალი და სხვა, ფასების გასამმაგებამ მომაკვდინებლად იმოქმედა მესამე ქვეყნებზე და არა მარტო მათზე, რაც ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლებში, დემონსტრაციებში, პოლიციასთან შეტაკებებში და მსხვერპლში გადაიზარდა. 100 მილიონი ადამიანი აღმოჩნდა შიმშილობის ზღვარზე. ამას წინათ აშშ-ს პრეზიდენტმა ბუშმა, პრობლემის მოგვარების მიზნით, საგრძნობი რაოდენობის თანხა გამოჰყო, მაგრამ ის ზღვაში წვეთია უსერიოზულესი კრიზისის დასაძლევად. განსაკუთრებით დიდი პრობლემებია ბრინჯის წარმოების საქმეში. ამ პროდუქტით მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარი იკვებება. **ვითარება დაამძიმა მიანმის (ბირმის) დამანგრეველმა ქარიშხალმაც. ათასობით ჰექტარი ბრინჯის ყანა განადგურებულია. სოფლის მეურნეობის ექსპერტთა აზრით ბირმა ველარ შეძლებს მიაწოდოს მსოფლიოს საკუთარი ბრინჯი. ბირმას, მსოფლიო ბაზარზე, ყოველწლიურად 600 000 ტონა ბრინჯი შეჰქონდა.**

ენერგეტიკული და კვების პროდუქტების კრიზისულ ვითარებას ბევრი ჩინეთსა და ინდოეთს აბრალებს, რაც არ არის შორს სინამდვილისგან. ბოლო 20 წლის განმავლობაში ამ ქვეყნების სამრეწველო განვითარებამ, სწრაფმა ურბანიზაციამ და სხვა ფაქტორებმა, მილიონობით გლეხი მიიზიდა ქალაქებისაკენ. გლეხი, მუშად იქცა, ანუ გუშინდელი სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებელი, მომხმარებლად.



ამ ერთობ რთულ ვითარებაში თავს შედარებით კარგად გრძნობენ ის ქვეყნები, რომლებსაც ნავთობისა და გაზის საბადოები აქვთ. ამ მხრივ პოსტსაბჭოთა სივრცეში გამოირჩევიან აზერბაიჯანი, შუა აზიის ქვეყნები და რუსეთი.

მათ შორის პირველია რუსეთი – მრავალწლიანი მოპოვება-დამუშავების სისტემის მქონე სახელმწიფო, რომელსაც შექმნილი აქვს ენერგომატარებლების უცხოეთში ტრანსპორტირების მრავალფეროვანი სისტემა. ენერგორესურსების მოპოვება-გასაღების საქმის გაპოლიტიზება აღიზიანებს ვაშინგტონსა და ბრიუსელს, მაგრამ რა გაეწყობა – ძალა აღმართს ხნავს. რუსი პოლიტიკოსები საზრიანად იყენებენ ენერგეტიკულ ბერკეტებს, რასაც არ მიესალმება დასავლეთი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რუსეთის ადგილას, დასავლეთი რუსეთივით მოიქცეოდა.

რუსეთ-ევროკავშირს შორის ენერგეტიკული თანამშრომლობა დიდი ხანია მიმდინარეობს, თუმცა არცთუ ულრუბლოდ. რუსეთის პოზიცია ევროკავშირის ქვეყნებს შორის დაპირისპირების საგნად არის ქცეული. ამ მხრივ გარკვეული უთანხმოებაა ევროკავშირის ძველ და ახალ წევრებს შორის. ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა პოლონეთი, ბალტიისპირა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, მკაცრი პოლიტიკის გატარებას მოითხოვენ. ასეთი მიდგომის შედეგად შარშან ვერ გაფორმდა რუსეთ-ევროკავშირის თანამშრომლობის ახალი ხელშეკრულება. წინააღმდეგი გამოვიდა პოლონეთი, რომელიც განაწყენებული იყო რუსეთის ემბარგოთი, რუსეთში, პოლონეთიდან შესატან ღორის ხორცზე. პოლონეთის ახალი მთავრობის ჩამოყალიბების შემდეგ ეს პრობლემა მოგვარდა, მაგრამ ამჯერად ლიტვა გამოდის წინააღმდეგ, მოითხოვნით, რომ გამკაცრდეს ხელშეკრულების ის პუნქტები, რაც რუსეთიდან ენერგომატარებლების მიღებას ეხება.

მოსკოვ-ბრიუსელის თანამშრომლობის ხელშეკრულება 1997 წელს გაფორმდა და ცხადია ის გარკვეულ ცვლას საჭიროებს. რუსეთი მზად არის ახალი ხელშეკრულების ხელმოწერისათვის, ოღონდ მიიჩნევს, რომ ნავთობის მოპოვება-ტრანსპორტირებასთან ევროკავშირს არაფერი ესაქმება. ამას წინათ ჟურნალი „ეკონომისტი“ წერდა, რომ ევროპის 495 მილიონი მოსახლე, საერთო წლიური ეროვნული შემოსავლით – 16.8 ტრილიონი დოლარი, 160 მილიონიან რუსეთს, საერთო ეროვნული შემოსავლით 1.3 ტრილიონი, მძევლობაში ჰყავს. პუტინის რუსეთმა მოახერხა ცნობილი პოლიტიკის – დაჰყავი და იბატონეს, ცხოვრებაში გატარება. რუსეთს ცალკე ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული გერმანიასთან, იტალიასთან, საბერძნეთთან, ავსტრიასთან, ნიდერლანდებთან, ბულგარეთთან – ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან, რაც ერთობ აიოლებს რუსეთის პოზიციებს მთლიან ევროკავშირთან მიმართებაში. ზემოთჩამოთვლილი ქვეყნები თვლიან, რომ ევროკავშირი ევროპის ერთობის საწინდარია, მაგრამ საკუთარი პრობლემები მაინც უპირველესია. **ამდენად, ხელშეკრულების გაუფორმებლობით რუსეთი არ არის შეწუხებული, მას მოცდაც შეუძლია, რაც დაადასტურა ევროკავშირში რუსეთის წარმომადგენელმა ჩიჟოვმა. ჩიჟოვის განცხადებით, მისი ქვეყანა მზადაა ევროკავშირთან თანამშრომლობისთვის, ოღონდ ამ ორგანიზაციამ თვით უნდა გაარკვიოს რა უნდა. მიუხედავად ახალი ხელშეკრულების არარსებობისა, რუსეთ-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობები, 2000 წელთან შედარებით, გასამმაგებულია, რაც ამტკიცებს რუსეთის პოზიციებს.**

ენერგეტიკული პრობლემების გამძაფრება, ნავთობზე ფასების ზრდა, პოლიტიკასაც უკავშირდება. საკმარისია დიდი ქვეყნების მეთაურის ან გავლენიანი პროლიტიკოსის მიერ მკვეთრი განცხადების გაკეთება, რომ ნავთობზე უმალ აიწიოს ფასები.

ნავთობის ფასებზე სერიოზულად მოქმედებს სტიქიური უბედურებები, საომარი მოქმედებები და სხვა ფაქტორები. მასზე

◎ გულის ბუხარი

რომ არაა ახლოს, ეგაა საქმიანი კაცის სიტყვა? მოხუცმა დაიჩივლა, რაიონს ადგილობრივი მაჟორიტარი უნდა, თორე სად ვირბინო თბილისში, ვთქვათ ბერძენიშვილი თუ აირჩიესო. კარგით რა, დალოცვილებო, მე ჟურნალისტი ვარ და მერე რა რომ რუსთავის მერი ან საკრებულოს თავმჯდომარე აქაურია, წელიწადია მათთან შეხვედრას და კონკრეტული, საქმიანი ინტერვიუს ჩაწერას სულ უშედეგოდ ვცდილობ. როცა ხალხი არ უნდა და თავს მათთან კი არა, თავის დამნიშვნელ-მწყალობელ ზემდგომებთან გრძნობს ვალდებულად, შენი საკუთარი ოჯახის წევრიც რომ იყოს, არ მოგისმენს, არ გაგიკარებს. ეს მათი პარტიული პრინციპია და გულშიც რომ ჩაიჯინოს იმ მოხუცმა, მაინც უსაშველოდ შორს იქნებიან.

პრაიმ-ტაიმში ინგა გრიგოლიასთან მომავალი პარლამენტის ციცერონი (ანუ ახალი ბოკერიაძ გოკა გაბაშვილი, რომელმაც თავისი მინისტრობის წლებში დახურა ბიბლიოთეკები და 100 ათასობით წიგნი გაანადგურა, უსინდისოდ წაართვა მწერლებს დიდი მეცენატის მიერ ნაანდერძევი მწერალთა სახლი, დააკნინა კულტურა და ხელოვნება, თუთიყუშივით ერთსა და იმავეს იმეორებდა — არა სიტყვა, არამედ საქმეო, ჩვენ გაზს მივცემთ სოფლებსო... მერედა დაცარიელებულ სოფლებს, სოციალურად გაღატაკებულ (ისევ თქვენი მთავრობისგან გაძარცვულძ სოფლის მოსახლეობას მამასისხლად მიწვდილი გაზი რას უშველის? სოფელს აღორძინება, ეკონომიკური გაძლიერება, მანქანა-ტრაქტორები, იაფი საწვავი და მოწეული მოსავლის ბაზარი სჭირდება. ქართული სოფელი მარტო ყურძენი და ციტრუსი როდია. ისევე, როგორც საქართველო არაა მარტო მიწა, მთაბარი (თავისი მინერალური თუ ტყის რესურსებითძ, გასაყიდად გამზადებული და ათასი აფიორით გასხვისებული სახელმწიფო საწარმოები. აქ მთავარი ხალხია. თქვენ კი ხალხზე არ იზრუნეთ, ამ მიწის სიმდიდრეთა დატაცება აირჩიეთ პრიორიტეტად.

დიახ, ნაციონალებო, მთავარი საქმეა და თქვენმა „საქმემან საგმირომან“ გამოიყვანა ქუჩაში ხალხი, თქვენმა ნამოქმედარმა ჩანერგა პროტესტი თითოეული ქართველის გულში და რომც გაიყიდონ, თქვენ ამ ხალხის ხმებს არ იმსახურებთ, არა.

ამ მარაზმს, რაც წინასაარჩევნოდ საქართველოს თავზე დაატრიალეთ, რა ჰქვია, თავადაც შესანიშნავად უწყით, ცეცხლს სკამებისთვის ეთამაშებით, საქართველო კი თქვენნაირებს ან როდის ადარდებდა?

**გივი ჯახუა**

◎ ჩიხი

# იმ ერთ დაპირებას კი არავინ არ იძლევა...



**რასაა, რომ არ პირდებიან ამომრჩევლებს ეს ენააქავებული დეპუტატობის კანდიდატები: ქვეყნის გამთლიანებაო, სოციალური პრობლემების მოგვარებაო, უფასო განათლებაო, საგადასახადო სისტემის გადახედვაო, სიღარიბის დაძლევაო, ორასლარიანი მინიმალური ხელფას-პენსიაო, გაზის, გზების, სასმელი წყლის გაყვანაო და კიდევ რამდენი „აო“ და „აო“...**

მოკლედ, მაგათ რომ ჰკითხო და დაუჯერო კიდევაც, 21 მაისის შემდგომ საქართველოს ველარ იცნობ და ალისა (ლუის კეროლის სახელგანთქმული ზღაპრის გმირ გოგონაზე მოგახსენებთძ რომ ჩამოვიდეს, ეგებ გაუკვირდეს კიდევაც — სასწაულების ქვეყანა ეს ყოფილაო.

არადა, რაც მე ტელეეკრანს ვუყურებ და ვუსმენ (უშუალო შეხვედრებზე, მობილურიც რომ შემიგდო, მაინც არ შევალძ, არც ერთ მათგანს, არც ერთ კანდიდატს კრინტი არ დაუძრავს კი არა, ფიქრადაც არ გაუვლია საქართველოში არსებული უთანასწორო, უსამართლო და უსინდისო სახელფასო სისტემის, უთანაბრო, დასაგმობი და მოსასპობი ფულადი ანაზღაურების თაობაზე საკითხის დაყენება.

კაცო, დაქცეულ, გაპარტახებულ, გამათხოვრებულ ქვეყანაში, დღეს რომ არის ისეთ სოციალურ ფონზე რომ პარლამენტარებს 2000-2500-3000 ლარი ხელფასები აქვთ, ნაირ-ნაირი სარგო-მარგო და სიკეთე და მინისტრებს კიდევ მგონი მეტიც — რაში? ნახევარჯერ სხდომებს რომ არ ესწრებიან, მოსახლეობისთვის, მოქალაქეთათვის რომ პრაქტიკულად მიუწვდომელნი არიან, შინ თუ გარეთ ასე რომ დაგრიალებენ, იმაში? თუ ხალხისათვის, ქვეყნისთვის თვეში 3 ათასისას შრომობენ — ხალხს, ქვეყანას ეს რატომ არ ეტყობა? არა, ვილაცას რომ, გინდ ბანკირი იყოს, გინდ სხვა ფინანსისტი, ამ საცოდავი ყოფის ფონზე თვეში 12 ათასი ლარი ენიშნება, ღმერთი აღარ არის? დავიჯერო, დღეში 400 ლარის საქმეს აკეთებს? ბევრს ხომ 400 ლარი დღეში კი არა, 4 თვეში ვერ „გაუკეთებია“!

ასე რომ, ძვირფასო კანდიდატო, ხელფას-პენსიის აწევას თუ მპირდები თვეში 200 ლარამდე, შენი არჩევის შემთხვევაში, ასეთი დაპირება რატომ არ მოგაფიქრდა: პარლამენტარი თუ გავხდები, ყოველგვარ ხელისუფალთა დაუმსახურებლად მაღალი ხელფასების დაწევის საკითხს დავაყენებო?

ანდა პენსიის ამბავი ავიღოთ: პედაგოგად, ექიმად, რკინიგზელად, დამლაგებლად თუ მეცნიერ-თანამშრომლად 40, 50, 60 წელს ნამუშევარს რომ სამარცხვინო 40, 50, 60 ლარი პენსია ენიშნება, რომელიმე სამთავრობო აპარატში 8 წლით მაინც ნამსახურევს კი — 300 ლარიდან ზევით, — ეს სადაური წესია, ასინეთასი? შესაბამისი კანონების გადახედვას რატომ არ მპირდები?...

... რაც გინდათ თქვით, მაგრამ ლუის კეროლი ცოცხალი რომ იყოს, უთუოდ დაწერდა ახალ ზღაპარს — „ალისა საქართველოში“...

**თამაზ ებანოიძე**

◎ გლობუსი

# ენერგეტიკული კრიზისი

უაღრესად მძიმედ მოქმედებს ომები ავღანეთსა და ერაყში. ეკონომისტების (მათ შორის ამერიკელისძ აზრით, ერაყისა და ავღანეთის ომებმა მძიმედ იმოქმედა არა მარტო აშშ-ს ეკონომიკაზე, არამედ მისი მოკავშირეების ეკონომიკაზეც. ამას წინათ აშშ-ში დაიბეჭდა ცნობილი ამერიკელი ეკონომისტისა და ნობელის პრემიის ლაურეატის ჯოზეფ სტიგლიცის წიგნი სათაურით „ომი სამ ტრილიონ დოლარად“. ავტორი, სხვა ცნობილ თანაავტორებთან ერთად, აღწერს თუ რა გავლენა იქონია ერაყ-ავღანეთის ომებმა ნავთობის ფასების ზრდაზე. სტიგლიცი აღნიშნავს, რომ „იარაღში დახარჯული ფული, უნიტაზში ჩარეცხილი ფულია“. ავტორის აზრით, ერაყის ომი არ არის შემთხვევითი შეცდომის შედეგი, არამედ იმ მცდარი პოლიტიკის შედეგია, რასაც აშშ-ში ჰქონდა ადგილი ბოლო წლების განმავლობაში. წიგნის მიხედვით ავღანეთ-ერაყის ომი 1,6 მილიონმა ამერიკელმა გაიარა, რომ ერთ ჯარისკაცზე დახარჯული თანხა 4-ჯერ აღემატება მეორე მსოფლიო ომის ხარჯებს. **დაღუპული მეომრის მშობლებისა და ახლობლების ერთჯერადი დახმარების თანხა 100.000 აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო 400 000 დოლარი 20 წლის განმავლობაში ეძლევათ დაღუპულის ახლობლებს. ომში მიღებული ჭრილობებისათვის ჯარისკაცი წლიურად 45.000 დოლარს იღებს, ხოლო მისი გარდაცვალების შემთხვევაში ქვრივი — სიცოცხლის ბოლომდე. ერაყში საომარი მოქმედების დასაწყისში, საკუთარი ნაბიჯის გასამართლებლად აშშ-ის ადმინისტრაცია აცხადებდა, რომ დანგრეული ერაყის აღსადგენად 1.7 მილიარდი დოლარიც იქნებოდა საკმარისი, რაც 2003 წლის მონაცემებით, გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ომში დახარჯული ერთი დღის თანხები. ომის დასაწყისში ბუში და მისი გუნდი აცხადებდა, რომ საერთო დანახარჯი 50-60 მილიარდს არ აცდებოდა. პირდაპირმა სამხედრო ხარჯებმა 645 მილიარდს გადააჭარბა. თუ ომის დასაწყისში ერთი დღე 4.4 მილიარდი ჯდებოდა, დღეს — 16 მილიარდი ჯდება. ოფიციალური მონაცემებით თითოეულ ამერიკულ ოჯახს ომი, თვიურად, 138 დოლარი უჯდება.**



უდიდესი თანხები იხარჯება ბენზინზე, ვინაიდან ერაყში არ არის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები, ბენზინი ჯარისთვის კუვეიტიდან და საუდის არაბეთიდან შედის. თუ მეორე მსოფლიო ომის დროს ერთ მოკლულ ჯარისკაცზე 1.6 დაჭრილი მოდიოდა, ვიეტნამში — 2,6, ერაყში 7 მოდის. ხუთი წლის განმავლობაში 67.000 ამერიკელი ჯარისკაცი დაიჭრა. წიგნში აღნიშნულია მთავარი: ომი არ არის ერაყისათვის. ომმა მიწასთან გაასწორა ამერიკელთა მიმართ შიიტი მოსახლეობის 78 პროცენტის და სუნიტთა 97 პროცენტის ლოიალური დამოკიდებულება. ანტიამერიკულ გამოხდომებს ამერიკელები სისასტიკით პასუხობენ. 26.000 ერაყელი, ამერიკულ ციხეებშია, ხოლო თვით ერაყში — 50.000. ამერიკელი ეკონომისტები გაღიზიანებული არიან იმ ფაქტით, რომ დიდი ფული იფლანგება არაეფექტიანად. ომს ამერიკისადმი უპატივცემულობის მეტი არაფერი მოაქვს. ამერიკის კონგრესმა ერაყის აღსადგენად პირველი ტრანში — 18.4 მილიარდი 2003 წელს გამოჰყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთ ერაყელზე უფრო მეტი თანხა იყო გამოყოფილი, ვიდრე 1947-49 წლებში „მარშალის გეგმით“ ერთ ევროპელზე. შედეგი არ ჩანს. გაეროს მონაცემებით, მსოფლიოში წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოსაფხვრელად წლიურად 8 მილიარდი დოლარია საჭირო. ამ დროს ერაყში ამერიკელთა ოთხი დღით შენახვისთვის იმდენივე თანხა იხარჯება. ომის შედეგად ერაყში 2 მილიონი ლტოლვილია, ხოლო ქვეყნიდან გახიზნულია 1.9 მილიონი ადამიანი.

ამერიკელთა „საგმირო“ საქმეებმა უაღრესად ნეგატიურად იმოქმედეს ეკონომიკასა და ნავთობის ფასებზე. ომი გრძელდება და არავინ იცის რამდენ ხანს გასტანს. ისიც საყურადღებოა, რომ მიუხედავად კრიზისული ვითარებისა, როგორც აშშ-ს დღევანდელი ადმინისტრაციას, ისე მომავალს თვალი საკითხების ძალისმიერად გადაწყვეტისაკენ გაურბის. ამის დასტურად პრეზიდენტობის კანდიდატის ჰილარი კლინტონის განცხადებაც კმარა, რომ ისრაელზე ირანის თავდასხმის შემთხვევაში აშშ-ი გაანადგურებს ირანს.

ამერიკელთა სხვაგვარი, ერთობ გამოუცნობი ქმედებები ხელს აძლევს საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას, რიხიანი დამოკიდებულება ჰქონდეს სეპარატისტული რეგიონებისა და რუსეთის მიმართ. ხელისუფალთა გაუმართლებელ კუნთების თამაშს ხმას უწყობს ზოგიერთი პოლიტოლოგის „კატეგორიულობა“ 1994 წლის მოსკოვის ხელშეკრულებიდან გამოსვლასა და რუსი სამშვიდობოების გაყვანასთან დაკავშირებით. მავანი მოითხოვს აფხაზეთის საკითხი უშიშროების საბჭომ კი არა გენერალურმა ასამბლეამ განიხილოს, თუმცა როგორ უნდა განხორციელდეს „დიდი მიზნები“, არავინ უწყის. **გაეროს გენერალური ასამბლეის წესდების მიხედვით, ის უფლებამოსილია განიხილოს ნებისმიერი საკითხი, გარდა იმ საკითხებისა, რომელსაც უშიშროების საბჭო იხილავს. აფხაზეთის საკითხს კარგა ხანია იხილავს უშიშროების საბჭო. დავუშვათ, მოხდა სასწაული და გენერალურმა ასამბლეამ განიხილა ჩვენი საკითხი, რა გარანტიაა, რომ გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა მხარი დაგვიჭირონ? გაეროში ყოველთვის იყო და არის დიპლომატიური ვაჭრობა. არც აშშ-ს ძალისხმევა იქნება საკმარისი სათანადო ხმების მოსაპოვებლად, ვინაიდან გაეროს თითქმის 200-მდე წევრი სახელმწიფოდან უმრავლესობა ვაშინგტონისადმი ნეგატიურად არის განწყობილი და თუ ისინი დათანხმდებიან ვაშინგტონს საქართველოსთვის მხარდაჭერაზე, სანაცვლოდ ისეთს მოითხოვენ, რაც ნაკლებად დააკმაყოფილებს აშშ-ს. მაგალითად პოლონეთში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განლაგებაც კმარა. ვარშავა თანხმობის სანაცვლოდ ითხოვს პოლონეთის შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციას, რაც 14 მილიარდს საჭიროებს. ამერიკელები მზად არიან გაიღონ მხოლოდ 20 მილიონი დოლარი.**

**გენერალურ ასამბლეას შეუძლია რეკომენდაციები მისცეს გაეროს წევრებს ან უშიშროების საბჭოს. რეკომენდაციებს არ აქვს სავალდებულო ხასიათი. ნებისმიერი საკითხი, რომელიც საჭიროებს კონკრეტულ ქმედებას, გენერალური ასამბლეის მიერ გადაცემა უშიშროების საბჭოს საკითხის განხილვის წინ ან შემდეგ.**

აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთადერთი გზა საკითხის მოსაწესრიგებლად იყო და არის წესიერად მოქცევის გზა, ანუ ყოველგვარი გამაღიზიანებელი რიტორიკისა და ქმედების შეწყვეტა, როგორც სოხუმ-ცხინვალის, ისე მოსკოვის მიმართულებით, 1994 წლის მოსკოვის ხელშეკრულების მოთხოვნების შესრულება, რაც თავისუფალ კოდორს გულისხმობს და სხვა. დადებითი ქმედება შესაძლებლობას მისცემს ქართულ მხარეს დიალოგისთვის საფუძვლის შესაქმნელად. **ქართულმა მხარემ ყველაფერი იმის საწინააღმდეგოდ უნდა გააკეთოს, რასაც ის 1992 წლიდან დაწყებული აკეთებს. შეძლებს ამას თბილისი?**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

## პოლიტოლოგიური ჩანაწერები

# ცხოვრების სინამდვილის გამრუდებით

### 3. ბავშვიჭამია კომუნისტები

ჟურნალისტთა თუ რომელ კატეგორიას ეკუთვნოდა ტ. ტერცანი, ამას თვალნათლივ გვიხატავს მისი სიტყვები, რომლითაც მან 1991 წლის 28 სექტემბერს ბაქო აღწერა: «როგორ მოხდა, რომ ყოველივე იქიდან, რასაც ბოლო წლებში გაზეთებში საბჭოთა კავშირის შესახებ ვკითხულობდი, ვერ გავიგე, თუ რამდენად სასოწარკვეთილი იყო ამ ხალხის მდგომარეობა? როგორ მოხდა, რომ ათეული წლების განმავლობაში, ამ ქვეყნის, ამ ხალხის გვეშინოდა?! მოსკოვს რომც გადაეწყვიტა, დასავლეთისათვის დაერტყა, უკანასკნელ წამში გაითიშებოდა ტელეფონი, რომლითაც ბრძანება უნდა გაეცათ. ვერ მონახავდნენ გენერალს, რომელსაც სამხედრო არსენალის გასაღები ჰქონდა და პირველი რაკეტა თავზე დაეცემოდა იმათ, ვინც მის გასროლას დააპირებდა! ახლა რომ ვუყურებ, საბჭოთა ადამიანები სიბრალულს უფრო იწვევენ, ვიდრე – შიშს».

არ ვიცი, რა შთაბეჭდილებას მოახდენს ჩემს თანამემამულეებზე ეს სიტყვები, მაგრამ ისინი XX ს.-ის მეორე ნახევრის იტალიის კონკრეტულ ისტორიულ-პოლიტიკურ კონტექსტს ეხმაურება. საბჭოთა კავშირის არ ეშინოდათ იტალიის პრეზიდენტს სანდრო პერტინის, იტალიელ მწერლებსა და მოაზროვნეებს: პიერპაოლო პაზოლინის, ალბერტო მორავიას, ელზა მორანტეს, ინაციო სილონეს, სხვებსა და სხვებს, რომლებიც, სხვათა შორის, საბჭოთა სისტემის მეტასტაზებს სხვებზე ნაკლებად როდი ხედავდნენ და ამხელდნენ კიდეც. დარწმუნებული ვარ, არ ეშინოდა არც თვით ტ. ტერცანის მამას, კაცს, რომელიც, როგორც თვითონ ჟურნალისტი იხსენებს, ფლორენციაში, მის სახლში შევარდნილ ფაშისტებს რომ გაქცეოდა, მცირეწლოვანი ვაჟიშვილის თვალწინ მესერს გადაახტა და თავს გაქცევით უშველა.

დიახ, ამ პიროვნებებს არ ეშინოდათ საბჭოთა კავშირის. ეშინოდა იმ ხალხს, ვინც ირწმუნებოდა, კომუნისტები ბავშვებს ჭამენო.

სხვათა შორის, როდესაც ბავშვიჭამია კომუნისტებზე 1991 წლის გაზაფხულზე ჩემმა თანატოლებმა სამხრეთ იტალიის დაბა პოლინიანო დე მარეში მიამბეს, მეგონა, იტალიელი ჟურნალისტების მიერ მოგონილ ერთ-ერთ აკრობატულ მეტაფორას იმეორებდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მეტაფორა არ იყო. ამ მედიატური ხერხის მიზანი იყო, ხალხს პირდაპირი მნიშვნელობით გაეგო და ერწმუნა ეს სიტყვები.

ჯერ კიდევ 2006 წლის 27 მარტს, ნეაპოლში გამართულ საარჩევნო კამპანიისას, სილვიო ბერლუსკონი იტალიის პრემიერ-მინისტრის ტრიბუნიდან სახალხოდ გაენდო თავის ამომრჩევლებს, ჩინელი კომუნისტები ბავშვებს ხარშავდნენო (sic!), შემდეგ კი 60-მილიონიანმა იტალიამ საკუთარი თვალით იხილა, ამ სიცრუის გამო რა ცხრაპირ ტყავში მოუწია გაძრომა იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩინეთთან სერიოზული დიპლომატიური ინციდენტის თავიდან ასაცილებლად, თუმცა, თავად ბერლუსკონიმ ერთი ნაბიჯითაც არ დაიხია უკან: მე რას მერჩით, სტეფან კურტუას „კომუნიზმის შავი წიგნის“ 1998 წელს გამოცემული იტალიური თარგმანის 460-ე გვერდზე წერია, ჩინელი კომუნისტები მოხარშულ ბავშვებს კი არ შეექცეოდნენ, არამედ მათ სახნავ-სათესი მიწის გასანაყოფიერებლად იყენებდნენო. ბერლუსკონის პარტიის კოორდინატორმა სანდრო ბონდიმ კბილებით დაიცვა თავისი პატრონი: რას ერჩით პრემიერ-მინისტრს, იგი მხოლოდ ისტორიული ფაქტების ციტირებით შემოიფარგლაო; მისი კოალიციური პარტიის „ლეგა ნორდის“ უმრავლესობის ლიდერმა სენატში, რობერტო კალდეროლიმ კი დააკონკრეტა: „ბერლუსკონი მხოლოდ იმაში შეცდა, რომ ბოლომდე არ თქვა სიმართლე, რადგანაც ზოგიერთ ისტორიულ პერიოდში კომუნისტური, კერძოდ, ჩინური რეჟიმის პირობებში, შიმშილობის დროს ბავშვებს ჭამდნენ. ბერლუსკონის განცხადებებმა შეიძლება, თმა ყალყზე დაგვიყენოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ისტორიაა“.

ამ სიტყვებს კომენტარი არ სჭირდება.

დიახ, კომუნისტების ეშინოდათ იმათ, ვისაც სჯეროდა ან თავად არ სჯეროდა, მაგრამ სხვებს არწმუნებდა, საბჭოელი კომუნისტები ბავშვებს უმად შეექცევიან, ჩინელები კი მოხარშულს ამჯობინებენო.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ამერიკელმა ომისგამჩაღებელმა“ (ასე უწოდა თავის თავს ერთ-ერთმა ვეტერანმა ქრისტიან-დემოკრატმა, იტალიის ყოფილმა პრეზიდენტმა, დღეს სიცოცხლის ბოლომდე სენატორმა ფრანჩესკო კოსიგამ 2007 წლის 28 თებერვალს სენატის სხდომაზე, რომანო პროდის მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების პიროვნულ დეკლარაციაში) იტალიის ქრისტიანულ-დემოკრატიულმა პარტიამ, სხვა, ნაკლებად კანონიერ საშუალებებზე რომ არაფერი ვთქვათ, იდეოლოგიური თვალსაზრისით სწორედ უღირსი ხერხით შეინარჩუნა ძალაუფლება მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში, სწორედ იმავე ხერხით, რომლისთვისაც ტ. ტერცანიმ მოგვიანებით უზბეკეთის კომპარტია და მისი პირველი მდივანი ისლამ ქარიმოვი გააკრიტიკა. სოციალისტებად მონათლული უზბეკი კომუნისტები ირწმუნებოდნენ: «თუ ჩვენ არ ვიქნებით, ჰომეინი მოვა!». იტალიელი ქრისტიან-დემოკრატების დევიზი იყო და, სხვათა შორის, იგი დღემდე რჩება ს. ბერლუსკონის კოალიციის დევიზად: «თუ ჩვენ არ ვიქნებით, ხელისუფლებაში ბავშვიჭამია კომუნისტები მოვლენ!».

### 4. ორმაგი სტანდარტების ქრესტომათია

ტ. ტერცანიმ საბჭოთა კავშირში 1991 წლის აგვისტოს, მიხეილ გორბაჩოვის წინააღმდეგ მოწყობილი პუტჩის დროს იმოგზაურა. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც თვითონ არაერთხელ განაცხადა, ნაკლებად იცნობდა მოკავშირე რესპუბლიკებს, სულ რამდენიმე დღეში იშვიათი მახვილგონიერებით აუღო ალღო ქვეყანაში იმჟამად მიმდინარე მღელვარე პოლიტიკურ მოვლენებს და შესაშური სიცხადით დაახასიათა საბჭოური ცხოვრების ნიშანდობლივი მხარეები, თუმცა, მათ მიკერძოებულ აღწერა-კომენტარსა და სხვა ქვეყნებთან გავლებულ პარალელებში დიდი პროფესიონალიზმით შეზავებული დოზით – ანუ ისე, როგორც საჭირო იყო – გაურია გაკიცხვა და კონკრეტული მაგალითების მოხმობით შეეცადა, დაეჯერებინა საბჭოელი და არასაბჭოელი ადამიანები რონალდ რეიგანის მიერ შეთხზული მითის ჭეშმარიტებაში იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი ბოროტების იმპერია იყო.

ვნახოთ, როგორ გაართვა თავი ჟურნალისტმა დასმულ ამოცანას.

28 აგვისტოს ქალაქ ამურის კომსომოლსკში ტ. ტერცანი აღგვიწერს სამხედრო ქარხნის მოხუც მუშა ქალს, რომელიც 1962 წლიდან ელოდება ბინის მიღებას, თუმცა, ცხადია, არ ამბობს იმას, რომ ეს ქალი ბინას მიიღებდა, მართალია, ერთ-ერთ სტალინურ „ცემენტის ყაზარმაში“, რომელიც ვერ დაიკვეხნის ცარიზმის პერიოდის სიკოხტავით (ავტორს, როგორც ჩანს, წარმოდგენა არ აქვს, რა სახლებში ცხოვრობდა ხალხი ცარიზმის დროს), მაგრამ მას უფასოდ და აუცილებლად მიიღებდა. საზოგადოდ, პარალელების მოყვარულს იმის აღნიშვნა კი ავიწყდება (ანდა, თავად პრივილეგირებული კლასის წარმომადგენელმა, შეიძლება, არც კი იცის!), რომ თვით იტალიაში, თუ ბედმა გაგიღიმა, ბანკმა ბინის შესაძენად 30-წლიანი სესხი მოგცა და მისი გადახდა შეძელი (წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი დაეპატრონება მას), მამასისხლად, მთელი სიცოცხლის განმავლობაში გამომუშავებული ფულის ფასად დაგიჯდება ბინის ყიდვა ანალოგიურ „ცემენტის ყაზარმაში“, რომლებითაც სავსეა, მაგალითად, რომის (და არა მარტო რომის) გარეუბნები (და არა მარტო გარეუბნები).




ბარნავოს აეროპორტიდან გამოსული, რუხი აგურის უშნო სახლებისა და ცემენტის ლამპიონების ბოძების შემყურე ტ. ტერცანი ფიქრობს, თუ მე, შორეული მოგზაურობიდან ფლორენციის რკინიგზის სადგურს მიახლოებულს, თვალებზე ცრემლს მგვრის მშობლიური ქალაქის საკათედრო ტაძრის გუმბათისა და ჯოტოსეული სამრეკლოს დანახვა, ბარნავოელებს რა მოენატრებათო. წყალი არ გაუვა, შთამბეჭდავი შედარებაა, თუმცა, ავტორს ავიწყდება, ან არ იცის, ანდა, როგორც პრივილეგირებული სოციალური ფენის წარმომადგენელს, შეიძლება, არც აინტერესებს, რომ მისი მილიონობით თანამემამულე დღესაც ცხოვრობს ქალაქებში (ანდა, რომის, ფლორენციისა თუ მილანის ბრონქებში), რომელთა მონატრებაც ისეთივე ძნელია, როგორც – ბარნავოსი. შორს რომ არ წავიდეთ, ნეაპოლში ჩრდილოეთ იტალიიდან მომავალი მატარებლები ქალაქის გარეუბნებში ისეთ შენობებს გაუვლის გვერდით, რომ კაცს ძალაუნებურად გული გეწვება იქ მობინადრეთა ცოდვით. უცხოელებზე რა გითხრათ, მაგრამ იტალიელებმა კი კარგად იციან, რომ პულიაში, 1980 წლის ნოემბრის ცნობილ მიწისძვრამდე ხალხი ქალაქ სასი დი მატერაში არაადამიანურ პირობებში, პირდაპირ გამოქვაბულებში ცხოვრობდა, ხოლო დაბა როკა დი პაპაში 2006 წლის ზაფხულს იმდენად შემძრა საცხოვრებელი სახლების მდგომარეობამ, რომ თავი ვერ შევიკავე, სამახსოვრო ფოტოსურათები არ გადამეღო.

ალმა-ათის წიგნის მაღაზიებში, ქალაქის რუკისა და ისტორიის სახელმძღვანელოს ნაცვლად, ჟურნალისტს თვალში ეჩხირება „ტიპური საბჭოთა ბროშურები, რომელთა ფერად ფოტოებზე ხალხი იცინის“. მახვილგონივრულად შემჩნეული ჭეშმარიტებაა, მაგრამ თუ დასავლეთის ცხოვრებას სიღრმისეულად იცნობ, შენც ვერ შეიკავებ თავს, ავტორს არ შეახსენო, რომ ამ ბროშურებში ხალხი ისეთივე ყალბი ბედნიერებით იცინის, როგორც – დასავლურ ხანგრძლივ სარეკლამო ბლოკებში, რომლებითაც, მაგალითად, იტალიაში, ყოველ 15 წუთში ბომბავს ტელევიზია ტელემაყურებელს.

უდავო ჭეშმარიტებაა ისიც, რასაც ჟურნალისტი წერს აშხაბადში ხალიჩების ქარხანაში მომუშავე ქალებზე: «დიდხანს ვუყურებ მათ, ამ მსუქან, ჭრელაჭრულა გრძელ ტანსაცმელში გამოწყობილ ქალებს, ამ მონებს, საათობით გაუნძრევლად რომ სხედან», მაგრამ ამ სტრიქონების წაკითხვისას, კაცი ძალაუნებურად შეეკითხები ავტორს, ოდესმე თუ უნახავს XX ს.-ის 70-80-იანი წლების იტალიის სამხრეთში, მაგალითად, პულიის ან სიცილიის სახნავ-სათეს მიწებზე მომუშავე დაქირავებული ქალები და თუ იცის, როგორი იყო მათი გასამრჯელო.

ანდა, როდესაც ჟურნალისტი არაერთგზის ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა სისტემაში წმიდათაწმიდაა სადილობა, რომლის დროსაც ხალხი მუშაობას წყვეტსო, გინდა, პასუხად მიუგო, რომ არც ეს არის მხოლოდ სოციალიზმისათვის დამახასიათებელი ნიშანი, რომ კაპიტალისტურ იტალიაშიც (თუ მხედველობაში არ მივიღებთ იშვიათ გამონაკლისებს), სამსახურები და მაღაზიები სადილობის დროს რამდენიმე საათით იკეტება. ეს შეუვალი წესი იყო მაშინაც, როდესაც ტ. ტერცანის ზემოაღნიშნული წიგნი დაისტამბა, ხოლო ის ფაქტი, რომ დღეს ზოგან გაუქმებულია სასადილო შესვენება, უშუალოდ უკავშირდება XX ს.-ის 90-იანი წლების ბოლოს იტალიური სამსახურების ევროპულ სტანდარტებზე გადაყვანის მასობრივ პროპაგანდას. რამდენიმესაათიანი შესვენების პრაქტიკა არსებობს საბერძნეთში, ესპანეთში, პორტუგალიაში, საფრანგეთში, ინგლისსა და გერმანიაში, მაგრამ არა მგონია, ეს ქვეყნები სოციალისტური იყოს.

უსუსურია დასავლეთში აქსიომად ქცეული განცხადებების გამეორებაც: «საბჭოთა კავშირში თვითმფრინავით მგზავრობა ყოველთვის უდიდესი რისკი იყო. ახლა, როდესაც იფშვნება სახელმწიფო სისტემა და ყველანაირი კონტროლი მოშვებულია, კიდევ უფრო სახიფათო მეჩვენება». თავს არ გამოვიდებ გასული საუკუნის 90-იანი წლების აეროფლოტის დასაცავად და, შესაძლოა, გავიზიარო კიდეც 2 ოქტომბერს ერევნის აეროპორტში მყოფი ტ. ტერცანის ეჭვი, რომ მოსკოვისაკენ მიმავალ თვითმფრინავში ყოველგვარი შემოწმების გარეშე ჩაესხათ საწვავი, მაგრამ ვერ გავიზიარებ მის საერთო მოსაზრებას აეროფლოტზე. XX ს.-ის 80-იან წლებში ხშირად ვმგზავრობდი თვითმფრინავით (აეროფლოტის თვითმფრინავით, თუ არ ვცდები, პირველად შუა აზიაში 1984 თუ 1985 წელს ოჯახთან ერთად ვიმგზავრე) და შემიძლია, პირადი გამოცდილებით განვაცხადო, რომ ეს სულაც არ იყო სარისკო. ყოველ შემთხვევაში, ეს რისკი დიდად არ უნდა ყოფილიყო განსხვავებული იმ რისკისაგან, რომელიც უცილობლად დასავლეთის ავიაკომპანიებით მგზავრობის დროსაც არსებობს. ამიტომ ზემოაღნიშნული განცხადება ისევ და ისევ კომუნიზმის დემონიზაციის უკბილო, მაგრამ ისტორიულ-კულტურული კონტექსტისა და მკითხველთა კულტურული დონის გათვალისწინებით, უთუოდ ეფექტიან ცდად მესახება.

სხვათა შორის, გასული საუკუნის 90-იან წლებში იტალიის რკინიგზაზე რამდენიმე სერიოზული უბედური შემთხვევა მოხდა, რამაც დღის სინათლეზე გამოიტანა ამ ინფრასტრუქტურის სერიოზული პრობლემები, მაგრამ თავში აზრად არავის მოსვლია (და სავსებით სამართლიანადაც), ეთქვა, იტალიაში მატარებლით მგზავრობა დიდ რისკთან არის დაკავშირებულიო. ესეც არ იყოს, როგორც თვით ტერცანი აღიარებს, საბჭოთა კავშირში, მისი გეოგრაფიული სივრცის გამო თვითმფრინავით ფრენა ისეთი ჩვეულებრივი ამბავია, როგორც ჩვენთან – ავტობუსით მგზავრობაო. ლოგიკურია, ვიკითხოთ: სარისკო

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 88.

პოლიტოლოგიური ჩანაწერები

# ფილოსოფია: ჭეშმარიტებას ვერ დავადგენთ

მითი და რეალობა

რომ ყოფილიყო, ასე ხშირად იფრენდნენ საბჭოთა ადამიანები აეროფლოტის თვითმფრინავებით?

10 სექტემბერს ყირგიზეთის დედაქალაქ ბიშკეკში (ყოფილ ფრუნზეში) მიხეილ ფრუნზეს მუზეუმი ტ. ტერცანის ჩინეთში რევოლუციის მამებისა და ჩრდილო კორეაში კიმ ირ სენის სახლ-მუზეუმებს აგონებს და პათეტიკურად აცხადებს: «ჩემი აზრით, მუზეუმი ასევე ხელუხლებლად უნდა დატოვონ, როგორც კიტჩისა და კომუნისტური სიყალბის შეუდარებელი ნიმუში. მას შემდეგ, რაც ამ მუზეუმივით, ყველა მუზეუმი „გარემონტდება“, როგორღა მოვახერხებთ, ავხსნათ, თუ რა ოსტატურად გააყალბა თაობიდან თაობამდე ტოტალიტარულმა, საბჭოთა რეჟიმმა ყველაფერი – ისტორიიდან და გემოვნებიდან დაწყებული, ხალხის ტვინითა და გრძნობებით დამთავრებული». არ ვიცი, რას მივაწერო – უცოდინრობას, მიკერძოებულობას, თუ ორიგინალური აზრების გამოთქმის სურვილს – იმის არცოდნა, რომ ისტორიის გაყალბება-დეფორმირება არა მარტო კომუნისტური, არამედ ყველა სახელმწიფოს თვისებაა. რაღა შორს წავიდეთ, საკმარისია, გავიხსენოთ, მეორე მსოფლიო ომის, ანდა ვიეტნამისა და ერაყის ბინძური ომებისადმი მიძღვნილი ჰოლივუდში დამზადებული, გულისამრევი სიყალბით შეკმაზული აურაცხელი პროდუქცია, რომელიც აშშ-ის ხელისუფლების უშუალო თუ შუალობითი შეკვეთით დამზადდა და გავრცელდა მსოფლიოში.

ისტორიის გაყალბების სხვა ნიმუშად ავტორი ბუხარის ამირას ციხე-სიმაგრის საპყრობილის არაადამიანურ სისასტიკეს ასახელებს და, თუმცა, აღიარებს რევოლუციამდელი საზოგადოების წესების სიმხეცეს, საბოლოოდ, ყოველივე ამას, უმეტესწილად, მაინც კომუნისტების მიერ შეთხზულ მითად მიიჩნევს, ნათქვამის სიცხადისათვის კი პარალელს ავლებს ტიბეტთან, სადაც თავიანთი კოლონიური რეჟიმის გასამართლებლად ჩინელმა კომუნისტებმა ყველაფერი იღონეს, რათა დალაი ლამას დროინდელი ტიბეტი შუა საუკუნეების სისასტიკის მეფობის ხანად შეერაცხათ: ანალოგიური „მუზეუმი“ ვნახე ლხასაშიო, ამბობს ავტორი.

მომკალით და, თვალდახუჭული ვერც ახლა დავუჯერებ ავტორს. დღემდე დგას ამირას ციხე-სიმაგრესთან 47 მეტრის სიმაღლის მინარეთი – „სიკვდილის კოშკი“, საიდანაც სიკვდილმისჯილებს ტომარაში ჩასმულებს ყრიდნენ ძირს, ბუხარის საპყრობილე-მუზეუმში ბუნებრივ მასშტაბებში ტყვეებისა და ჯალათების ცვილის ფიგურები, ქილებში ჩასმული ხორცისჭამია მატლები კი, როგორც ჩანს, სინამდვილეშიც ასეთები იყვნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში არ მესმის, რატომ არ გაუხსნეს ფანტაზიას ასე ფართოდ კარები თვით რუსმა კომუნისტებმა მეფის რუსეთის პერიოდის ამსახველი მუზეუმების მოწყობის დროს. თუ ვინმე გვეტყვის, რუსები საკუთარ წარსულს უფრთხილდებოდნენ, დაპყრობილ ქვეყნებს კი არას დაგიდევდნენო, მას პასუხად ვკითხავთ, რატომ საქართველო ან სომხეთი არ მოიფინა ანალოგიური ყალბი მუზეუმებით? პასუხი იოლზე იოლია: იმიტომ, რომ საქართველოსა და სომხეთში ასეთი ვითარება არ იყო რუსების მოსვლამდე და აქ მუზეუმების მოსაწყობად კომუნისტებს არ გაუყალბებიათ ისტორია.

ბაქოში აეროფლოტის სალაროდან გამოსული ავტორი ქუჩაში უყურებს ხალხის მასას, რომელიც სალაროსთან მიდი-მოდის და „როგორც ყოველთვის, დაკავებულია გაუთავებელი სოციალისტური მოლოდინით“. უნდა ვაღიარო: მართლა ოსტატურად მიგნებული ეფექტური ფრაზაა „გაუთავებელი სოციალისტური მოლოდინი“, მაგრამ პირადად მე, როდესაც რიგს მიხსენებენ, თვალწინ წარმომიდგება ასკაციანი რიგები იტალიის ფოსტებში, ბანკებში, სუპერმარკეტებში, სალაროების წინ. თქვენ წარმოიდგინეთ, პაბებისა და პიცერიების წინაც კი მინახავს რამდენიმე ათეულკაციანი რიგები. სამუშაოს მიღების მოლოდინში იტალიელები წლობით დგანან რიგში დასაქმების ბიუროებში, სახელმწიფო საავადმყოფოებში ოპერაციის გაკეთებას კი თვეობით და ხშირად წლობით ელოდებიან (ცხადია, ეს არ ეხება პრივილიგირებულ კასტას, რომელსაც შეუძლია, მსოფლიოს ნებისმიერ საუკეთესო კლინიკაში ნებისმიერი ოპერაცია ხარისხიანად და ურიგოდ გაიკეთოს). სხვათა შორის, მეც საბჭოთა კავშირი მეგონა რიგების სახელმწიფო, ვიდრე იტალიას გავიცნობდი. ახლა გეკითხებით, რა დავარქვათ ამ რიგებს: იტალიური რიგი-მოლოდინი? კაპიტალისტური რიგი-მოლოდინი? ქრისტიანულ-დემოკრატიული რიგი-მოლოდინი?

«ასეთ ვითარებაში რაც ყოველთვის მაკვირვებს საბჭოთა ადამიანებისა, მათი მოთმინებაა», – წერს ტ. ტერცანი ერევნის აეროპორტიდან თვითმფრინავის აფრენის მოლოდინში. – «არავინ აცხადებს პროტესტს, არავინ ცხარდება, არავის აქვს გადაუდებელი შეხვედრა, არავინ გაჰყვირის: „თქვენ არ იცით, მე ვინ ვარ...“. დიასახლისები, წითელარმიელი პოლკოვნიკები, პარტიული მუშაკები და მოხუცი პენსიონერები – ყველანი მშვიდად, ერთნაირად იცდიან, იმის იმედით აღსავსენი, რომ სადღაც ვიღაც მათი პრობლემების მოსაგვარებლად იღვწის. თუ არსებობს რაღაც, რაც სოციალიზმმა ხალხს ასწავლა, ეს, ცხადია, მოლოდინია». თუ კონკრეტულ ისტორიულ-კულტურულ მითითებებს მოვხსნით, ეს ჩამოქნილი ფრაზა შესაშური სიზუსტით ასახავს იტალიის გუშინდელსა და დღევანდელ დღეს, თუმცა, რიგში მდგარი იტალიელები ხანდახან ერთმანეთში გამოხატავენ პროტესტს, რომელიც მზეზე დარჩენილი თოვლივით ქრება, როგორც კი „მოპროტესტე“ პიროვნებას რიგი მოუწევს. რა ეპითეტი მოვუნახოთ ახლა ამ მოლოდინს: საბჭოთა? იტალიური? სოციალისტურ-კაპიტალისტური?



2 ოქტომბერს ერევანში, სასტუმრო „ანისში“ ტერცანი მოწმე ხდება სცენისა, უცხოეთიდან ჩამოსული ემიგრანტი სომხები თუ როგორ დაჰყურებენ ზემოდან თავიანთ თანამემამულეებს, რომლებსაც ფიზიკური გადარჩენისათვის ყოველდღიური ბრძოლა უწევთ, რაც ჟურნალისტში გულწრფელ სევდას იწვევს, მაგრამ მზაკვრულია კომენტარი: «ვიცნობ ამ დამოკიდებულებას. ათობით მინახავს იგი ჩინეთში, იგივე მინახავს ვიეტნამში. ყველგან ერთი და იგივეა», რადგანაც გვარწმუნებს, თითქოს, ყოველივე ეს მხოლოდ სოციალისტური სინამდვილე იყოს, არადა, მაგალითად, არცთუ დიდი ხნის წინათ იტალიაშიც ანალოგიურად უყურებდნენ ემიგრანტი იტალიელები სამშობლოში დარჩენილ თანამემამულეებს.

8 სექტემბერს ბიშკეკში საპრეზიდენტო ვილის სტუმარი ტ. ტერცანი ამხელს მმართველი კლასის ამ შეუვალ, მდიდარ ციხე-სიმაგრეს საყოველთაო სიღატაკის ფონზე, აოცებს „დიდი და მაგარი საწოლი, რომელიც ჩვეულებრივ საბჭოთა მოქალაქეს არც კი დაესიზმრება“. ჩემი აზრით, სოციალიზმი აქ არაფერ შუაშია: ყირგიზეთი ფეოდალური სახელმწიფო იყო სოციალიზმამდე, სოციალიზმის პერიოდში და მისი დამხობის შემდეგაც ასეთად დარჩა. ამიტომაც დარჩა შუააზიელ სატრაპად ასკარ აკაევი „პერესტროიკის“ პერიოდშიც. ამასთანავე, არც მილიონობით იტალიელს სძინავს ისეთ საწოლებში, როგორებშიც ა. აკაევი ან ს. ბერლუსკონი წვანან. ესეც არ იყოს, როგორც ჩანს, ჟურნალისტს წარმოდგენა არ აქვს (?!) ან ავიწყდება კანონით დაკანონებული ფუფუნება და პრივილეგიები, რომლითაც იტალიაში სახელმწიფო ხარჯზე სარგებლობენ არათუ იტალიის პოლიტიკის უპირველესი მესვეურები, არამედ – პოლიტიკოსთა მთელი კასტა. თუმცა, დასავლური სისტემა აქაც არჩევანის საშუალებას იძლევა: თუ ფუფუნებით ცხოვრება გსურს, მაგრამ პოლიტიკოსი არ ხარ, რათა ყველაფერი სახელმწიფომ მოგცეს, მაშინ გამდიდრდი (შეგონება: ვერ გამდიდრდები, თუ ქონება სხვას არ წაჰგლიჯე!) და ყველაფერს თვითონვე შეიძენ; თუკი ვერ მდიდრდები, ეს მხოლოდ შენს უფხოობას დააბრალე! ყირგიზეთში ა. აკაევის გალავნიანი რეზიდენცია უდავოდ არის „სახელმწიფო სახელმწიფოში“, მაგრამ მისი დასავლელი კოლეგებიც ცხოვრობენ „გალავნიან სახელმწიფოებში“, თუმცა, იმ განსხვავებით, რომ მათი გალავანი უხილავი და ძნელად შესამჩნევია.

ტ. ტერცანი ამხელს ყირგიზეთში რევოლუციის მოჩვენებითობას და ხელისუფლების სათავეში კომუნისტების დარჩენას. ცნობილ ყირგიზ მწერალთან ყაზათ ახმატოვთან შეხვედრისას, სამართლიანადაა აღშფოთებული მისი საბჭოური კოლაბორაციონისტული პოზიციით: „მე იქ არ ვყოფილვარ და თუ ვიყავი, მსხვერპლი ვიყავი“, სამართლიანად ადანაშაულებს მას სიყალბესა და თვალთმაქცობაში, მაგრამ, ცხადია, ავიწყდება, შეგვახსენოს, რომ ეს ორი უდავოდ შესაშური თვისება სისხლში აქვთ გამჯდარი არა მხოლოდ კომუნისტურ (ან ნაკომუნისტარ), არამედ საზოგადოდ, „თავისუფალი სამყაროსა“ და, კერძოდ, იტალიის მმართველ კლასებსაც.

მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული ისტორიული მიზეზების გამო, პროლეტარიატის დიქტატურა საბჭოთა კავშირში ოფიციალურად გასული საუკუნის 50-იან წლებში დასრულდა, დასავლეთში 1991 წლამდე ლაპარაკობდნენ ამ ქვეყანაში კომპარტიის დიქტატურაზე, რადგანაც იგი ფიქტიური არჩევნებით ინარჩუნებდა ხელისუფლებას. არადა, არც იტალიაში ჩატარებული არჩევნები გამოირჩეოდა მაინცდამაინც დიდი გამჭვირვალობით, მაგრამ ვინ იცის, რატომ, აზრად არავის მოსვლია, აქ ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის დიქტატურაზე ესაუბრა. ავტორი სამართლიანად უკიჟინებს ძველ კომუნისტებს ხელისუფლებაში ახალი ნიღბებით მოსვლას, მაგრამ, როგორც ისტორიამ გვიჩვენა, არც ამ შემთხვევაში აღმოჩნდნენ კომუნისტები ერთადერთი გამონაკლისები: 1992 წელს საქვეყნოდ ცნობილი გახდა იტალიელ ქრისტიან-დემოკრატთა უმაღლესი ეშელონების კორუმპირებულობა და პარტია პოლიტიკურად გაკოტრდა, მაგრამ პოლიტიკიდან წასვლის ნაცვლად, ნაირ-ნაირი ახალი პოლიტიკური პარტიების რაფინირებული ნიღბებით მოვლენილ მის წევრებს დღემდე უპყრიათ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების სადავეები.

ეს იმიტომ, რომ დასავლეთის ქვეყნებში სახელმწიფოს სათავეში დგას არა რომელიმე პარტია, არამედ – სხვადასხვა პარტიის წევრ პოლიტიკოსთა კასტა. შეიძლება, პარლამენტში ადგილი დაკარგონ ცალკეულმა პარტიებმა ან მისმა ცალკეულმა წევრებმა, მაგრამ არც პარტია და არც ინდივიდი ხელისუფლებას არ დაკარგავს იმის გამო, რომ სახელმწიფოს მართავს მათგან შემდგარი კასტა, რომელსაც საზოგადოებაზე გავლენის გარანტიას სიმდიდრეზე დაფუძნებული სოციალური მდგომარეობა აძლევს. ერთი სიტყვით, დასავლეთს დღესაც ისევ ისე მართავენ ფინანსური ოლიგარქიები, როგორც – XX ს.-ის დასაწყისში. ამიტომ ფსევდორევოლუციების დროს ისინი იძულებული არ არიან, ხელისუფლების შესანარჩუნებლად იბრძოლონ.

ჩემდაუნებურად მახსენდება ჯუზეპე ტომაზი დი ლამპედუზას სახელგანთქმული რომანი „გატოპარდი“, რომელიც არაჩვეულებრივი სიცხადით გვიხსნის იტალიის გაერთიანებისათვის ბრძოლის იმ ასპექტებს, რომლებსაც ასე ცხადად ვერ წარმოგვიჩენს ისტორიოგრაფია, მიუხედავად იმისა, რომ მათში ხშირად თავად ისტორიის მდინარების ძირითადი მიმართულებაა საძიებელი. 1860 წლის მაისში, როდესაც სიცილიაში დღე-დღეზე ელიან გარიბალდის შეტევას, რომანის მთავარი გმირი, თავადი დონ ფაბრიციო სალინა, თავის მსახურთან, პიეტრო რუსოსთან შეხვედრისას ძალაუნებურად ფიქრობს: «მრავალი დიდი მოვლენა მოხდება, მაგრამ ყველაფერი მაინც ერთი ჩვეულებრივი კომედია იქნება, ერთი ხმაურიანი, რომანტიკული კომედია, რომელშიც მასხარა ტანსაცმელზე სისხლის ორიოდე ლაქას თუ წაიცხებს. ეს კომპრომისების ქვეყანაა, მისთვის უცნობია ფრანგული სიგიჟე; ესეც არ იყოს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორმოცდარვა წლის ივნისს, განა, თავად საფრანგეთშიც ოდესმე რაიმე მომხდარა სერიოზული?“ უნდოდა, მაგრამ დაბადებიდან თანდაყოლილმა თავაზიანობამ შეაჩერა, რუსოსთვის არ ეთქვა: „ძალიან კარგად გაგიგე: თქვენ არ გსურთ ჩვენი, თქვენი მამების, განადგურება, მხოლოდ ჩვენი ადგილის დაკავება გინდათ. სიამტკბილობით, ზრდილობიანად დაგვიტოვებთ ჯიბეში, ალბათ, რამდენიმე ათას დუკატს. განა, ასე არაა? შენს ძმისშვილს, ჩემო კარგო რუსო, გულწრფელად ეგონება, ბარონი ვარო; შენ კი, აბა, რა ვიცი, რომელიმე მოსკოველი ბოიარის შთამომავალი გახდები, თუმცა სახელით, ზედგამოჭრილი წითური ხეპრეს შვილი ხარ, როგორც ამაზე შენი სახელიც მეტყველებს. შენი ქალიშვილი ერთ-ერთ ჩვენგანზე დაქორწინდება, რათა ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც არის“.

**გაგა შურღაია,**

**საეკლესიო მეცნიერებათა დოქტორი, ვენეციის სახელმწიფო უნივერსიტეტ „კა' ფოსკარის“ ევრაზიული კულტურების კათედრის მკვლევარი, რომის პაპის აღმოსავლური ინსტიტუტის პროფესორი, ვატიკანის სამოციქულო ბიბლიოთეკის მეცნიერი კონსულტანტი.**

(გაგრძელება იქნება)

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველო საფრთხეში




**საქართველოს პროდასავლურ მთავრობას, რომელიც რუსეთს ესაზღვრება, სჭირდება დასავლეთის დახმარება რუსეთის მცდელობის მოსაგერიებლად ხელყოს მისი ტერიტორიული მთლიანობა.** რუსეთის ახალი პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი თავის საინაუგურაციო სიტყვაში 7 მაისს იძლეოდა დაპირებას, რომ მართვას წარმართავდა უფრო რბილად – განსაკუთრებით გამოიჩინოს მეტი პატივისცემა სამოქალაქო თავისუფლებისა და ადამიანთა უფლებების პატივისცემის საკითხში. და აი, მას უკვე მოუწევს ნავთობით მდიდარ კავკასიაში გამოავლინოს ეს სირბილე, რეგიონში, სადაც მწვავდება სიტუაცია საქართველოსა და რუსეთს შორის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ამბოხებული ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსის გამო. გამოავლენს თუ არა მედვედევი რუსეთის მეზობლებთან ურთიერთობაში მათი სუვერენიტეტისადმი პატივისცემას, თუ იგი გააგრძელებს ვლადიმერ პუტინის იმპერიალისტურ პოლიტიკას?

აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი გამოეყვნენ საქართველოს 90-იანი წლების ბოლოს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. გაერო ავტონომიურ რესპუბლიკებს მიიჩნევს საქართველოს სუვერენულ ტერიტორიად. რუსეთის განცხადებათა საპირისპიროდ, რუსები არ შეადგენენ უმრავლესობას ამ რესპუბლიკების მოსახლეობისა, მათი ყოფნა კი საქართველოს შემადგენლობაში არ არღვევს ადამიანთა უფლებებსა და თავისუფლებებს. დავის მოსაწესრიგებლად საქართველოს ხელისუფლებამ შესთავაზა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ფართო პირობები და უფლებები. მაგრამ მოსკოვი კვლავ აგრძელებს მათ საქმეში ჩარევას.

დავა, არსებითად, წარმოებს იმის გამო, აქვს თუ არა საქართველოს უფლება განვითარდეს დასავლური მოდელის მიხედვით. ამერიკის შეერთებული შტატები მუშაობს იმაზე, რომ მოხდეს საქართველოს ინტეგრირება ნატოს სტრუქტურებში, დარის წინააღმდეგაც გამოდის კრემლი. ნატოს ბუქარესტის სამიტზე აპრილში გერმანიამ დაიხია უკან რუსეთის ზეგავლენის გამო და უარყო წინადადება საქართველოსა და უკრაინისათვის მაპის მინიჭების შესახებ ამ ორგანიზაციაში გაწევრებასთან დაკავშირებით, რაც მათ საშუალებას მისცემდა, დამდგარიყვნენ ამ ალიანსის წევრობისაკენ მიმავალ პირდაპირ გზაზე. უკრაინასაც და საქართველოსაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, გამოვიდნენ რუსეთის ორბიტიდან, მოსკოვი კი სულ უფრო ხშირად ერევა მათ საქმეში.

საქართველოსთან დაკავშირებით რუსეთის ხელისუფლება განზრახ ამძაფრებს დაძაბულობას, რათა მოახდინოს ქვეყნის დესტაბილიზაცია და ხელი შეუშალოს მას, დაადგეს განვითარების დასავლურ გზას. კრემლი მიიჩნევს, რომ მისი ნატოში გაწევრება იქნება საფრთხე რუსეთის ინტერესებისათვის. ბუქარესტის სამიტის შემდეგ რუსეთის ხელისუფლება მაშინდელი პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ხელმძღვანელობით შეუდგა ისეთი ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც კიდევ უფრო ართულებდნენ ურთიერთობას აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან. რუსებმა გაზარდეს იქ თავიანთი სამხედრო კონტინგენტი და განაცხადეს, რომ განზრახული აქვთ აწარმოონ თანამშრომლობა სადავო ტერიტორიების მოსახლეობასთან მათი უფლებრივი სისტემის, ვაჭრობისა და ეკონომიკის სრულყოფის მიზნით. რუსეთის ხელისუფლება აგრძელებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის პასპორტების გაცემას და ნებას რთავენ მას, მონაწილეობა მიიღოს რუსეთის არჩევნებში.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ხელისუფლებაში მოვიდა 2003 წელს, დიდი ხანია აფრთხილებს დასავლეთს იმის შესახებ, რომ კრემლი ცდილობს მოახდინოს ომის პროვოცირება. აპრილში რუსეთის გამანადგურებელმა ჩამოაგდო აფხაზეთის თავზე რუსეთის (ტექსტში ასეაძ უპილოტო მზვერავი თვითმფრინავი – ესე იგი, საქართველოს საჰაერო სივრცეში. ამას გარდა, რუსები იმუქრებიან, რომ რეგიონში გაგზავნიან ახალ ჯარებს, უსაფუძვლოდ ბრალს სდებენ ქართველებს, რომ ისინი ზრდიან თავისი სამხედრო დაჯგუფებების რიცხვს.

ამას წინათ, ევროკავშირის ლიდერები, სოლიდარობის ნიშნად, ეწვივნენ საქართველოს. მაგრამ ქმედითი პასუხი ამის თაობაზე უნდა გასცენ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ნატომ. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ომი და რუსეთის ექსპანსია, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა დასავლელმა მოკავშირეებმა უნდა დაგმონ რუსეთი და მოითხოვონ მისი ჯარების გამოყვანა კონფლიქტის ზონიდან. ამას გარდა, აუცილებელია, მოწვეულ იქნეს გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სესია ისე, როგორც ამას მოითხოვს საქართველოს მთავრობა. დაბოლოს, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა გააფართოოს საქართველოში თავისი სამხედრო მრჩევლების შტატი. დასავლეთისათვის ფსონია დადებული არა მხოლოდ ორი მცირე რესპუბლიკის ბედზე. სინამდვილეში საქმე ეხება იმას, შეუძლიათ თუ არა, ბოლოს და ბოლოს, რუსეთის მეზობლებს განსაზღვრონ თავიანთი მომავალი რუსეთის დაუსრულებელი დაშინების გარეშე. თუ დასავლეთი აღმოუჩენს დროულ დახმარებას ისეთ პროდასავლურ ქვეყანას, როგორიცაა საქართველო, მაშინ მოსკოვი, ბოლოს და ბოლოს, მიხვდება, რომ მისი იმპერიული დღეები ჩავლილია.

The Washington Times

# თბილისი რადარს ითხოვს

**ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლია განათავსოს საქართველოში X-დიაპაზონის მაღალი სიხშირის რადარი. ამის შესახებ იუწყება რეიტერის სააგენტო. საქართველოს სამხედრო უწყება უარს ამბობს ამ ინფორმაციის კომენტარზე, მაგრამ ადგილობრივი ექსპერტები არ გამორიცხავენ სამხრეთ კავკასიაში ამერიკის მაღალსიხშირიანი რადარის გამოჩენას.**

პენტაგონის სურვილის შესახებ, დააყენოს საქართველოს და თურქეთის ტერიტორიაზე X-დიაპაზონის მაღალსიხშირიანი რადარი, არაერთგზის განუცხადებია ამერიკის შეერთებული შტატების მაღალსიხშირიანი რადარების სააგენტოს მეთაურს, გენერალ ჰენრი ობერინგს. კერძოდ, ერთი წლის წინათ, როდესაც წამოიჭრა ერთგვარი სირთულეები მოლაპარაკებებში ვაშინგტონსა და პრაღას შორის ჩეხეთის ტერიტორიაზე ასეთი რადარის დაყენებასთან დაკავშირებით ფინანსური თვალსაზრისით, მან განაცხადა ამგვარი სისტემის საქართველოში განთავსების შესაძლებლობის შესახებ.

მართალია, მაშინ თბილისში ამტკიცებდნენ, რომ არავინ ასეთ თემაზე მოლაპარაკებას არ აწარმოებს, ამჟამად ასეთი შესაძლებლობის შესახებ უკვე იუწყება რეიტერი.

ამის მიზეზი, ალბათ, რამდენიმეა. ერთ-ერთი მათგანი ის არის, რომ პრაღასთან და ვარშავასთან მათ ტერიტორიაზე ამერიკის სტრატეგიული მაღალსიხშირიანი რადარების განთავსების შესახებ მოლაპარაკებები ჯერჯერობით, სხვადასხვა მიზეზის გამო, ვერ ხერხდება. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩეხეთს შორის ხელშეკრულების ხელმოწერა მუშაობის დაწყების შესახებ პრაღის მახლობლად, არ შედგა. ამერიკის შეერთებული შტატების გენერალურმა მდივანმა კონდოლიზა რაისმა, რომელიც ახლო აღმოსავლეთში ვიზიტის შემდეგ უნდა გაემგზავროს ჩეხეთის დედაქალაქში, რათა ხელი მოაწეროს ასეთ დოკუმენტს, შეცვალა თავისი გეგმები და ევროპაში არ გაფრენილა. არ არის დაძლეული სირთულეები ბაზის მშენებლობის შესახებ პოლონეთის მიწაზე 10 რაკეტსაწინააღმდეგო ბაზის მშენებლობასთან დაკავშირებით. ვარშავამ, ვაშინგტონის აზრით, მოითხოვა დიდი ფასი რისკისათვის, რაზეც ამერიკის ადმინისტრაცია, ჯერჯერობით, თანახმა არ არის.

არსებობს მოსკოვის საკმაოდ დასაბუთებული უარყოფა ამერიკის სტრატეგიული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის მესამე პოზიციური რაიონის განთავსების წინააღმდეგ აღმოსავლეთ ევროპაში. რუსეთის ხელმძღვანელობაში არის აზრი, რომ ეს სისტემა მიზნად ისახავს არა თავდაცვას დღეისათვის და უახლოესი 10-15 წლის განმავლობაში არარსებული ირანული საფრთხისაგან, არამედ რუსეთის სტრატეგიული კონტრძალოვანი პოტენციალის შემცირების წინააღმდეგ მოქმედებას. სწორედ ამიტომ კრემლიდან არაერთგზით შესთავაზეს თეთრ სახლს, გამოიყენოს თეირანის სარაკეტო მომზადების სისტემის სახით გაბალინის რადიოლოკაციური სადგური, რომლის აპარატურა თვალყურს ადევნებს ირანის ტერიტორიას, როგორც იტყვიან, გამჭოლი სახით. ვაშინგტონს ასეთი ვარიანტი ხელს არ აძლევს. მათ შორის იმის გამოც, რომ სარაკეტო თავდასხმის გამაფრთხილებელ სადგურს აზერბაიჯანის გაბალში შეუძლია მხოლოდ რაკეტის გაშვებისათვის თვალყურის დევნება, მაგრამ არ შეუძლია მიმართოს მოიერიშე რაკეტისაკენ თავისი გადამტაცი რაკეტა. ეს კი წარმატებით შეუძლია განახორციელოს X-დიაპაზონის რადარს. სწორედ ამიტომ, როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ასეთი რადარის განთავსება თურქეთში ან საქართველოში, იქაც და იქაც, სავსებით გონივრული და ეფექტიანია სამხედრო თვალსაზრისით.



საქართველოს თავდაცვის სამინისტროში უარი თქვეს რეიტერის ინფორმაციის კომენტირებაზე და განაცხადეს, რომ გარკვეულობა ამ საკითხში არ არსებობს. ამიტომ ლაპარაკიც არ შეიძლება ამის შესახებ. მაგრამ რადიო „თავისუფლების" ექსპერტი სამხედრო საკითხებში კობა ლიკლიკაძე ნაწილობრივ ადასტურებს სააგენტოს ცნობას. „საგნობრივი ორმხრივი მოლაპარაკება თბილისსა და ვაშინგტონს შორის საქართველოში ასეთი რადარული სისტემის დაყენების საკითხებზე ჯერჯერობით არ ყოფილა. არსებობს მხოლოდ ამერიკის მხარის ვარაუდი. წინაპირობა იმისა, რომ საქართველო უარს იტყვის ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობის გაღრმავებაზე, არ არსებობს", – თქვა ლიკლიკაძემ. მან აღნიშნა: „ასეთი სადგური არსებითად აამაღლებს ქვეყნის ჰაერსაწინააღმდეგო უსაფრთხოების დონეს. და თუ კიდევ გამოჩნდება ვაშინგტონის წინადადების საფინანსო მიმზიდველობა, მაშინ მე ვერ ვხედავ მიზეზებს, რათა თბილისმა უარი თქვას სადგურზე". ექსპერტის აზრით, საქართველო-ამერიკის ამგვარი თანამშრომლობა, უეჭველია, გამოიწვევს რუსეთის პროტესტსა და აღშფოთებას, მაგრამ მან უნდა გაიგოს, რომ ნებისმიერი სახელმწიფო თავისთვის ირჩევს ოპტიმალურ ვარიანტებს.

თბილისს შეიძლება გაუჩნდეს მოსკოვთან დაკავშირებით ახალი ძალოვანი კოზირი. თუ ადრე ქართული მხარე სადავო სიტუაციების წამოჭრის დროს იმუქრებოდა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მოლაპარაკებების დაბლოკვით, ამჯერად შეიძლება ამ საკითხისათვის გამოიყენოს რადარული სადგურიც.

ცნობილი ქართველი პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე ამგვარ სცენას, სახელმწიფოთა შორის მზარდი დაძაბულობის გათვალისწინებით, არ გამორიცხავს. მაგრამ ამასთან ერთად მიუთითებს სხვა ასპექტზეც. „რუსეთი შეიძლება აღმოჩნდეს ალტერნატივის წინაშე: ნატოს გაძლიერება სამხრეთ კავკასიაში საქართველოს ამ ორგანიზაციისკენ სწრაფვის გათვალისწინებით, ანდა ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ კავკასიაში პირდაპირი გაძლიერება. როგორც ბუქარესტის სამიტმა აჩვენა, მოსკოვს შეუძლია მოაწესრიგოს ურთიერთობა ალიანსთან – საქართველოს, ისევე როგორც უკრაინას, უარი უთხრეს მაპის მიღებაზე ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებით რუსეთის ზეწოლის გამო. ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაპირისპირება რუსეთისათვის ყოველთვის წარმატებული როდია", – განაცხადა პოლიტოლოგმა.

**ვიქტორ ლიტოვკინი,
იური სიმონიანი**

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილმა რუსული გაიხსენა



საპარლამენტო არჩევნებამდე რვა დღით ადრე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მოულოდნელად საქართველოს მომავალზე პასუხისმგებლობის ნაწილი დააკისრა ოპოზიციას. კერძოდ, შესთავაზა მას ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში პოსტები. ოპოზიცია ამ დროს დარწმუნებულია, რომ თავისას მიიღებს სააკაშვილის შეთავაზების გარეშეც. ქართველი ხალხი არ მისცემს ხმას „მოსკოვის აგენტის“ პარტიას. ამ ბრალდებათა ერთგვარი დადასტურების სახით სააკაშვილმა მართლაც დაიწყო ლაპარაკი რუსულად.

ოპოზიციაში ამტკიცებენ, რომ მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში არ გადაიჭრა საკვანძო პრობლემები: აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მოწესრიგება, რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაცია, და რაც მთავარია – საქართველომ ვერ მიიღო ნატოს წევრობის კანდიდატის სტატუსი. ამჟერად ოპოზიციას განზრახული აქვს, მოიგოს არჩევნები პარლამენტში და სახელმწიფოს წარმართავს თავად.

„სააკაშვილმა ფიცი დადო სსრ კავშირის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის წინაშე, რომ იქნებოდა მისი ერთგული, ხოლო მისი ბიძა დღემდე მუშაობს გაეროში, როგორც რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომელი“. „ემზადეთ იმისათვის, რომ ახლა თქვენ აღმოჩნდებით ოპოზიციაში“, – მიმართა „ნაციონალებს“ რესპუბლიკელმა დეპუტატმა ლევან ბერძენიშვილმა.

„21 მაისს საქართველოში იცვლება ხელისუფლება“, ნათქვამია ბლოკ „გაერთიანებული ოპოზიცია – მემარჯვენეების“ წინასაარჩევნო ტელერგოლებში.

თავისი ლიბერალიზმი სააკაშვილმა გამოხატა პრეზიდენტის სტიპენდიის ლაურეატ სტუდენტებთან შეხვედრის დროს. კონკრეტულად მან აღნიშნა, რომ ოპოზიციისათვის გათვალისწინებულია „მაღალი ხელმძღვანელი პოსტები“. მისი აზრით, ეს მიანიჭებს ოპოზიციას „პასუხისმგებლობის გრძნობას“.

უადგილო არ იქნება გავიხსენოთ, რომ ოპოზიციას შარშანდელი კრიზისის დროსაც შესთავაზეს რამდენიმე წამყვანი პოსტი, მაგალითად, ვიცე-პრემიერისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნისა. ოპოზიციამ ამაზე უარი თქვა, იმ იმედით, რომ ყველა ამ პოსტს მოიპოვებს არჩევნების შედეგად.

მაგრამ ოპოზიციონერებიც აღიარებენ, რომ მათ არ მოუწევთ, ალბათ, წავიდნენ „ერთიან ეროვნულ მოძრაობასთან“ კოალიციაზე, რომელიც არჩევნების დროს აამოქმედებს მთელ ადმინისტრაციულ რესურსებს და ფინანსებს – როგორც ბიუჯეტიდან, ისე ცალკეული ბიზნესმენებიდან.

დღეისათვის ძალთა განაწილება ასეთია: 26,4 პროცენტი ამომრჩევლებისა ხმას მისცემს მმართველ „ნაციონალურ მოძრაობას“, 22,4 პროცენტი ხმას მისცემს ბლოკს „გაერთიანებული ოპოზიცია – მემარჯვენეები“. 5-პროცენტიან ბარიერს გადალახავენ აგრეთვე ოპოზიციური რესპუბლიკელები (6 პროცენტიძ და ლეიბორისტები (5,2 პროცენტიძ.

მაგრამ სააკაშვილის წინასაარჩევნო რევერანსებს ოპოზიცია არ მიიღებს. ყოველ გავლენიან ძალას უკვე ჰყავს თავისი კანდიდატები პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე და უკვე ფიქრობენ მინისტრების პორტფელებზეც. ასევე ამზადებენ რესპუბლიკელები თავის ლიდერს დავით უსუფაშვილს სპიკერის პოსტისათვის. მაღალი რეიტინგი აქვს „გაერთიანებული ოპოზიციის“ ლიდერს დეპუტატ ლევან გაჩეჩილაძესაც. „კვირის პალიტრის“ მიერ მოწყობილი გამოკითხვის შედეგად, თავისი პოპულარობით იგი წინ უსწრებს ყველა სხვა ცნობილ პოლიტიკოსს.

რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, მით უფრო აქტუალური ხდება საქართველოში რუსული თემატიკა. სტუდენტებთან ზემოხსენებულ შეხვედრაზე სააკაშვილმა გამოთქვა რწმენა, რომ მსოფლიო თანამეგობრობა „არ ჩაყლაპავს“ რუსეთის მოქმედებას აფხაზეთში.

**დმიტრი ალექსანდროვი**

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА



# აფხაზეთი მზადაა, რუსეთთან ხელი მოაწეროს სამხედრო ხელშეკრულებას

**აფხაზეთის** ხელისუფლებმა კვლავ განაცხადეს მზადყოფნა, გააფართოონ სამხედრო თანამშრომლობა რუსეთთან. როგორც ულიარებელი რესპუბლიკის ხელმძღვანელმა სერგეი ბაღაფშმა განაცხადა, აფხაზეთი სთავაზობს რუსეთს, განათავსოს სამხედრო ბაზა რესპუბლიკის ტერიტორიაზე, „ეს მოგვცემდა ჩვენ უსაფრთხოების გარანტიას“. ამასთან დაკავშირებით სერგეი ბაღაფშმა დაუმატა, რომ აფხაზეთი მზად არის რუსეთთან სამხედრო ხელშეკრულების ხელმოწერისათვის, თუ მოსკოვი ამას მოინდომებს, იუწყება რეიტერის სააგენტო.

ამასთან ულიარებელი რესპუბლიკის ლიდერი აღნიშნავს, რომ სამხედრო თანამშრომლობა „შეიძლება აგებულიყო ამერიკატაივანის ნიმუშის მიხედვით: შეერთებული შტატები გარანტიას აძლევს ტაივანს, აღმოუჩინოს მას სამხედრო დახმარება ჩინეთის მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში“.

ბაღაფშმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აფხაზეთი არ არის დაინტერესებული სამხედრო კონფლიქტით საქართველოსთან, მაგრამ მზად არის და შეუძლია მოიგერიოს შესაძლო თავდასხმა. „საქართველომ უნდა გაათვითცნობიეროს, რომ იგი ვერასოდეს ვერ გადაწყვეტს აფხაზეთის საკითხს ძალით. ღმერთმა ნუ ქნას და, თუ საქართველო დაიწყებს ომს, იგი მეტს დაკარგავს, ვიდრე ნებისმიერი სხვა მხარე“, – მოჰყავს აფხაზეთის პრეზიდენტის ციტატა „ნოვი რეგიონს“.

მაისის დასაწყისში აფხაზეთის მზადყოფნის შესახებ, დაუთმოს თავისი ტერიტორია რუსეთის სამხედრო კონტროლს უსაფრთხოების გარანტიის სანაცვლოდ, განაცხადა ულიარებელი რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაურმა სერგეი შამბამ. ამასთან ერთად მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ აფხაზეთი არ აპირებს რუსეთის შემადგენლობაში შესვლას. „ამის აუცილებლობა ჯერჯერობით არ არსებობს“, – თქვა შამბამ.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

# ევროპა სააკაშვილს მხარდაჭერას ჰპირდება

**რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა და სიტუაცია აფხაზეთის გარშემო იყო ევროკავშირის ხუთი ქვეყნის (ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, სლოვენია და შვეცია) საგარეო საქმეთა უწყებების ხელმძღვანელთა მოლაპარაკების ყურადღების ცენტრში, რომელიც გაიმართა ორშაბათს საქართველოს ხელმძღვანელობასთან. ამით სააკაშვილმა პრაქტიკულად დაიწყო თავისი გეგმის რეალიზაცია ევროპის შუამავლების ჩართვასთან დაკავშირებით საქართველოს შინა კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში.**

ევროკავშირის აქტიურ ჩართვას საქართველო-აფხაზეთისა და საქართველო-ოსეთის პრობლემების მოწესრიგებაში თბილისი განიხილავს, როგორც მნიშვნელოვან ნაბიჯს რუსეთის ამ რეგიონებიდან თანდათანობითი გამოდევნის გზაზე, რუსეთისა, რომელიც 15 წელზე მეტია წარმოადგენს ერთადერთ შუამავალს სოხუმსა და ცხინვალთან საქართველოს ხელისუფლების მოლაპარაკებებში. მაგრამ, ამჯერად, სოლიდარობის დეკლარაციის იქით საქმე არ წასულა: მოისმინეს რა საქართველოს ხელმძღვანელობის დასკვნები, ევროკავშირის წარმომადგენლები შემოიფარგლნენ მხოლოდ დარწმუნებით, რომ ევროპა მხარს დაუჭერს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს მის დღევანდელ საზღვრებში და მოუწოდებენ მას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემები გადაწყვიტოს მხოლოდ მშვიდობიანი გზით. როგორც პრეზიდენტ სააკაშვილთან მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ სლოვენიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა დმიტრი რუპელმა განაცხადა, თბილისში ამჟამინდელი ვიზიტის მსვლელობის დროს ევროკავშირის წარმომადგენლებმა მიიღეს ყოვლისმომცველი ინფორმაცია ორივე კონფლიქტის ზონებში სიტუაციისა და რუსეთ-საქართველოს შორის უკანასკნელ პერიოდში არსებული ურთიერთობის შესახებ. ეს ინფორმაცია, განაცხადა რუპერმა, მიეწოდება ევროკავშირის სხდომას 26 მაისს, როგორც საერთო და საშინაო პოლიტიკის აღმნიშვნელი მასალა, სადაც ცალკე იქნება განხილული საქართველოს საკითხი.

პრეზიდენტი სააკაშვილი ევროპის წარმომადგენელთა ასეთი სიფრთხილის გამო ერთობ გაწბილებული დარჩა. შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დელეგაციის ყველა წევრმა, მან მადლობა გადაუხადა სტუმრებს მხარდაჭერისათვის, მაგრამ ამავე დროს აცნობა, რომ თბილისი მათგან მეტს მოელოდა. „ეს განცხადებანი და დეკლარაცია ჩვენს ლტოლვილებს თავიანთ სახლებს ვერ შეუცვლით“, – თქვა სააკაშვილმა. მან საჭიროდ ჩათვალა, ეცნობებინა სტუმრებისათვის ევროკავშირიდან, რომ რუსეთი დიდი ხანია უკვე, რაც გახდა არა შუამავალი, არამედ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტების აქტიური მხარე, ცდილობს მოახდინოს საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ანექსია. ამავე პრესკონფერენციაზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა საგარეო საქმეთა მინისტრებს გადასცა ბროშურები ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მოხსენებით, რომელიც გაკეთდა 1995 წელს, სადაც საუბარი ეხება საქართველოს ოკუპაციას საბჭოთა ჯარების მიერ 1921 წელს. „მაშინ ევროპამ მიატოვა საქართველო“, – თქვა მან და გამოთქვა იმედი, რომ საქართველოს დასავლელი მეგობრები არ გაიმეორებენ ამ შეცდომას ამჟამადაც. ხუთი ევროპული სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროების მეთაურებმა პირობა მისცეს საქართველოს ხელმძღვანელობას, რომ ამ იმედებს გადასცემენ ევროკავშირის საბჭოს მაისის სხდომას და ასე გაემგზავრნენ თბილისიდან.

მიუხედავად ამისა, პრეზიდენტ სააკაშვილის გეგმები დასავლეთის უფრო აქტიური ჩართვის შესახებ საქართველოს საშინაო პრობლემების გადაჭრაში, ძნელად თუ შეიძლება ჩაითვალოს ჩაფუშულად. ორშაბათს თბილისში თავისი ვიზიტი დაასრულა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილემ მეთიუ ბრაიზამ, რომელმაც თბილისიდან გამგზავრების წინ გააკეთა მეტად საინტერესო განცხადება, რომელიც ადასტურებს, რომ ვაშინგტონს არ აქვს განზრახული შეცვალოს თავისი პოზიცია მიმდინარე მომენტში საქართველო-რუსეთის გამწვავებულ ურთიერთობასთან დაკავშირებით. თავის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე ბრაიზამ, რომელიც ამ ვიზიტის დროს იმყოფებოდა არა მხოლოდ თბილისში, არამედ სოხუმშიც, განაცხადა, რომ აფხაზეთში კონფლიქტიდან გამოსავალს ამერიკის შეერთებული შტატები ხედავს საქართველოსა და აფხაზეთის მხარეებს შორის პირდაპირ, შუამავლების გარეშე, დიალოგში. ამავე დროს მან დაგმო რუსეთის მოქმედებანი კონფლიქტის ზონაში, როდესაც სამშვიდობოების სახით შეჰყავთ ჩვეულებრივი სამხედრო ქვედანაყოფები. „მთელი ჩემი კარიერის მანძილზე არასოდეს გამიგონია, რომ არტილერიას იყენებდნენ მშვიდობის შესანარჩუნებლად. მოვუწოდებ რუსეთს, გადასინჯოს თავისი გადაწყვეტილება და გაიწვიოს აფხაზეთიდან დამატებითი შეიარაღებული ძალები“, – აღნიშნა მეთიუ ბრაიზამ.

აღსანიშნავია, რომ ქართულ-აფხაზური პირდაპირი მოლაპარაკების იდეამ უკვე მიიღო სრულიად მოულოდნელი განვითარება. სამშაბათს სოხუმში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დავალებით რამდენიმე საათით იმყოფებოდა გაეროში საქართველოს ელჩი ირაკლი ალასანია. სოხუმის წყაროების ინფორმაციით, ალასანია დახურულ კარს მიღმა აწარმოებდა მოლაპარაკებებს აფხაზეთის პრეზიდენტთან სერგეი ბაღაფშთან და ულიარებელი რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელთან სერგეი შამბასთან. ამ შეხვედრის დეტალებს ჯერჯერობით არ ახმაურებენ.

**ანატოლი გორდიენკო**

НЕЗАВИСИМАЯ
ГАЗЕТА

მოგითხრობთ შედევრებზე

# მიქელანჯელო კვდებოდა!



**დიდი ხელოვანი აფთარივით ებრძოდა სიბერეს და მოახლოებულ სიკვდილს. უკვირს და გაოგნებულია მიქელანჯელო, რადგან მისი ქმნილებანი, ეპოქის წინაშე გრანიტის კლდოვან მწვერვალებად აღმართულან და მარადიული ქალაქის დიდებას წარმოადგენენ; მხატვრის სიცოცხლის დასასრული კი მოახლოებულიყო.** დიდმა მოქანდაკემ კარგად იცის თავისი იშვიათი ნიჭის ფასი... განცვიფრებულია, ასე ჩქარა როგორ შემოადნა ხელში რამდენიმე ათეული ბობოქარი წელი; არა და რაა ცხრა ათეული „დავითის“ ქანდაკების ავტორისთვის? „მიჯაჭვული მონები“, „მოსე“ და განსაკუთრებით ბოლო პერიოდის „პიეტა“... ის მარად თანამედროვე ქანდაკებად დარჩება... ხოლო ყველასთვის მომნუსხველი და ცალკე საკვირველებაა ქანდაკებათა შორის „მიჯაჭვული მონები“. ღმერთო ჩემო, მადლობა შენდა, რა უსაზღვრო ზეძალა ჰქონია ადამიანის ნიჭსა და გენიას. ეს წყვილი ქანდაკებები, ზეადამიანური შთაგონებით და ღვთიური გენიითაა მარმარილოს ძვირფასი ქვისაგან გამოქანდაკებული და მათგან შინაგანი, საკვირველი და შემაშფოთებელი, ახლად ამოხეთქილი ვულკანივით ყრუ ჭექა-ქუხილი გაისმის; „მიჯაჭვულ მონებში“ დედამიწის შინაგანი უშრეტი ძალის უზომო მასაა ჩაღვრილი. მიქელანჯელოს ამ ქანდაკებებს, თანამედროვეობიდან ანტუან ბურდელის „ისრის მტყორცნელი“ თუ უდგას გვერდით (ბურდელის ეს ქანდაკება პარიზში, დორსეის მუზეუმის მეორე სართულზეა ექსპონირებულიძ. კანტიკუნტად, მაგრამ კაცობრიობის უწყვეტი გენიის ახალ და ახალ განვითარებაში აღმოცენდება ხოლმე ცივილიზაციის საოცრებანი, თავის დროზე ამდაგვარმა პროცესმა შვა, მიქელანჯელოს მეშვეობით, ქანდაკება „დავითი“ და „მიჯაჭვული მონები“. ამ გასაოცარ ქმნილებებში, ძვირფას მარმარილოს ქვაში, დაუტევადი სული და კოსმოსური ძალაა შესისხლხორცებული. ქანდაკებებში მარმარილოს ქვის ფაქტურას და ფიზიკურ წონას ვერ გრძნობს ადამიანი; აქ მხოლოდ ქმნილების ღვთიური თვისებები და მარადიული სულიერებაა აფეთქებული, მხატვრის გენიის შემოქმედებითი სულის აწყვეტის, მუზათა გახელების, ზღვარს გადაცილებული ვნებათაღელვის და ფანტაზიის აღმაფრენის კულმინაციაა.

უნიკალური ლუვრის მუზეუმის, ძველი რომაული და იტალიის აღორძინების ხანის ქანდაკებათა დიდ დარბაზში, თითქოსდა ვერ ეტევიან მიქელანჯელოს „მიჯაჭვული მონები“, უსასრულოდ იტანჯებიან და უხილავად ილეწება მათი სული და ძვლები, გაწყვეტამდე დაჭიმული კუნთები, დაბერილი არტერია, ძარღვები და აწეწილი ნერვები. ოცნებაშიც ვერ ჯდება ფიქრი იმაზე, რომ ისინი როდესმე აიწყვეტენ და უმძიმესი ტანჯვისგან განთავისუფლდებიან; იმდენად არიან მტკიცე ღვედით და უხილავი კოლოსალური ძალით შეკრულნი. სიმბოლურია აქ ყოველივე: ადამიანი მარადიულ ტანჯვაშია და დედამიწაზე, სიცოცხლის დასასრულამდე მონობისთვისაა გაჩენილი.

ერთ დროს მეფეთა, დედოფალთა, კარდინალთა და დიდებულთა მჩქეფარე ცხოვრების ამსახველი მატიანე, ლუვრის კედლები, „მიჯაჭვული მონების“ გაუთავებელი სტუმრობით უკიდურესად დაძაბული და ფსიქოლოგიურად შეკუმშულია. თავად ავტორი მიქელანჯელო კი შორს, იტალიის მიწას შერწყმია და მისგან არაფერი ისმის, მხოლოდ მისი „მიჯაჭვული მონები“ უსასრულო დროით შეხმიან მიწიერ დრამას. მათ ირგვლივ შემოჯარული დუმილის ქანდაკებები, იმპერატორთა, ბრძენთა, პოეტთა და დიდებულთა ბიუსტები, ამდაგვარი წამების ცქერით განცვიფრებულან. დღევანდელი, გაოგნებული და მორჩილი მაყურებელი მდუმარედ დადის და ამ დაძაბულ სივრცე-გარემოში კოსმოსური ხრიალივით ესმის მოხუცი მიქელანჯელოს სულის ჩივილ-გოდება:

**„ვარ მარტოსული და გაწირული**
**და მომწყვდეული, როგორც**
**ქერქი ხისა...**
**მე ვზზუი ისე, როგორც კრაზანა,**
**ძვლისა და ტყავის ტომარაში**
**მოთავსებული...“**

მიქელანჯელო, როგორც ტიტანი ადამიანი და მოქანდაკე, მიწიერი და კოსმოსური, დიდი ძალაა, ფიდიასის მერმე, ჯერ არგაგონილი ადამიანური საოცრება-მოვლენაა; ასევე ყველა დროის ბელადზე, მეფეზე და იმპერატორზე აღმატებული და მაინც, სანამდე მიიყვანა კოსმოსის შეუჩერებელმა დროის დინებამ და მისმა მიუკარება განაჩენმა. ასეთი სასწაულმოქმედი ადამიანი, მიქელანჯელო, თანდათან საშინელ წყვდიადს ბარდებოდა. კოსმოსი — დრო, სივრცე — გარემო და გარდამავლობა, უმოწყალოდ, ზემიწიერი ძალ-ღონით ქვესკნელისკენ ექაჩებოდა მას და დაუნდობლად სპობდა დიდ ხელოვანს... მოქანდაკის უკვდავი შედევრები კი განზე იდგა, საოცრება „სიქსტის კაპელას“ ჭერის მოხატულობაც თავისთვის ბობოქრობდა. ამ დროს სულგრძელი მიქელანჯელო მისეულ ქმნილებებს ხელს არ უშლიდა და უპატიოსნესი ბერივით მორჩილი იდგა მათ წინაშე, თანაც, ბავშვივით უკვირდა, რა ადვილად ერეოდა და ცვეთდა უხილავი ძალა. კოსმოსური შავი ჩრდილი უმოწყალოდ ანადგურებდა მის ადამიანურ ბუნებას და უსაშველოდ მიაქანებდა იმ ქვეყანას, ანუ მიწიერ სისტემაში; რა თქმა უნდა, მიწა უხმობდა მას უახლოესი, დიდი და ურთულესი კოსმოსური ფენომენი... ამასობაში მიქელანჯელოს ტანჯვის ბორცვზე შემდგარი სული მწარედ გვახსენებდა:

**„ჩემი კბილები ისე ირყევა,**
**ვით კლავიშები კლავესინისა...**
**მაქვს პირისახე**
**გაფითრებული...**
**ცალ ყურში მიზის მე ობობა**
**ძსელის მძსოვრელი“.**





ამგვარად მოტეხა მიწიერმა და კოსმოსურმა ბუნებამ ერთ დროს უდრეკი და შეუპოვარი მიქელანჯელო და ჩვეულებრივ მოკვდავს გაუთანაბრა.

სინანულით საყვედურობს ხელოვნებას და თავის შედევრებს მიქელანჯელო, ხოლო სდუმან და ძლიერი პლანეტების დარად დგანან „დავითი“, „პიეტა“, „მოსე“, „სიქსტის კაპელას“ საოცრება ფრესკები, „მიჯაჭვული მონები“ და მრავალი სხვა, სამყაროს მთლიანობას შერწყმიან ისინი და ავტორის მალე გამიწიერება არც ადარდებთ. ასეთი ბედისწერისაა ყოველი დიდი შემოქმედის ცხოვრება.

მიქელანჯელოც, დედამიწის ჯანმრთელი ნიჭი და უწყვეტი არტერია, ვერ შერიგებოდა სიბერეს და სიკვდილს, კოსმოსურ მკაცრ გარდუვალობას და მწარე და ტრაგიკულ სულიერ სურათს გვიხატავს ის:

**„მე ვარ მოხუცი, უბადრუკი და**
**გათელილი**
**და ბედშავს ახლა სიკვდილი თუ**
**მიშველის მხოლოდ...**
**მოქანცული ვარ, გატანჯული**
**და მოტეხილი,**
**ჩემი სასტუმრო ერთადერთი**
**არის სიკვდილი...“**



მიქელანჯელო უკანასკნელად შეებრძოლა სიკვდილს და, მიშველეთო, — ხრიალით აღმოხდა უმწეო მოხუცს, მაგრამ მის წინაშე დუმდა ყოველი და ყოველივე... მასთან მხოლოდ კოსმოსური უძლეველი ძალა აქტიურობდა, შავი, უზარმაზარი სიკვდილის უხილავი მასა მძიმედ მოჩოჩავდა მისკენ, სასტიკ ჯალათად, თავის ბნელ საქმეს ასრულებდა ის და არავის არ ემორჩილებოდა. დაუძლურებული მხატვარი ნელინელ ბარდებოდა და მორჩილობდა... მიქელანჯელოს ქმნილებანი კი არც ერთის საქმეში არ ერეოდნენ, მიწიერი სიკვდილ-სიცოცხლე მათთვის ხომ ძალიან შორეული იყო და სრულიად უცხო განზომილება. ყოველი შედევრის უცნაურ დამოუკიდებლობას და უცხო გაურკვეველ განდგომილებას მივყავართ ისეთ დასკვნამდე, რომ ისინი უთუოდ იმ მესამე რაღაცაში უშუალო კონტაქტში არიან, რომელიც ჩვენგან ძალიან შორეულია, რის ძიებასაც უმოწყალოდ შეეწირა მისტიკოსი პოეტი ტერენტი გრანელი. ის მესამე რაღაც გონმიუწვდომელი ფენომენია, ბოლომდე შეუცნობელი, ალბათ სამყაროსაც აქვს თავისივე ზომის და სიდიდის ინსტინქტი, რაც თავისთავად შეუვალ იდუმალებას წარმოადგენს.

მარადიული შედევრების ავტორი კვდებოდა, დიდ ხელოვანს დრო უსწრებდა და სამოქმედოდ სიკვდილი ჩამოეგდო. ყოველივეს გამანადგურებელს შეევიწროებინა გარემო და არამიწიერი სუნი ტრიალებდა ირგვლივ. მიქელანჯელო კვდებოდა, იქვე ახლოს, მეზობელ სახლში ბავშვი იბადებოდა. აქ კი შედევრთა მშობიარობა დასრულებულიყო და მრავალწერტილმა ვარსკვლავეთამდის ააღწია...

**რეზო ადამია,**
**სახალხო მხატვარი.**

აკადემია

# კიდევ რვა სახელობითი

**გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის (სმეაძ აკადემიური საბჭოს (ყოფილი პრეზიდიუმისძ მორიგი სხდომა. დასაწყისში აკადემიის პრეზიდენტმა თამაზ გამყრელიძემ 75-75 წელი მიულოცა ორ აკადემიკოსს — მინდია სალუქვაძესა და გივი ცინცაძეს.**

სმეა-ის მიერ შარშან გაწეული მუშაობის თაობაზე მოხსენებით გამოვიდა აკადემიკოსმდივანი ოთარ ნათიშვილი (ეს საქმიანობა ვრცლად აისახა სულ ახლახან გამოსულ წიგნში „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია — 2007“ძ.

21 მარტის სხდომაზე აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა გამორჩენილ მეცნიერთა სახელობითი პრემიების ნუსხა. ბოლო სხდომაზე აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე შემოვიდა ამ ნუსხის შევსების წინადადებით.

აკადემიური საბჭოს დადგენილებით, დაწესდა კიდევ რვა საკადემიო სახელობითი პრემია (ანბანური რიგითძ: ვახუშტი ბაგრატიონისა (გეოგრაფიის დარგშიძ, ექვთიმე თაყაიშვილისა (ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნება, მხარეთმცოდნეობაძ, ანა კალანდაძისა (პოეზიაძ, გიორგი მელიქიშვილისა (ძველი ისტორიაძ, გიორგი ნიორაძისა (არქეოლოგიაძ, მიხეილ ნოდიასი (გეოფიზიკაძ, გალაკტიონ ტაბიძისა (პოეზიაძ და თინათინ წერეთლისა (სამართალმცოდნეობაძ — თითოეული სამი ათასი ლარის ოდენობით.

ამრიგად, სმეა-ში სახელობითი პრემიების რიცხვმა უკვე 42-ს მიაღწია და აკადემიკოსმა რონ მეტრეველმა არცთუ უსაფუძვლოდ გამოთქვა ეჭვი — ხომ არ გამოიწვევს ასეთი რაოდენობრივი ზრდა „ხარისხოვნების“ დევალვაციას, ჯილდოების გაუფასურების საშიშროება ხომ არ გაჩნდებაო. საპასუხოდ ითქვა, რომ საკონკურსო პირობები, წამოყენებული ნაშრომების შერჩევა გამკაცრდება და არც ისაა სავალდებულო, რომ ესა თუ ის პრემია უთუოდ „ათვისებული“ და მინიჭებული იყოს გამოცხადების შემდეგ (თუმცა აქამდე ასეთი შემთხვევა არ ყოფილაძ.

შეკრებაზე საბოლოოდ შეაჯერეს სმეა-ის წესდების ტექსტი. იგი დასამტკიცებლად წარედგინება 11 ივნისისათვის მოწვეულ აკადემიის საერთო კრებას, რომელზეც აგრეთვე დამტკიცდება დროებითი დებულება აკადემიის პრეზიდენტის ასარჩევად. ამ დებულების მიხედვით შედგება არჩევნები უკვე 18 ივნისს.

ქართული ენციკლოპედიის მთავარმა რედაქტორმა, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორმა ზურაბ აბაშიძემ დამსწრეთ მიაწოდა ინფორმაცია ლონდონში, ენციკლოპედია „ბრიტანიკასთან“ შემდგარი მოლაპარაკების თაობაზე, აგერთვე წარუდგინა სასიგნალო ცალი ერთობ მნიშვნელოვანი გამოცემისა „ქართული ენა. ენციკლოპედია“ (შემდგენელი იზაბელა ქობალავა, რედაქტორი გუჩა კვარაცხელიაძ. გამოცემა შესაძლებელი გახდა „თიბისი ბანკისა“ და მისი ხელმძღვანელის მამუკა ხაზარაძის ფინანსური მხარდაჭერით.

**თამაზ ებანოიძე**

კალათბურთი

# სოლისტებიც გვყოლია

**დღეს დედაქალაქის სპორტის სასახლეში 15 საათსა და 15 წუთზე დაიწყება სუპერლიგის გადამწყვეტი პლეი-ოფი „ავიამშენსა“ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდებს შორის, რომელიც გამოავლენს პირველი ფინალისტის – რუსთავის „ენერჯი ინვესტის“ მომავალ ოპონენტს.**

სტუდენტებმა დამატებითი შეხვედრის გამართვის უფლება მეოთხე მატჩის მოგებით მოიპოვეს – 79:71 და სერიაში საერთო ანგარიში გაათანაბრეს – 2:2.

პრინციპულ მეტოქეთა ბრძოლა ამჯერადაც მძაფრად წარიმართა და მისი ბედი თსუ-ს რამდენიმე კალათბურთელის ინდივიდუალურმა ოსტატობამ გადაწყვიტა. კერძოდ, თუ შესვენებამდე ფანჩულიძემ გაილაღა (26 ქულა), მეორე ნახევარში ავიატორებს ტყეშელაშვილმა (20 ქულა) შეუქმნა გადაუჭრელი პრობლემები, დასკვნითი ქულები კი პარტნიორებს კეიდიამ მოუტანა.

ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ ერთ-ერთ აქტუალურ – მსაჯობის საკითხსაც, რადგან შაოსანთან, განსაკუთრებით დავით ბერეკაშვილის ზოგიერთი გადაწყვეტილება, რბილად რომ ვთქვათ, კიდევ უფრო ძაბავს



სარბილზე შექმნილი ისედაც ფეთქებადსაშიშ ვითარებას და კაცმა არ იცის, როგორ შედეგებს მოიტანს ფინალურ რაუნდში.

ფეხბურთი

# ვინ შეიბამს ეჟვანს?

**ეს ისეთი ვითარებაა, დათანხმება რომ ვაის ტოლფასია და უარის თქმა – უის.**

**საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვაკანსიაზე მოგახსენებთ, მოახლოებული შესარჩევი ციკლის წინ ისედაც დაბეჩავებულ „ჯვაროსნებს“ დამატებით სირთულეებს რომ უქადის.**

საარაკო საბიუჯეტო მილიონებით გამდიდრებული კლაუს ტოპმიულერის ფედერაციის თავკაცებთან „გაყრისა“ და სამშობლოში გაპანლურების შემდეგ უკვე ორი თვე გავიდა, თუმცა ყველაზე რეალური კანდიდატების ვინაობა მხოლოდ ამ უკანასკნელ პერიოდში გამოიკვეთა.

მათგან ყველაზე რეალურად ჯერჯერობით ხორვატი სპეციალისტის ბრანკო ივანკოვიჩის შანსები გამოიყურება, რომელმაც განვლილ კვირაში თბილისში ჩამოსვლაც მოასწრო და ანდერძის დაბარებაც – საბოლოო პასუხს ოჯახთან კონსულტაციების შემდეგ შემოგითვლითო.

შედარებით უფრო ბუნდოვნად გამოიყურება თემურ ქეცბაიას პერსპექტივა, რომელმაც, როგორც მოგეხსენებათ, კვიპროსზე მოღვაწეობით ჩინებული კარიერა გაიკეთა და იქაურთა შორის დიდი ავტორიტეტიც მოიხვეჭა. არა გვგონია, გადაწყვეტილების მიღებისას ზედმეტად ფრთხილმა და დაკვირვებულმა ჩვენმა საამაყო თანამემამულემ ოცნების კუნძული მიატოვოს და სამშობლოში გაუგებრობაში მოხვედრა ამჯობინოს. მით უმეტეს, მოლაპარაკებების გასაგრძელებლად აუცილებელ პირობად კლუბ „ანორთოსისში“ შეთავსებით მუშაობა დაასახელა.

მოკლედ, ცოტაც მოვითმინოთ კვანძის გახსნამდე.

უნივერსალური ორთაბრძოლები

# 200 სპორტსმენის მონაწილეობით

**თბილისის მძლეოსნობის სასახლეში ორ ტურად გაიმართა საერთაშორისო ტურნირი უნივერსალურ და ორიენტალის თავისუფალ ორთაბრძოლებში (ფედერაციის პრეზიდენტი სოსო დოლიძე). საქართველოს, ირანის, სომხეთისა და აზერბაიჯანის სპორტსმენებმა ევრაზიის სამხრეთი ქვეყნების პრიზები და ქამრები გაითამაშეს. სულ შეჯიბრებაში 15 კლუბის 200-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა.**

საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეზიდენტის – კახა ბასილიას და დიდუბის მძლეოსნობის სასახლის მესვეურის – გივი ბედოშვილის დახმარებით ტურნირი საინტერესოდ ჩატარდა. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ პირველ ადგილებზე გავიდნენ გიგა ნოზაძე, ლევან ბეგლარიშვილი, გიორგი ქალდანი, ალეკო ჭელიძე, გიორგი რაზმაძე, ირაკლი ჯოხაძე, გიორგი ტურაშვილი (ყველა – საქართველოძ, მანუჩერ დაჯიდი (ირანიძ, შაჰინ შაჰპილენგოვი, ზაურ ისმაილოვი, რაფიკ ჰასანოვი, ელჩინ ბაირამოვი (ყველა – აზერბაიჯანიძ, სურენ სარქისიანი, ვართან ხაჩატურიანი (ორივე – ერევანიძ.

გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის მედლებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს.

პროტესტი

# ...ნურც ნურვინ შეგვეცილება

**საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო აკადემიის სტუდენტთა და თანამშრომელთა მიმართვა პრეზიდენტსა და მთავრობას**

ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემიის სტუდენტებს და თანამშრომლებს, აგერ ერთი წელიწადია, წაგვართვეს სპორტის აკადემიის შენობა. ალმა-დალმა დავწანწალებთ: ხან „ქარიშხალაზე“ ვართ, ხან – ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში, ხან – ყოფილ ენციკლოპედიასა და სამედიცინო ინსტიტუტში. რას გვერჩოდნენ, როცა გვქონდა ჩვენი შენობა ყველა საჭირო ბაზით, რაც საჭიროა მაღალკვალიფიციური სპეციალისტის ჩამოსაყალიბებლად.

სტუდენტთა უმრავლესობა რაიონებიდან არის ჩამოსული სასწავლებლად, არადა, მთავრობა აიძულებს მათ უთავბოლოდ იხეტიალონ. კატეგორიულად მოვითხოვთ, გვაჩვენოთ საბუთი, რომლის ძალითაც გვართმევთ შენობას და სამშობლოში სწავლა-განათლების მიღების საშუალებას.

ბატონო პრეზიდენტო, და თქვენ, მთავრობის მესვეურნო, ნუთუ არ გეუხერხულებათ, რომ რვა თვეა, შენობა დაკეტილია, ჩვენ, სტუდენტები და თანამშრომლები, კი დაწიოკებული წიწილებივით აქეთ-იქით ვართ მიმოფანტულები. ნუთუ არ კმარა ამდენი უსამართლობა, ამდენი ძალადობა, რასაც თქვენ აკეთებთ!

სტუდენტები ფულს იხდიან ცოდნის შესაძენად, თქვენ კი, დახმარების ნაცვლად, ხელს გვიშლით და ამას მიზანმიმართულად აკეთებთ. ეტყობა, ხელს არ გაძლევთ ნასწავლი და განათლებული ახალგაზრდობა. თურმე მარტო ბობოლების ნაშიერებმა უნდა მიიღონ განათლება, ხოლო პატიოსანი, მშრომელი ხალხის შვილები არ გადარდებთ.

თხოვნით მივმართავთ ოპოზიციას, მხარში ამოგვიდგეს, რათა შენობა დავიბრუნოთ. ცოცხალი თავით არ დავთმობთ აკადემიას.

როგორც ხედავთ, მშობლიურ უმაღლეს სასწავლებელთან გაშლილი გვაქვს კარვები და მთელი წელიც რომ დაგვჭირდეს, ფეხს არ მოვიცვლით აქედან, სანამ ჩვენს მოთხოვნას არ დააკმაყოფილებთ. სხვისას არაფერს ვითხოვთ, შენობის დასაკუთრების მსურველებს კი ვურჩევთ, ნურავინ შეგვეცილება.

პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სახელით:

გურამ ძაგანია, მამუკა მაღლაკელიძე, ნორა მძელური, ლარისა ბერიევა, გიორგი კობიძე, გიორგი გელდიაშვილი... სულ 93 ხელმოწერა.

ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის მილოცვა

# საქართველოს ცამეტგზის ჩემპიონს – თბილისის „დინამოს“

ძვირფასო დინამოელებო!

თქვენ ქართველ გულშემატკივარს კლუბის ისტორიის მანძილზე უკვე მეცამეტედ ჩუქნით უზარმაზარ სიხარულს.

ჩვენთვის წლევანდელი წელი განსაკუთრებით მძიმე გამოდგა, მაგრამ მოხარულები ვართ, რომ კლუბმა „დინამომ“ ზუსტად ახლა დაამტკიცა, რომ ბადრი პატარკაციშვილის ძალისხმევა – ყველაფერი გაეკეთებინა, რათა ქართველი გულშემატკივრისთვის სპორტულ ასპარეზზე გამარჯვებით გამოწვეული სიხარული მიენიჭებინა, ამაო არ აღმოჩნდა.

სულითა და გულით გილოცავთ.

დინამოელებო, ვამაყობთ თქვენით!

ორბიტაზე



## ბილეთები თითქმის გაყიდულია

**თუმცა ავტორბოლაში „ფორმულა-1“ მსოფლიო ჩემპიონატის სინგაპურის ეტაპამდე ოთხ თვეზე მეტია დარჩენილი, მაგრამ, როგორც იტყობინებიან, 28 სექტემბრის რბოლისთვის ბილეთების 82 პროცენტი უკვე გაყიდულია. აქ გასაკვირი არაფერია, რადგან იმ დღეს უნდა აღსრულდეს ამ ვაჟკაცური სპორტის გენერალური მენეჯერის ბერნი ეკლსტოუნის დიდი ხნის ოცნება-რბოლის ღამის სიბნელეში, ხელოვნურ განათებაზე გამართვის შესახებ.**

ალბათ სწორედ ამან გამოიწვია, რომ ამ უჩვეულო რბოლის ბილეთების უდიდესი ნაწილი ასე ადრე გაიყიდა.

## მიწისძვრა ოლიმპიურ ცეცხლს ვერ ჩააქრობს

**2008 წლის პეკინის ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტის მარშრუტს ვერ შეცვლის საშინელი, დამანგრეველი მიწისძვრა, ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთის პროვინცია სიჩუანში რომ მოხდა, – განაცხადეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში.**

დიპლომატებმა ისიც განაცხადეს, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას მარშრუტში შესაძლო ცვლილებების თაობაზე მიიღებენ ამ დიდი უბედურების შედეგების ლიკვიდაციისა და ზარალის დაანგარიშების შემდეგ.

ქვეყნის საგარეო პოლიტიკურმა უწყებამ რწმენა გამოთქვა, რომ თუმცა მიწისძვრამ დაახლოებით 10 ათასი კაცის სიცოცხლე შეიწირა, ეს გარემოება ხელს ვერ შეუშლის პეკინსა და ქვეყნის სხვა ქალაქებში ამ ზაფხულში ოლიმპიური თამაშების გამართვას. ოლიმპიური ჩირაღდანი კი ამ დღეებში ჩავა 7 ქალაქში, მათ შორის იმათშიც, მიწისძვრამ რომ დააზარალა.



ამჟამად ოლიმპიური ჩირაღდანი ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის პროვინცია ფუძიამაში „მოგზაურობს“. თუმცა, როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, ოლიმპიური ჩირაღდნის მარშრუტი ერთგვარად მაინც შეიცვლებ- შემოკლდება.



## მეზღვაურობა თუ მსახიობობა

**თითქმის მუდამ ზღვაში გასულ მეზღვაურ ქმარზე უკეთესი მსახიობი ცოლი როდია. ისიც მუდამ ახალი ფილმებისა თუ სერიალების გადაღებაზეა და თავისი ყბედობით ქმარს როდი უშლის ხელს მეგობრებთან დროსტარებაში.**

არ ვიცით, ასე ფიქრობდა თუ არა იტალიური „მილანის“ ფეხბურთელი ალექსანდრო პატო, ბრაზილიელ მსახიობ ქალს სტეფანი ბრიდოს ხელი და გული რომ სთხოვა. ეს, ალბათ, მხოლოდ თავად იცის. თუმცა ის დიდი მჭერმეტყველებით არ გამოირჩევა. ამიტომ ჟურნალისტები მის რჩეულს უფრო მიაწყდნენ.

საბედნიეროდ, სენიორა ბრიტოს ძალზე უყვარს ვრცელი ინტერვიუების მიცემაც და პირად ცხოვრებაზე გრძლად და დაწვრილებით წერაც. ისე რომ, ინტერნეტითაც შეგეძლებათ იმის შეტყობა, თუ სიტყვაძუნწმა პატომ როგორ „გამოიჭირა“ ლამაზმანი.

ის კი ცნობილია, რომ აპრილის ბოლოს შეყვარებულებმა პარიზი მოინახულეს, ეიფელის კოშკიდან ღამის პარიზით რომ ტკბებოდნენ. ფეხბურთელმა მაშინ შესთავაზა ულამაზეს ბრაზილიელს, ცოლად გამომყევიო.

ქორწილამდე ალბათ, შორს აღარაა.

## სარედაქციო ფოსტიდან

**ერთი ძველი ამბავი უნდა გიამბოთ...**

**მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ვარლამი მშობლიურ სოფელ კორცხელში რომ ჩავიდა, პირველმა ბოჩია დალაქმა შენიშნა. მედლებით მკერდდამშვენებულ ჯარისკაცს დაჟინებული მზერა მიაპყრო. მერე სადალაქოში მყოფთ განუცხადა:**

— ბიჭებო, თუ არ ვცდები, ქვაცა ჭითანავა ჩამოსულა ჯარიდან (სოფელში ქვაცას ეძახდნენ).

თანასოფლელები ქვაცას გულმხურვალედ შეხვდნენ. მიულოცეს შინ მშვიდობით დაბრუნება...

# საიდუმლო შეინახა

ქვაცას სკოლისდროინდელი ორი მეგობარი აემგზავრა.

შუა გზაზე ქვაცას სირბილით დები შემოეგებნენ. როგორც გაირკვა, ოჯახში მახარობელი მისულიყო. ჭიშკართან მშობლები დახვდნენ. ძმა იროდი აივანზე გადმოდგა და ორლულიანი თოფი დაცალა. მალე კარის მეზობლებიც მოცვივდნენ. იქ გაჩნდა ქვაცას ბავშვობის მეგობარი გივი რაფავაც.

გივი ქვაცაზე ხუთი წლით უმცროსი იყო. საშუალო სიმაღლის, ღონიერი და სიტყვაძვირი ვაჟკაცი გახლდათ. ქვაცა ტანმორჩილი, ენად გაკრეფილი და ხუმრობის მოყვარული იყო. მიუხედავად ამგვარი განსხვავებისა, ბიჭები ერთმანეთში ხასიათშეწყობილად იყვნენ. დღის ბოლოს ხშირად ნარდის თამაშით ერთობოდნენ და ძეიფსაც არ იკლებდნენ. ორივეს ნადირობა უყვარდა. ქვაცას განსაკუთრებით გარეულ ფრინველებზე ნადირობა იზიდავდა.

ერთხელ ქვაცა ეუბნება გივის:

— ბიჭო, გივი, არ მოგწყინდა დღენიადაგ კურდღლებზე ნადირობა, კვირას იხვებზე სანადიროდ მივდივარ. შენც წამოდი.

იქ ერთ პატარა ტბაში გარეული იხვები თურმე მრავლად ბინადრობენ.

გივიმ ხათრი არ გაუტეხა და დათანხმდა. დილა ადრიან ფეხით გაუდგნენ გზას. ნახევარი საათის სავალი რომ გაიარეს, ქვაცა ეუბნება.

— მოხარშული დედლისა და არყის თრევამ მომწყვიტა წელი. თუ კაცი ხარ, შევისვენოთ.

— ვიცი, ერთი სული გაქვს, როდის დალევ. ჯობს, თავი შეიკავო. მეც მომაქვს საგზალი და ნადირობის შემდეგ მოვილხინოთ.

ქვაცამ თავისი გაიტანა. ჩამოსხდნენ. გივიმ ცოტა დალია. ქვაცამ თავდაუზოგავად მიირთვა სასმელი და შესამჩნევად შეთვრა კიდეც.

— ბიჭო, ქვაცა, შენ უკვე მთვრალი ხარ და ნადირობის თავი გექნება?

— გივი, შენი მიკვირს. რამდენი ხანია მიცნობ და ის არ იცი, რომ როდესაც ნასვამი ვარ, ტყვიას ტყვიაში ვაჯენ. თუ არ გჯერა, დღეს ნახავ, რამდენი იხვიც აფრინდება, ყველას ჩამოვაგდებ.

ტბას რომ მიადგნენ, შუა დღე მოახლოებული იყო. ვერაფერი ინადირეს. ხასიათწამხდრები დაბრუნდნენ. ერთ-ერთ სოფელში, მდინარეზე გადასვლისას, ხიდზე შემდგარმა ქვაცამ დაიძახა:

— უყურე, გივი, იხვები აქ ჩამოფრენილან.

ეს თქვა და მდინარეში მოცურავე იხვებზე მიუთითა.

— არ ესროლო, ბიჭო, ვერა ხედავ, შინაური იხვებია. მდინარეს პირას რომ დგას სახლი, ეტყობა, იმათია.

— შენ რა იცი, გარეულია თუ შინაური.

ეს თქვა, და ორი გასროლით ორი იხვი მოკლა. სწრაფად შევიდა მდინარეში და ნანადირევი ამოიტანა.

უმალ ეზოდან ქალი მოვარდა ყვირილით:

— ვინა ხართ, თქვე ყაჩაღებო, ჩემს იხვებს რომ დაერიეთ.

ამაზე ქვაცამ მიუგო:

— ვინ მოგცათ, ქალბატონო, უფლება, რომ გარეულ იხვებს დაეპატრონოთ. ეგენი ყველას კუთვნილებაა.



— რა გარეული იხვები?! შინაურისგან თუ ვერ არჩევ, რას დადიხარ სანადიროდ!..

— რადგან ეგრეა, გადავიხდი საფასურს, ოღონდ ბაზრის ფასი მითხარი.

ამ დროს სახლიდან შუა ხნის კაცი გამოვიდა.

— გამარჯობათ, ბიჭებო! შეგეშალათ ხომ?

— დიახ, — მიუგო ქვაცამ.

— თამრო! — მიუბრუნდა მამაკაცი ქალბატონს. — თანხას ნუ მოსთხოვ, რახან შეეშალათ. იხვები ღმერთის წყალობით ბევრი გვყავს. რა მოხდა, ორი ცალი ვაჩუქოთ.

— არა, უნდა გამოვართვა. სწორედ დღეს ვაპირებდი ბაზარში წასვლას და გაყიდვას. — ეს თქვა და ქვაცას თანხა გამოართვა.

ქვაცამ ერთი იხვი თვითონ ჩამოიკიდა მონადირის ქამარზე, მეორე გივის მიაწოდა. მაგრამ გივიმ ამგვარი ნანადირევი არ იკადრა და არ გამოართვა. ქვაცამ მეორე იხვიც ქამარზე ჩამოიკიდა და შინისკენ გასწიეს.

გივის ჭიშკარს რომ მიუახლოვდნენ, ქვაცამ გივის ცოლს გასძახა:

— შენს ქმარს ნადირობა უყვარს და ნანადირევის ტარება კი არა. გთხოვ, წაიღო, — უთხრა და იხვი ჭიშკარზე ჩამოჰკიდა...

მალე შემოდგომა დადგა. უბანში საქორწინო სუფრა გაჩაღდა. გივი და ქვაცა თამადის ახლოს ისხდნენ.

გივიმ შეამჩნია მოპირდაპირე რიგიდან ერთი მამაკაცი დაჟინებით უმზერდა. გივიმ თვალი თვალში რომ გაუყარა, სტუმარმა ჭიქა აილო და გივის მიმართულებით გაიშვირა.

გივი ეუბნება ქვაცას:

— ბიჭო, ქვაცა, ეგ კაცი ხომ არ გეცნობა?

— მგონი, იხვები რომ მოგვყიდა, ის არის.

— მერე რა მოხდა? — თქვა ქვაცამ.

— რა მოხდა და, რომ გაგვთქვას, სოფელში თავი მოგვეჭრება.

ამასობაში სტუმარმა ქაღალდი, საწერ-კალამი ამოიღო და ბარათი დაწერა. მერე მერიქიფის ხელით გამოუგზავნა ბიჭებს.

აი, რა ეწერა ბარათში:

„ბიჭებო, გიცანით. თქვენ ხართ შინაურ იხვებზე მონადირენი. არ ინერვიულოთ. არავისთან არაფერს ვიტყვი. გაუმარჯოს ჩვენს პურის ჭამას“.

გივიმ რომ ჩაიკითხა, გახედა ბარათის დამწერს. ის კვლავ გივისკენ იმზირებოდა. გივიმ ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა. სტუმარმაც ამბორით უპასუხა. ქვაცა ადგა, ჭიქით ხელში მივიდა სტუმართან, ვახტანგურად შესვეს და, როგორც წესი, ერთმანეთი გადაკოცნეს.

ასე დარჩა სოფელში საიდუმლოდ იხვებზე ნადირობის ამბავი.

**ბორის ჭითანავა**

## პერიოდიკა

# „შენა ხარ ჩემი ჯილდოც, სასჯელიც“

## ჟურნალის ახალი ნომერი

**ჟურნალ „მნათობის“ (მთავარი რედაქტორი თამაზ ჭილაძე) ახალი ნომერი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის დაბადებიდან 75 წლის აღნიშვნით იხსნება.** პატრიარქს იუბილეს ულოცავენ მწერალთა ასოციაცია „მნათობის“ წევრები, ჟურნალ „მნათობის“ თანამშრომლები. ხათუნა პატაშურის „შიოლაიც“ სნოს იდუმალ სამყაროში განმარტოებულ, მარადისობასთან მოსაუბრე პატრიარქს გვიხატავს. **„ამ სოფელშია მისი ფესვები, მშობლების საფლავები. აქ დაბადებულა, ვით ქრისტე ბაგაში, და მთების სიწრფელითა და მყინვარის სისპეტაკით შემკული თვითონაც უწმინდესად და უნეტარესად წოდებულა“...** — ვკითხულობთ ნარკვევში.




ჟურნალის ახალ ნომერში რუბრიკით — „ოთარ ჭილაძე — 75“ დიდ მწერალს იუბილეს ულოცავს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. აქვე მკითხველი გაეცნობა წმინდა სამების ტაძარში 2008 წლის 23 მარტის უწმინდესისა და უნეტარესის ქადაგებიდან ნაწყვეტს, რომელიც ოთარ ჭილაძეს ეძღვნება.

**„...მე მინდა ასევე ვახსენო ერთი ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა საქართველოს და სწირავს საქართველოს. ეს ბრძანდება ჩვენი დიდი მწერალი ოთარ ჭილაძე, რომელსაც შეუსრულდა 75 წელი.**

ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენს უფროს თაობას, რომელმაც გამოიარა კომუნისტური რეჟიმი და შეინარჩუნა ის სიფაქიზე, ის სულიერება, ის სიღრმე, რომელიც ახასიათებდა ჩვენს წინაპრებს, ჩვენს ერსა და ეკლესიას“, — ბრძანებს პატრიარქი.

რუბრიკით „პროზა, თარგმანები“ წარმოდგენილია ზაზა თვარაძის მოთხრობა „იდიოტი“, ზაზა კვერცხიშვილის მიერ თარგმნილი მონაზონ გრიგორი კრუგის ორი წერილი: „მამა ღმერთის გამოსახვა მართლმადიდებელ ეკლესიაში“, „წმინდა სახარების გამოსახვა“, აქვე გამოქვეყნებულია მისივე თარგმნილი გიორგი ფლოროვსკის „ქრისტიანობა და ცივილიზაცია“.

რუბრიკა „ესე, ლიტერატურული ნარკვევი, პუბლიცისტიკა“ მკითხველს გურამ ბენაშვილის, შორენა მახაჭაძის, ჟანა ოთხვანის, ნესტან სულავას საინტერესო წერილებს სთავაზობს.

აქვე გაეცნობით თამაზ ჭილაძის წერილს „მაესტრო“, რომელიც ჯანსულ კახიძეს ეძღვნება, ასევე, გია გიგაურისა და ბონდო არველაძის წერილებს.

ჟურნალი „მნათობი“ უცხოეთის კულტურულ სიახლეებსაც აშუქებს.

დაბოლოს, მწერალთა ასოციაცია „მნათობის“ გამგეობა ეთხოვება დიდ პოეტს, ასოციაციის საამაყო წევრს ანა კალანდაძეს. „მნათობის“ გარეკანსაც ანა კალანდაძის ლექსი „მოდიოდა ნინო მთებით“ ამშვენებს.

ჟურნალის ამ ნომერსაც, წინა ნომრების მსგავსად, ეროვნული მუხტი აცოცხლებს, რომელიც ოთარ ჭილაძის ცნობილი სტრიქონით შეიძლება გამოითქვას:

**„შენა ხარ ჩემი ჯილდოც,**
**სასჯელიც,**
**გულზე ახლოს ხარ და**
**ღმერთზე ზემოთ,**
**ჩემო ტანჯულო,**
**ჩემო მტანჯველო,**
**დაულეველო სამშობლოვ**
**ჩემო“.**

**თამარ შაიშმელაშვილი**

სს „თბილისის ქაღალდის ფაბრიკის“ ხელმძღვანელობა გაცნობებთ, რომ 2008 წლის 30 მაისს 12 საათზე, ქ. თბილისში, ბ. ხმელნიცკის 44-ში ჩატარდება აქციონერთა კრება.

დღის წესრიგი:
1. 2007 წლის სამეურნეო ანგარიშის განხილვა;
2. მომავლის გეგმები;
3. სხვა საკითხები.

სს „თბილისის ქაღალდის ფაბრიკის“ გენ. დირექტორი
თ. მენთეშაშვილი

ა/წ 6 ივნისს 13:30 საათზე ჩატარდება სს სტომატოლოგის აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:
1. წლიური ანგარიში;
2. აქციონერის მიერ წილის დაბრუნება.
აქციონერთა დასწრება სავალდებულოა.

ადმინისტრაცია

2008 წლის 12 ივნისს ჩატარდება სს „სურინჯის“ საერთო კრება.

დღის წესრიგი:
1. სს „სურინჯის“ 2007 წლის საფინანსო-სამეურნეო მუშაობის შედეგები — მომხსენებელი დირექტორი ბატონი გივი მამაცაშვილი;
2. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ გასული 2007 წლის შედეგების მიხედვით — მომხსენებელი ბატონი ბ. სვანიძე;
3. საფინანსო-სამეურნეო მუშაობის შედეგების ანგარიშის დამტკიცება;
4. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;
5. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.

სს „სურინჯის“ დირექტორი გ. მამაცაშვილი

15 მაისი, 2008 წელი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სს „კრწანისი 99“-ის აქციათა სამართლიან ფასად გამოსყიდვის თაობაზე

**გამოსყიდვის მიზეზები, პირობები და პროცედურები:**

● მყიდველი ფლობს სს „კრწანისი 99“-ის მიერ გამოშვებულ ჩვეულებრივ სახელობით აქციებს 362200 ცალის ოდენობით (98,0074 პროცენტიძ და მას სურს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გამოისყიდოს 7364 ცალის ოდენობის (1,996 პროცენტიძ ჩვეულებრივი სახელობითი აქციები.

●სს „კრწანისი 99“-ის აქციონერთა სასარგებლოდ გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე განთავსებულია აქციების გამოსყიდვისათვის საჭირო თანხა (ერთი აქცია — 10 (ათიძ ლარიძ, რომლის მიღებაც, გამოსყიდვის აქციათა რეესტრში ხელის მოწერის შემდგომ, აქციონერებს შეეძლებათ, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასლის **73, II სართული, ტ. 50-75-75.**

●გამოუცხადებლობის შემთხვევაში მყიდველი უფლებამოსილია ყველა დარჩენილი აქციების გამოსასყიდი თანხა განათავსოს დანარჩენ აქციონერთა სასარგებლოდ გახსნილ სპეციალურ საბანკო ანგარიშზე, ხოლო აქციები გადავა მყიდველის საკუთრებაში.

●აქციონერებს, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შეფასების ანგარიშის გაცნობა (რომელშიც მითითებულია გამოსყიდვის დოკუმენტურად დასაბუთებული გარემოებები, გამოსასყიდ აქციათა სამართლიანი ფასის დასადგენად გამოყენებული მეთოდები და ამის საფუძველზე განსაზღვრული აქციის სამართლიანი ფასიძ შეუძლიათ საბროკერო კომპანია შპს „პაბლიკ ინვესტმენტ მენეჯმენტ კომპანი“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასლის 73, II სართული, ტ. 50-75-75.

აქციონერებმა რეგისტრაციისათვის (რეესტრიდან ამონაწერიძ უნდა მიმართონ სს „კრწანისი 99“-ის რეგისტრატორს, შპს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებულ რეგისტრატორს“, შემდეგ მისამართზე. ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 74ა, VII სართული.

მყიდველი
გიორგი ნაჭყებია

ხელოვნება

# მუსიკა ფერწერაში



**მუსიკისა და მხატვრობის კავშირებს მიეძღვნა სამხატვრო აკადემიაში გამოფენა-კონცერტი „მუსიკა ფერწერაში“, რომელშიც მონაწილეობდნენ სამხატვრო აკადემიისა და კონსერვატორიის სტუდენტები. ამ პროექტის ავტორია სამხატვრო აკადემიის პედაგოგი, ხელოვნებათმცოდნე ია ესვანჯია.**

**ღონისძიებას ესწრებოდნენ აკადემიის სტუდენტები, რექტორი გია ბუღაძე, პედაგოგები, ხელოვნების მოყვარულნი...**

**ასეთი ტიპის გამოფენა-კონცერტი, რომელიც შემეცნებით ხასიათს ატარებს, უკვე რამდენიმე წელია, რაც იმართება ქალბატონი იას თაოსნობით.**

**ჯერ კიდევ შარშან კონსერვატორიაში ასეთი გამოფენა-კონცერტის დასწრების შემდეგ გადავწყვიტე აქაც მოვსულიყავი და არც მოვტყუვდი, რადგან სხვებთან ერთად ვიმოგზაურე ხელოვნების ორიგინალურ სამყაროში.**

**— ქალბატონო ია, ასეთი გამოფენა-კონცერტები უკვე ტრადიციად იქცა, რომელსაც თქვენ ჩაუდექით სათავეში. თქვენ დიდი ხანია ამ კავშირებზე მუშაობთ, რომელიც ძალიან საინტერესოა. გთხოვთ, ორიოდ სიტყვით გვითხრათ, რამ განაპირობა ამ კუთხით თქვენი დაინტერესება?**

— ეს მხოლოდ ჩემი დაინტერესება არ არის. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ეს თემა ძალიან აქტუალურია, რაც მართებულია, რადგან ჭეშმარიტი ხელოვანი არ უნდა იყოს შემოფარგლული მხოლოდ ვიწრო სპეციალიზებული საგნებით, მას უნდა გააჩნდეს აზროვნების გაცილებით ფართო სპექტრი.



მუსიკის, მხატვრობისა და არქიტექტურის კავშირები უძველესი დროიდანვე აქტუალური იყო. ბერძნულ მისტერიებში შედიოდა თანაფარდობის დოქტრინა, რომელიც არსებობდა მუსიკასა და ფორმას შორის, სწორედ ამ დოქტრინაზე იყო დაფუძნებული არქიტექტურული ელემენტების გამოყენება, რომელიც შესაბამისობაში იყო მუსიკალურ ბგერებთან და ჰქონდათ „მუსიკალური ანალოგი“.

**— შარშანდელი გამოფენა შოპენის მუსიკის შთაგონებით შეიქმნა, წელს დებიუსისა და რაველის მუსიკის მიხედვით...**

— საერთოდ ყოველ ახალ ეპოქას ახალი შინაარსი შემოაქვს, ახალი გამომსახველობითი ხერხები, სტილი, ესთეტიკა. იმპრესიონისტებმა შეიმუშავეს სივრცის ახალი კონცეფცია, დროის მუდმივ ცვალებადობასთან მიმართებაში, სადაც წინა პლანზე წამოწეული იყო ადამიანის ემოციები, ინტიმური განწყობილება, გადმოცემული გამომსახველობითი თუ ბგერწერითი საშუალებებით. იმპრესიონისტულ ფერწერასა და მუსიკას შორის მრავალი პარალელი არსებობს, მაგ. იმპრესიონისტი მხატვრები ძირითადად იყენებენ სუფთა ფერს პალიტრაზე შერევის გარეშე — მუსიკაშიც, განსაკუთრებით, საორკესტრო პალიტრაში ინსტრუმენტების ჟღერადობა გამოყენებულია ტემბრის შერევის გარეშე და ა. შ.

სტუდენტებს ჰქონდათ აბსოლუტური თავისუფლება გადმოეცათ თავისი ხედვა იმპრესიონისტულად, რეალისტურად, თუ აბსტრაქტულად.

**— მუსიკისა და მხატვრობის პარალელებზე შეხედულება, ზოგიერთის აზრით, არაერთგვაროვანია...**

— ბევრს ჰგონია, რომ მუსიკისა და მხატვრობის კავშირები გამოხატულია მოსმენილი მუსიკის „ვიზუალური ასლის“ გაკეთებით, ან პირიქით, რაც არასწორია. ჩვენი მთავარი მიზანი სტუდენტში კომპლექსური აზროვნების გაღრმავება და იმ თვითგამოხატვის პროვოცირებაა, რომელიც ჭეშმარიტ, თუნდაც დამწყებ ხელოვანში არსებობს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში დებიუსისა და რაველის მუსიკის შთაგონებით.

**— როგორია თქვენი მომავალი გეგმები?**

— სულ მალე ვაპირებთ ამ გამოფენის განმეორებას კონსერვატორიაში; გარდა ამისა, დიდი ხანია გამზადებული მაქვს წიგნი, სადაც თავმოყრილია ყველაფერი, რომელიც ეხება მუსიკის, სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის კავშირებს, რასაც, იმედია, გამოვცემ.

**ესაუბრა**
**ლია ჭილლაძე**

ზეალმატებული მადლობა

## დიდი ყურადღებისა და გულითადი მხარდაჭერისთვის

**ქ. თბილისში, ყოფილი რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ბაზაზე ახლად შექმნილი ზოგადი რეანიმაციის და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრში, ფილტვ-გულის მწვავე უკმარისობის მდგომარეობიდან სიკვდილს გამოსტაცეს, გადაარჩინეს და სრულფასოვანი სიცოცხლე დაუბრუნეს ცნობილ მეცნიერსა და სასიქადულო საზოგადო მოღვაწეს, აკადემიკოს თამარ დეკანოსიძეს, რითაც მას, ღვთის მადლით, დიდად დაუფასდა ის ღვაწლი, რომელიც მხცოვან მეცნიერს მიუძღვის სამედიცინო საზოგადოების და ქვეყნის წინაშე.**



საამაყოა, რომ დღეს საქართველოში არსებობს მაღალი რანგის სპეციალისტებით დაკომპლექტებული, ჭეშმარიტად ევროპული დონის, უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი, კრიტიკული მედიცინის და რეანიმაციის ყველაზე დიდი სამედიცინო ცენტრი ამიერკავკასიაში, რომელიც გამოირჩევა სანიმუშო სამედიცინო დახმარების სისტემით და ინფრასტრუქტურით, საუცხოო დიზაინით დამშვენებული კომფორტული გარემოთი პაციენტებისა და მათი მნახველებისათვის.

სიტყვები არ გვყოფნის, რომ ულრმესი მადლობა არ გამოვუცხადოთ ცენტრის დამაარსებელს და სულისჩამდგმელს პროფესორ ნიკოლოზ ყიფშიძეს და მის მოადგილეს პროფესორ თემურ ურუშაძეს, ცენტრის განყოფილებების ხელმძღვანელებს, ბატონებს ვახტანგ კალოიანს და ლევან სუხიშვილს. ცენტრის ერთ გუნდად შეკრულ მთელ შემადგენლობას და განსაკუთრებით პირად ექიმს გულიკო ქილიფთარს — მაღალი პროფესიონალიზმის, თავდადებული და უმწიკვლო მსახურებისთვის, პროფესორებს ნოდარ ბაქრაძეს და დიმიტრი კორძაიას — დიდი ყურადღებისა და გულითადი მხარდაჭერისთვის.

**თბილისის სახელმწიფო**
**სამედიცინო უნივერსიტეტი,**
**პათოლოგანატომთა სამეცნიერო**
**საზოგადოება,**
**პათოლოგანატომიის კათედრა,**
**ოჯახი და ახლობლები**

გამოსათხოვარი

# ნოდარ კიკვაძე

**ქართულმა საისტორიო მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა პროფესორი ნოდარ კიკვაძე. დაიბადა 1928 წლის 23 იანვარს. სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტში. აქ გამოიკვეთა მისი მეცნიერული ინტერესების სფერო — საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია XIX-XX საუკუნეებში. მას მუშაობა უხდებოდა ისეთ ცნობილ მეცნიერებთან, როგორიც იყვნენ აკად. ე. ტარლე და პროფ. ა. იერუსალიმსკი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ჩააბარა ასპირანტურაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ახალი და უახლესი ისტორიის განხრით. მისი მეცნიერი ხელმძღვანელი იყო პროფ. ალ. ნამორაძე.**



**1956-1961 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო დარგში პრორექტორის თანაშემწედ, 1961 წლიდან კი მუშაობას იწყებს ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაზე. ის იყო საქართველოში უახლესი ისტორიის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი. 1968 წელს ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია „გერმანიის იმპერიალიზმის აგრესია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში“. აღსანიშნავია, რომ მან გერმანელი ისტორიკოსების დიდი მოწონება დაიმსახურა. ეს ამ ნაშრომის საერთაშორისო აღიარება იყო.**

**1978 წლიდან 1998 წლამდე ნოდარ კიკვაძე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრის დირექტორი, ხოლო 1998 წლიდან — ამავე ცენტრის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი. ამავე დროს ის შეთავსებით მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაზე. სტუდენტები რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ისმენდნენ მის შესანიშნავ ლექციებს დასავლეთ ევროპის ქვეყნების უახლეს ისტორიაში და საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიისა და თეორიის საკითხებზე“. იყო უაღრესად ერუდირებული ლექტორი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, გულისხმიერი ადამიანი, XX საუკუნის ქართული ინტელიგენციის, მრავალმხრივ ერუდირებულ ისტორიკოსთა ბრწყინვალე თაობის უკანასკნელი მოჰიკანი.**

**მის ხსოვნას არასოდეს დაივიწყებენ მისი კოლეგები, მეგობრები, მოსწავლეები.**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის**
**სახელმწიფო უნივერსიტეტის**
**ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა.**

**შპს „ალორძინება“ (ს/კ 202055088ძ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №14, ან დაუკავშირდეთ ლიკვიდატორს ტელ: 899685368.**

**კომპანია „ჯეომედია“ გთავაზობთ ქართულ-უცხოური პრესისა და სხვადასხვა თემატიკის წიგნების მოწოდებას ორგანიზაციებსა და ბინებში.**
**ტელ: 95 51 70 (ოფისიძ**
**geomediapress @ yahoo. com**
**მის. გ. ჩუბინაშვილის ქ. 50.**

**შპს „ნამი“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ბელიაშვილის ქ. №8-ში. ტელ. 51-71-92.**

## განცხადება

სააქციო საზოგადოება „ელვას“ სალიკვიდაციო კომისია ატარებს აუქციონს საზოგადოების ბალანსზე რიცხული მიწის ნაკვეთების გაყიდვის მიზნით. აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება მიწის ნაკვეთები ფართებით 65 კვ. მეტრი ღირებულებით 4760 ლ. 375 კვ. მ. ღირებულებით 31875 ლარი და 375 კვ. მ. ღირებულებით 31875 ლ. სს „ელვას“ ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში; მიწის ნაკვეთები ფართით 782 ღირებულებით 66470 ლ. და 65 კვ. მეტრი ღირებულებით 5525 ლ. სს „ელვას“ ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხრიდან, მიწის ნაკვეთი ფართით 273 კვ. მეტრი ღირებულებით 23205 ლ. ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში. აღნიშნული ფართების ერთი კვ. მეტრის საწყისი ფასია 85 ლარი. აუქციონზე ვაჭრობისას დაცულ უნდა იქნას ფასის მატების ბიჯი ფასის 5 პროცენტის ოდენობით. აუქციონი ჩატარდება 2008 წლის 17 ივნისს დღის 12 საათზე, სს „ელვას“ ტერიტორიაზე, მისამართი ქ. თბილისი, ჯიქიას ქ. №5. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი სს „ელვას“ სალიკვიდაციო კომისიაში წარადგენს: განცხადებას, „ბე“-ს ობიექტის ღირებულების 10 პროცენტის გადახდის ქვითარს; პირადობის დამადასტურებელ მოწმობას; მინდობილობას, თუ იგი მოქმედებს იურიდიული ან ფიზიკური პირის სახელით. აუქციონზე მონაწილეთა განცხადებები მიიღება ყოველდღე 11 საათიდან 16 საათამდე, გარდა შაბათ-კვირისა სს „ელვას“ სალიკვიდაციო კომისიაში მიმდინარე წლის 17 ივნისამდე. თუ აუქციონის მონაწილე არ გამოცხადდა აუქციონზე, მას „ბე“-ს სახით გადახდილი თანხა არ უბრუნდება. ობიექტის გაცნობა და დამატებითი ცნობების მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

**სს „ელვას“ სალიკვიდაციო კომისია**

**ალეკო ასლანიშვილი, გურამ გოგიაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ვილენ მარდალეიშვილი მწუხარებით იუწყებიან ცნობილი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, ჩვენი გაზეთის სასურველი ავტორის და ერთგული მეგობრის**
**ნოდარ კიკვაძის**
**გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

**ვიქტორ, გულბათ და თამარ რცხილაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბრწყინვალე მკვლევარი და პედაგოგი, თაობების აღმზრდელი, დიდებული პიროვნება, პროფესორი**
**ნოდარ ირაკლის ძე**
**კიკვაძე**
**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

◉ მოქალაქე ხარ საქართველოსი

# ქართული ენა მეგობრებს იძენს...

## აზერბაიჯანელი მოსწავლეები მარნეულში ქართველი პოეტების ლექსებს კითხულობდნენ...



**უკვე ერთი წელია მარნეულში შოთა რუსთაველის სახელობის გახანგრძლივებული სწავლებისა და ენათა ცენტრი ფუნქციონირებს (დირექტორი ათა ნურიევიძ. აქ აზერბაიჯანელი, სომეხი, ქართველი თუ რუსი მოსწავლეები ეუფლებიან ქართულ და ინგლისურ ენებს. და აი, ახლახან ცენტრმა პირველ გამოშვებას დაულოცა გზა.**

მარნეულის კულტურის სახლში ამ დღის აღსანიშნავად ლამაზი საღამო გაიმართა, რომელიც კონცერტით დასრულდა.

საქართველოს ჰიმნის შესრულების შემდეგ შეკრებილთ მიესალმნენ „ჩაღლარის" სასწავლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი **მურად სუნგუ,** შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და ჩაღლარის სასწავლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **მესუთ ბოზქირი.**

საღამოს მონაწილეებს მიესალმა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრორექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გიული ალასანია.** მან ეს დღე მოსავლის აღების დღედ მოიხსენია. შემდეგ გაიხსენა საბჭოთა პერიოდი, როდესაც საქართველოს მოქალაქეების დიდი ნაწილი ქართულ ენას არ ფლობდა და ისინი განათლების მისაღებად რუსულ სკოლებში შედიოდნენ.

„ჩვენ ძალიან ბევრს ვფიქრობდით ამ პრობლემაზე ჩვენს თურქ კოლეგებთან ერთად. გადავწყვიტეთ ჩვენი მოკრძალებული წვლილის ამ საქმეში შეტანა. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო საგანმანათლებლო ფონდს და ბატონ მესუთ ბოზქირს. მათ გულთან ახლოს მიიტანეს ეს საკითხი და ძალიან მნიშვნელოვანი დახმარება აღმოგვიჩინეს. გაიხსნა სკოლა, სადაც ჩვენი მოქალაქეები–აზერბაიჯანელები ქართულ ენას ეუფლებიან."

სცენაზე ერთმანეთს ცვლიდა ცეკვა, სიმღერა, ლექსი. აზერბაიჯანელმა მოსწავლეებმა გულისხმიერებით წაიკითხეს ქართველი პოეტების: მურმან ლებანიძის, მუხრან მაჭავარიანის, ანა კალანდაძის ლექსები. „ლიხს იქით და ლიხს აქეთ საქართველო გიყვარდეთ," – ამბობდნენ ისინი და, მართლაც, გვჯერა, რომ ეს წამოწყება სამომავლოდ კიდევ უფრო განმტკიცდება.

საღამოს დასასრულს, მოსწავლეებს სერტიფიკატები გადასცა ქალბატონმა გიული ალასანიამ. დაჯილდოების ცერემონიალს დაესწრო მარნეულის განათლების სამმართველოს მესვეური **ქემანდარ ისმაილოვი.**

**ნატა ნიბლაძე**

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში"
98-65-87; 899 32-85-76.

◉ ინფორმაცია

## დააკავეს ცამეტი დამნაშავე

**შინაგან საქმეთა სამინისტრომ სისხლის სამართლის რამდენიმე დანაშაულში ეჭვმიტანილი 13 პირი დააკავა. შსს-ის პრესსამსახურის ინფორმაციით, სხვადასხვა სამმართველოების მიერ დაკავებულ პირებს ბრალი ქურდობის, ყაჩაღობისა და ძარცვის ჩადენაში ედებათ.**

კერძოდ: ვაკე-საბურთალოს პოლიციამ ქურდობის ბრალდებით მრავალჯერ ნასამართლევი, 35 წლის შოთა კალანდარიშვილი დააკავა; ასევე ქურდობაშია ეჭვმიტანილი 24 წლის თემურ ჩოქური, რომელიც ისანი-სამგორის პოლიციამ დააკავა; ქურდობაში ეჭვმიტანილი არიან შსს-ის სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველოს მიერ დაკავებული 30 წლის დავით ბანგოიანი და 41 წლის გია ჩილაშვილიც; იმავე ბრალდებით იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 31 წლის ზურაბ ჯღარკავა დააკავეს.



ძარცვის ბრალდებით გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს 22 წლის ვასილ კალაშოვი, იმავე მუხლით ედება ბრალი დიდუბე-ჩუღურეთის სამართალდამცავთა მიერ დაკავებულ 44 წლის კონსტანტინე ლომინაძეს, ძარცვაში არიან ეჭვმიტანილი 34 წლის მანუჩარ ფაცაცია და 27 წლის გოგიტა კვარაცხელიაც.

რაც შეეხება ყაჩაღობას, აღნიშნული ბრალდებით გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის სამმართველომ 18 წლის ვასილ გუბაძე და 17 წლის გიორგი გოგუა დააკავა; ასევე, ყაჩაღობაში არიან ბრალდებული 25 წლის გიორგი ჭელიძე და 27 წლის დავით მაისურაძე, რომლებიც კახეთის მთავარმა სამმართველომ დააკავა.

## ამდენი ჰეროინი მთელ საქართველოს გაანარკომანებდა

**შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი" ამოიღეს.** შსს-ის პრესსამსახურის ინფორმაციით, დაკავებულია 31 წლის მარინა ნასიბოვა, რომელსაც პირადი ჩხრეკისას სარეალიზაციოდ გამზადებული 119 ე.წ ბაშად დაფასოებული „ჰეროინი" აღმოაჩნდა.

სოდის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად ასევე დაკავებულია 35 წლის ზურაბ პოლოზაშვილი, რომლის ჩხრეკისას ამოღებულია 2,54745 გრამი „ჰეროინი".

## პატრულები ცემა-ტყეპას არ ეშვებიან

**გორის რკინიგზის სადგურზე საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა 3 მოქალაქე სცემა. ამის შესახებ ინფორმაციას „ადამიანის უფლებათა ცენტრი ავრცელებს". ცენტრის ცნობით, დაშავებულები კასპის რაიონის სოფელ დოესში მცხოვრები ახალგაზრდები არიან, რომლებიც საზოგადოებრივ წესრიგს არღვევდნენ.**

თვითმხილველთა განცხადებით, ცემის შემდეგ სამივე პირი საპატრულო მანქანებით პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს, შემდეგ კი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდეს.

„ადამიანის უფლებათა ცენტრი" შესაბამის უწყებებს პატრულის მხრიდან მოქალაქეების ცემის ფაქტის გამოძიებისკენ მოუწოდებს.

**ХО-ЭОВ-ЭБО**

იყიდება!

5-ოთახიანი ბინა, ბელეტაჟზე, დიდი აივნით (საერთო ფართობი 200 კვ.მ.ძ. ვაკე. ატენის ქ.№3. ტ: 23-03-12, 38-09-01, 855 52-87-92. ფასი შეთანხმებით.

◉ ანეკდოტები

– რომელ საფეხბურთო გუნდს გულშემატკივრობთ? – ეკითხება პარიკმახერი კლიენტს.

– იმასვე, რომელსაც თქვენ.

– მაგრამ თქვენ ხომ არ იცით, ვის ვგულშემატკივრობ?

– რა საჭიროა ამის ცოდნა, თქვენ ხომ სამართებელი გიჭირავთ!..



* * *

– შეიძლება, რომ ქალი მეკარე გახდეს? – ეკითხებიან სომხეთის რადიოს.

– შეიძლება, თუ თერთმეტმეტრიანს გაუძლებს...

* * *

– თქვენს ქმარს სიწყნარე და სიმშვიდე სჭირდება, – ეუბნება ექიმი ახალგაზრდა ქალს.
– აი, წამლის რეცეპტი.

– და როდის უნდა მიიღოს მან ძილის წამალი?

– ო, არა! ეს აბები თქვენ გამოგიწერეთ!..

* * *

– დღეს მეტროში სამმა მამაკაცმა დამითმო ადგილი, – ეუბნება ცოლი ქმარს.

– მერე დაეტიე?

* * *

– შვილო, ერთი ბებოს ტუჩის კრემი მიუტანე, – ეუბნება მიხო ნიკას სიდედრთან ხანგრძლივი და ქანცგამცლელი ჩხუბის შემდეგ.

– რომელი კრემი?

– აი, ისა, კარადის უჯრაში რომ დევს – „მომენტი" აწერია.

◉ კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის" დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში". 95-11-92
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.